პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 54, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; გამოცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- ვარშავის მუშების დემონსტრაცია იმპერიალისტების ანტისაბჭოთა მახინაციების გამო.
- საფრანგეთის მუშათა დელეგაციის მოხსენება (პარიზში) საბჭოთა კავშირის მიღწევების შესახებ.
- გერმანიის სახ. ბანკის დირექტორი შახტი იუნგის გეგმის წინააღმდეგ.
- ავსტრალიის მემაღაროები საყოველთაო გაფიცვისათვის ემზადებიან.
- ჩეხო - სლოვაკიელი „სოციალისტები“ შევიდნენ მთავრობაში.
- ეკონომიური კრიზისი თურქეთში.

კვირა, 8 დეკემბერი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 283 (2629)

დავაჩქაროთ ერთმმართველობის გატარება

ორი თვის წინად საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება ერთმმართველობის შემოღების შესახებ. ცეკას ეს დიდმნიშვნელოვანი მორიგი დადგენილება მჭიდროდ არის დაკავშირებული სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანებთან. მრეწველობის სოციალისტური რეკონსტრუქცია მთელი თავისი სიმწვავით აყენებს ჩვენს წინაშე მასების შემოქმედებითი ინიციატივის გაშლისა და ამ ინიციატივის ახალ ამოცანებთან უაღრესად შეფარდების საკითხს. საჭიროა არა მარტო საწარმოო საშუალებათა გარდაქმნა - გადახალისება, მექანიზაციისა და რაციონალიზაციის ენერგიულად გატარება, არამედ ამასთან ერთად შრომის ახალი ფორმებისა და სამეურნეო მართვა - გამგეობის ახალი მეთოდების შექმნა. ამ მხრივ ერთმმართველობის შემოღება მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია წინ.

მიუხედავად უდიდეს მიღწევებისა სოციალისტური მშენებლობის დარგში, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ბევრი ისეთი დეფექტები გვაქვს, რომელთა გადალახვაც შემდგომი წარმატებითი წინსვლის მთავარ პირობას წარმოადგენს. ამის შესახებ საკ. კომ. პარტიის ცეკას დადგენილებაში ხაზგასმით არის ნათქვამი: „პარტიის მიერ ინდუსტრიალიზაციისაკენ აღებული კურსის წარმატებით გატარება, მრეწველობის დაუბრკოლებელი განვითარება ტეხნიკურ რეკონსტრუქციის განსაკუთრებით რთულ პირობებში დამოკიდებულია წარმოებისა და მისი მმართველობის სწორ ორგანიზაციაზე, ე. ი. წარმოებაში მტკიცე წესრიგისა და მაგარი შინაგანი დისციპლინის უზრუნველყოფაზე“.. „მიუხედავად დიდი მიღწევებისა მრეწველობის განვითარების დარგში, ჩვენ დღემდე ვერ მივაღწიეთ საჭირო წესრიგს საწარმოთა მმართველობის საქმეში“.

ის მდგომარეობა, რომელიც ჩვენ დღემდე გვაქვს საწარმოთა მმართველობის დარგში, აშკარად აღარ შეესაბამება სახალხო მეურნეობის შეუჩერებელი ზრდის ახალ გაძლიერებულ მოთხოვნილებებს. ამ მიზნით საწარმოთა სამკუთხედის (ადმინისტრაცია, ფაბ-ქარხკომი, პარტუჯრედი) მუშაობა უნდა გადაისინჯოს. საჭიროა მტკიცედ ჩამოყალიბდეს და ერთმანეთისაგან განცალკევებულ იქნას თვითეულ ამ ორგანოთა უფლება - მოვალეობანი. ფუნქციათა ზუსტი გამიჯვნა — აი ის პირველი და აუცილებელი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ცეკას დადგენილებიდან. ეს საჭიროა იმისათვისაც, რომ გაძლიერებულ იქნას პასუხისმგებლობის შეგნება დაკისრებულ მოვალეობის შესრულებისათვის. სამკუთხედის მუშაობის ეხლანდელი პრაქტიკა, როცა ხშირად ძნელი გამოსაცნობია სად იწყება ერთის მოვალეობა-უფლებანი და სად თავდება ისინი, სხვათა შორის მეტად აბრკოლებს ცალკე აღებულ ამ ორგანოთა პასუხისმგებლობას და აფერხებს მასების შემოქმედებითი ინიციატივის გაშლას. ფუნქციათა ასეთ არევას ბოლო უნდა მოეღოს.

სხვა ძირითად ამოცანებთან ერთად მრეწველობის წინაშე მწვავედ დგას მთელი რიგი გადაუდებელი საჭირბოროტო საკითხები. საწარმოო დისციპლინის განმტკიცება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, თვითღირებულების შემცირება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და სხვა,—აი ის მორიგი საკითხები, რომელთაც მთელი თავისი სიმწვავით აყენებენ მრეწველობის წინაშე სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესები. ამ საკითხების მოგვარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეკონსტრუქტიული პერიოდის დამახასიათებელ შრომის ახალ ფორმებს — სოციალისტურ შეჯიბრებას და დამკვრელი ბრიგადების მასიურ ორგანიზაციას. მრეწველობის ეხლანდელი მმართველობის პრაქტიკა კი წინ ეღობება მუშათა მასების ამ ფართო მოძრაობას. ამას პირველ ყოვლისა მთელი სიცხადით გრძნობენ თვით მუშათა მასები. ფაბრიკა - ქარხნებში უკვე ჩატარდა მოხსენებები საკავშირო კომპარტიის ცეკას ზემოხსენებულ დადგენილების შესახებ. მუშები ერთსულოვნად ესალმებიან ცეკას დადგენილებას. თავიანთ რეზოლიუციებში ისინი გადაჭრით აღნიშნავენ, რომ ერთმმართველობის შემოღება უაღრესად დროული და პრაქტიკულად აუცილებელი ნაბიჯია. მიუხედავად ამისა, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ცეკას დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად ადგილებზე თითქმის არაფერი გაკეთებულა. ჯერ-ჯერობით საქმე დადგენილებებსა და რეზოლიუციების იქით არ დაძრულა.

ამასთან დაკავშირებით მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ზოგიერთი პროფორგანოები შეგნებულ ფარულ წინააღმდეგობას უწევენ ერთმმართველობის პრაქტიკულად გატარებას. ამის მთავარი მიზეზი უნდა ვეძებოთ იმაში, რომ ერთმმართველობის აზრი და მნიშვნელობა ყველგან ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია საქართველოს ერთ-ერთ პროფკავშირის ხელმძღვანელის განცხადება იმის შესახებ, თითქოს ერთმმართველობის შემოღების შემდეგ პროფესიონალურ კავშირებს აღარაფერი დარჩებათ საკეთებელიო. საკითხის ასე დაყენება ნიშნავს სრულ უსუსურობას იმ მორიგ ამოცანათა სწორად შეფასება-გათვალისწინებაში, რომელთაც სოციალისტური მშენებლობა აყენებს ჩვენს წინაშე. ერთმმართველობის ისე გაგება ჩვენს პირობებში, თითქოს ის მიმართული იყოს პროფკავშირების უფლებათა შეკვეცისაკენ, მექანიკური აზროვნების საუკეთესო ნიმუშია. ამგვარ ძირშივე ყალბ შეხედულებათა გამტარებელთ ავიწყდებათ ერთი „წვრილმანი“, სახელდობრ, სოციალისტური მრეწველობის თავისებურობა, და ის ახალი საზოგადოებრიობა, რომელიც შეიქმნა და განმტკიცდა ჩვენს ფაბრიკა - ქარხნებში ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. ერთმმართველობის პრინციპის განხორციელების ერთად - ერთი დანიშნულება ჩვენს სინამდვილეში მდგომარეობს სამეურნეო საქმიანობის გაჯანსაღებაში, პროფესიონალურ და პარტიულ უჯრედების შემოქმედებითი მუშაობის განვითარებაში. ჩვენ მრავალი მაგალითები გვაქვს, რომელნიც მოწმობენ, თუ რამდენად აფერხებს საწარმოს მუშაობას ადმინისტრატიულ, პროფესიონალურ და პარტიულ ფუნქციათა ერთმანეთში არევა. ამ მხრივ ერთ-ერთ მჭერმეტყველურ მაგალითს წარმოადგენს ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოყვანილი ფაქტი სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხნის სინამდვილიდან. ჩვენი მუშკორი ამხ. ვ. **ბარბაქაძე** გვატყობინებს, რომ ამ ქარხანაში იყო შემთხვევა, როცა მუშათა ბრიგადის ერთი სამუშაოდან მეორეზე გადაყვანის საკითხი **მთელი წელიწადი გაჭიანურდა**, რადგან ქარხნის მმართველობა მოკლებული იყო საშუალებას **დამოუკიდებლად** მოეგვარებია ეს წმინდა ადმინისტრატიული საქმეო. თავისთავად ცხადია, ასეთ პირობებში ძნელია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საწარმომ წარმატებით გადასწყვიტოს ის მორიგი და რთული ამოცანები, რომელთაც მას უყენებს მშენებლობის მიმდინარე პერიოდი.

ადგილობრივ პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებმა და ადმინისტრატიულ პერსონალმა აქედან შესაფერი პრაქტიკული დასკვნა უნდა გააკეთონ. პირველ ყოვლისა, საჭიროა ენერგიული ბრძოლა გამოეცხადოს იმ წინააღმდეგობას, რომელსაც იჩენენ ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციების (ცალკე მუშაკები ერთმმართველობის განხორციელების საქმეში. ამასთან ერთად, საჭიროა გაცხოველებული კამპანია ამ დადგენილების ფართოდ გაშუქებისათვის. ამ მიზნით თვითეულ საწარმოში საფუძვლიანად უნდა იქნას დამუშავებული ცეკას დადგენილება ერთმმართველობის შესახებ. უნდა დასახულ იქნას **პრაქტიკული ღონისძიებები** ამ დადგენილების უახლოესი დროის განმავლობაში ცხოვრებაში გასატარებლად.

ამავე დროს კიდევ უფრო უნდა გავაცხოველოთ საქმიანობა მუშათა დაწინაურებისათვის. უფრო გაბედულად უნდა წამოვაყენოთ ხელმძღვანელ - ადმინისტრატიულ პოსტებზე მუშათა საუკეთესო წარმომადგენლები. ერთპიროვნულ მმართველობის შემოღება მეტი სიმწვავით აყენებს მუშათა დაწინაურების საკითხს.

დროა ბოლო მოეღოს იმ უყურადღებობას, რომელსაც დღემდე ბევრგან ადგილი აქვს ერთმმართველობის გატარებისადმი. პარტიულ ორგანიზაციები აქაც პირველ რიგში უნდა იდგნენ. მათ ინიციატიური იერიში უნდა მიიტანონ მუშაობის ძველი ტრადიციებისა და ფორმების წინააღმდეგ. ფუნქციათა არევა, საწარმოო უთავობა, უპასუხისმგებლობა, რასაც ეხლა ხშირად ადგილი აქვს ფაბრიკა-ქარხნებში, საბოლოოდ უნდა განიდევნოს. ერთმმართველობა უნდა გადაიქცეს ჩვენი საწარმოო მუშაობის სისტემად. ამას ერთნაირად მოითხოვენ როგორც მეურნეობის, ისე პროფესიონალურ და ადგილობრივ პარტიული მუშაობის გაუმჯობესების ინტერესები.

ჩარევის პოლიტიკის დამარცხება

როცა 3 დეკემბერს ხელმოწერილი ნიკოლსკ-უსურიისკის ოქმი გამოვაქვეყნეთ, ვსთქვით, რომ ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის ლიკვიდაციის პირველი სტადია დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. ამას ისიც დავუმატეთ, რომ ახლა მუკდენის მთავრობაზეა დამოკიდებული— საქმით დაამტკიცოს თავისი დეკლარაციების გულწრფელობა და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი.

ნიკოლსკ- უსურიისკში ხელმოწერილი ოქმის დამადასტურებელი ჩან სუე-ლიანის დეპეშა მუკდენის მთავრობის ახალ ნაბიჯს წარმოადგენს იმ კონფლიქტის სალიკვიდაციოდ, რომელიც ხუთი თვის წინათ წარმოიშვა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდების გამო. უეჭველია, ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლების დაძლევა დაგვჭირდება; ანგარიში უნდა გაუწიოთ ყოველგვარ შესაძლებელ მოულოდნელობას, მაგრამ კონფლიქტის მოსაგვარებლად საჭირო ბაზა არა თუ გამონახულია, არამედ დადასტურებულიც საბჭოთა კავშირისა და მუკდენის მთავრობათა უფლებამოსილი ორგანოების მიერ. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ეს მოხდა არა „სახელმწიფოების ჩარევის“ წყალობით, არამედ ამ აქტის წინააღმდეგ.

შეიძლება გამორკვეულად ჩაითვალოს, რომ მარცხით დამთავრდა ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათა ცდა— ხელში ჩაეგდოთ ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის გადაჭრის საქმე. მდგომარეობა სრულებით არ შეიცვლება მაშინაც, თუ სამი სახელმწიფოს გამოსვლას შეუერთდებიან არა მარტო კუბისა და პანამის მსგავსი სახელმწიფოები, არამედ კელოგის პაქტის სხვა მონაწილენიც, თუმცა, ძალიან გვეეჭვება, რომ ეს შეერთება ახლა, რამდენადმე მაინც, თვალსაჩინო ზომით მოხდეს. არა გვგონია, რომ ვინმემ მოისურვოს და პირველი ნოტების ავტორებთან ერთად გაიზიაროს ის „უხერხული“ მდგომარეობა, რომელშიაც ისინი ჩაცვივდნენ. საკმაოა წავიკითხოთ ბეჭდვითი სიტყვის სხვადასხვა ორგანოები, რომელთაც ვერ დავწამებთ განსაკუთრებულ მეგობრულ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირისადმი, რათა დავრწმუნდეთ ამ ვარაუდის სიმართლეში.

მაგალითად, საფრანგეთის პრესა, აშკარად გამოხატული ანტისაბჭოთა სულიერი განწყობილების პირველი აღტყინების შემდეგ, ერთგვარ დაბნეულობას გვიჩვენებს. მემარჯვენე გაზეთები აშკარად დასცინიან სახელმწიფოების გამოსვლას. მეორეს მხრით, რადიკალური ბანაკის გაზეთი „რეპიუბლიკ“-ი აღიარებს, რომ „სახელმწიფოები სასაცილო მდგომარეობაში ჩაცვივდნენ და დამსახურებული გაკვეთილი მიიღეს საბჭოთა მთავრობისაგან“.

მეტის-მეტად დამახასიათებელია „პეკინ ენდ ტიანძინ ტაიმს“-ის გამოსვლა; ეს გაზეთი გამოხატავს ინგლისელთა კოლონიალური წრეების ინტერესებს და აშკარად მტრულად არის განწყობილი საბჭოთა კავშირისადმი. გაზეთი სწერს: „სახელმწიფოების დემარში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობამ ნამდვილად მიაღწია შეთანხმებას აღმოსავლეთ- ჩინეთის რკინის გზაზე ჩამოვარდნილი კონფლიქტის საქმეში, შეუფერებლად და უტაქტოდ მოსჩანსო“.

დაახლოებით ასევე აფასებენ სახელმწიფოების გამოსვლას გერმანიის, იაპონიის და თვით ამერიკის პრესის ორგანოებიც.

ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის გადაჭრაში ჩარევის პოლიტიკის მარცხის შესაფასებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის სტიმსონის განცხადება.

სამი სახელმწიფოს ნოტის საპასუხოდ საბჭოთა კავშირმა უკვე გამოსთქვა თავისი დამოკიდებულება ამერიკის პოლიტიკის ამ ნაბიჯის მოტივებისა და მიზნებისადმი. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების გამოსვლა ოდნავადაც არ გამოხატავს ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის ლიკვიდაციის ნამდვილ სურვილს და რომ ასეთ გამოსვლას მოსალოდნელი შეთანხმების მხოლოდ შეფერხება და ჩაშლა შეუძლია. სტიმსონის განცხადებიდან განცვიფრებით ვგებულობთ, რომ მას „ნაყოფიერად (?) მიაჩნია სახელმწიფოების მეცადინეობა, რომელიც მათ, ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების მეთაურობით, გამოიჩინეს იმ მიზნით, რომ ბოლო მოეღოთ სამხედრო მოქმედებისათვის მანჯურიაში“.

მეორეს მხრით, ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების სახელმწიფო მდივანმა დიდად მოიწონა მუკდენ-საბჭოთა ოქმის სწრაფად გამოქვეყნება საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მიერ და აღნიშნა, რომ ოქმი კონფლიქტის ფესვებს ეხება და იგი დიდი ნაბიჯის გადადგმას მოასწავებს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით სტიმსონს, რომ ნიკოლსკ-უსურიისკის ოქმი „კონფლიქტის ფესვებს ეხება“. ნათქვამს ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ამ „ფესვებს“ ოქმის ხელმოწერამდე შეეხო დეპეშა ჩან სიუე-ლიანისა, რომელიც დასთანხმდა საბჭოთა პირობების მიღებას კონფლიქტის სალიკვიდაციოდ, და ჩან სიუე-ლიანის მეორე დეპეშა, რომელმაც დაადასტურა ხელმოწერილი ოქმი.

ურიგო არ იქნება ვიკითხოთ, რა დამოკიდებულება აქვს ამ „ფესვებთან“ სახელმწიფოების მეცადინეობას ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით?

ჩვენის ფიქრით, ჩინეთ- საბჭოთა კონფლიქტის ლიკვიდაციის წარმატებით მიმდინარეობის ახსნა სახელმწიფოების ჩარევით, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, მთლიანად და სავსებით ამახინჯებს მოვლენათა ნამდვილ მიმდინარეობას.

კონფლიქტის ლიკვიდაციის წარმატებით მიმდინარეობა წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მტკიცე და თანამიმდევრობითი პოლიტიკის შედეგს; მან, ერთის მხრით, ნება არავის მისცა, რომ იგი ომში ჩაეთრიათ და, მეორეს მხრით, თავისი კანონიერი ინტერესები აბუჩად არავის ააგდებინა. კონფლიქტის ლიკვიდაციის წარმატებით მიმდინარეობა უნდა მივაწეროთ აგრეთვე მუკდენის მთავრობის ხელმძღვანელთა საღი აზროვნების გამარჯვებას და მათი ავანტიურათა პოლიტიკის დამარცხებას. ის და დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ საღი აზროვნების გამარჯვება არ გააქარწყლოს პროვოკაციულ გავლენათა რეციდივმა, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდნენ ეს გავლენანი.

ჩრდ.-ამერ. შეერთ. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მოხელეები აცხადებენ— სტიმსონის გამოსვლა ჰქმნის პრეცედენტს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებს, რომ მომავალშიაც ასე იმოქმედოს, თუ მშვიდობიანობას საფრთხე მოევლინებაო. მშვიდობიანობას, მართლაც, საფრთხე მოევლინა ხუთი თვის წინათ, როდესაც ჩინეთის სამხედრო წრეებმა ძალადობით ჩაიგდეს ხელში აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა. სახელმწიფოების გამოსვლა მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა კონფლიქტის მოგვარება, არა თუ ხელს არ უწყობდა ომის საფრთხის ლიკვიდაციას, არამედ, პირიქით, ყოველგვარ საფრთხეს უქმნიდა მუკდენ-საბჭოთა შეთანხმების შესაძლებლობას. ასეთია ნამდვილი და მთავარი მნიშვნელობა იმ „პრეცედენტისა“, რომელზედაც სახელმწიფო დეპარტამენტის მოხელენი ლაპარაკობენ.

ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების უშუალო განზრახვათა თვალსაზრისით, ამ პრეცედენტის შედეგები დიდ მარცხად უნდა მივიჩნიოთ. ასეთ შეფასებას, რასაკვირველია, ვერ შესცვლის ვერავითარი განცხადება, რაც უნდა „ოპტიმისტურად“ არ გაისმოდეს იგი.

იმპერიალისტური ძალების ჩარევის ცდა დამარცხებით დამთავრდა, იგი დაამსხვრია საბჭოთა კავშირის მტკიცე და სწორე პოლიტიკამ.

ასეთია განვლილი ეტაპის უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი.

„იზვესტია“.

7 დეკემბერი.

მუკდენმა დაამტკიცა შეთანხმება საბჭ. კავშირთან

ჩინეთის პოლიტიკურ წრეებში ნანკინის მთავრობის დღეებს დათვლილად სთვლიან

მუკდენმა დაამტკიცა შეთანხმება საბჭოთა მთავრობასთან

მოსკოვი, 7 დეკემბერი. 5 დეკემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა მუკდენიდან მიიღო ქვემოდმოყვანილი დეპეშა ჩინურ ენაზე:

ჩან-სიუე-ლიანის დეპეშა

„საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დეპეშა 27 ნოემბრის თარიღით მივიღე. ვინაიდან უმნიშვნელოვანესი ნაწილი იმისა, რაც განხილულ უნდა იქნას მე-2 მუხლის თანახმად, შეთანხმებულია ორივე მხრის წარმომადგენლებთან, რომლებიც გაგზავნილნი არიან ნიკოლსკ - უსურიისკში, მე ამ დეპეშით სპეციალურად **ვაცხადებ ჩემს სრულ თანხმობას თათბირის შედეგებზე**. ამას გარდა, დაუყოვნებლივ ვგზავნი დიპლომატიურ კომისარს **ცაი იუნ-ჟენს**, რომელსაც თან აქვს ოფიციალური წერილობითი რწმუნება ყველა საკითხების განსახილველად საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთან — სიმანოვსკისთან, თანახმად ჩვენი ტელეგრაფით წარმოებული მიმოწერისა და თათბირის შედეგებისა. ამას სპეციალურად დეპეშით გაცნობებთ.

ჩან- სიუე-ლიანი.

5 დეკემბერი.

საბჭოთა მთავრობის პასუხი

6 დეკემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა გაგზავნა შემდეგი პასუხი დეპეშით:

„საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი ადასტურებს თქვენი 5 დეკემბრით დათარიღებულ დეპეშის მიღებას და პატივი აქვს გაცნობოთ, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტს სიმანოვსკის დაევალა შეხვდეს ცაის.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოვალეობის დროებითი აღმასრულებელი **ლიტვინოვი**“.

ამხ. ლიტვინოვის ნოტის გამოძახილი

საპროტესტო დემონსტრაცია ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში ჩარევის წინააღმდეგ

ვარშავა, 6 დეკემბერი. 5 დეკემბერს საღამოს ვარშავაში გაიმართა რამდენიმე კომუნისტური დემონსტრაცია. დემონსტრანტების წინააღმდეგ ყველგან გამოდიოდა საბრძოლველად მომზადებული, ყუმბარებით შეიარაღებული პოლიცია.

სეიმის შენობის წინ მდებარე მოედანზე კომუნისტებმა მოაწყვეს მიტინგი, მაგრამ პოლიციამ გაფანტა იგი და საშუალება არ მისცა კომუნისტ დეპუტატ სიპულას დაემთავრებია დაწყებული სიტყვა.

პავიაკის საპყრობილეს შენობასთან დემონსტრანტებმა ჩაამტვრიეს საპყრობილეს უფროსის და საპყრობილეს დარაჯთა ბინების ფანჯრები. დემონსტრანტების მეორე ნაწილმა ფანჯრის მინები ჩაამტვრია ამერიკის საკონსულოს შენობაში. ნიშნად პროტესტისა ამერიკის ჩარევის გამო ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში.

ბევრ დემონსტრანტს სცემეს, ბევრი დასჭრეს. პოლიციამ მრავალი დააპატიმრა (ადს).

სახელმწიფოები გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ

შანხაი, 6 დეკემბერი. სტიმსონის ნოტაზე ლიტვინოვის პასუხის გამო „ნორტ ჩაინა დეილი ნიუს“-ი მოწინავე წერილში სწერს:

„ჩვენ მაინცდამაინც დიდი სიმპატიით არ ვუყურებთ საბჭოთა მთავრობას, მაგრამ ნებას ვაძლევთ თავს აშკარად ვთქვათ, რომ **სწორედ ასეთი პასუხი იყო მოსალოდნელი. სახელმწიფოები მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. ისინი მეტად უხეშად გამოვიდნენ, რაც სწორი გზიდან გადახვევის ჩვეულებრივი შედეგია. საბჭოთა კავშირს სრული წარმატებით შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არ ისახავს აგრესიულ მიზნებს, არამედ მხოლოდ სცდილობს აღადგინოს თავისი უფლებები, რომლებიც ჩინეთმა დაარღვია**“.

იაპონიამ თავიდან აიცილა შეცდომა, რომელიც სახელმწიფოებმა ჩაიდინეს

ტოკიო, 6 დეკემბერი. „ჯაპან ტაიმს“-ი (საგარეო საქმეთა სამინისტროს პროფესიონალური ორგანო) მოწინავე წერილში ეხება უცხოეთის პრესის კრიტიკულ კომენტარიებს იმის გამო, რომ იაპონიამ მონაწილეობა არ მიიღო სახელმწიფოების მიმართვაში საბჭოთა კავშირისა და ჩინეთისადმი. გაზეთი სწერს:

„**სიდეხარას წინდახედულების მეოხებით, იაპონიამ თავიდან აიცილა ის შეცდომა, რომელიც სახელმწიფოებმა ჩაიდინეს**“. გაზეთის აზრით, **ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გადადგმული ნაბიჯები მარცხით დამთავრდა**. იაპონია სხვა სახელმწიფოებზე ნაკლებ ლოიალურად არ არის განწყობილი კელოგის პაქტის მიმართ, მაგრამ პაქტი მეტად მძლავრი იარაღია და მიზანშეუწონელია მისი მოუფიქრებლად გამოყენება, როდესაც არ არის ომი, როდესაც ორივე მხარე მოლაპარაკებას აწარმოებს (ადს).

ჰგმობენ სახელმწიფოების ჩარევას

ტოკიო, 6 დეკემბერი. გაზეთი „ძი-ძი“ აღნიშნავს, რომ მუკდენის გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მოაგვაროს კონფლიქტი, სავსებით ბრძნული ნაბიჯია, ხოლო ამერიკისა და სხვა სახელმწიფოების ნაბიჯები, გონივრულად ვერ ჩაითვლებიან. ეს ნაბიჯები ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიან, თითქოს ამ სახელმწიფოებს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის საქმეებში ჩარევა სურთ კელოგის პაქტის ღირსების დაცვის საბაბით.

გაზეთი „ციუო“ სასტიკად აკრიტიკებს ამერიკის ჩარევას კონფლიქტში და აღნიშნავს, რომ, რამდენადაც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხი საბჭოთა კავშირს ეხება, სახელმწიფოებს არავითარი ნაბიჯი არ უნდა გადაედგათ. (ადს).

გამოქვეყნდა მოსკოვ-მუკდენის ოქმი

ნიუ-იორკი, 6 დეკემბერი. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა მოსკოვ-მუკდენის ოქმი, რომელიც ხელმოწერილ იქნა ნიკოლსკ-უსურიისკში (ადს).

მიზეზი სახელმწიფოების ჩარევისა ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში

პარიზი, 6 დეკემბერი. საფრანგეთის პრესა, ეხება რა საბჭოთა მთავრობის მიერ სახელმწიფოებისათვის გაცემულ პასუხს, თავისდაუნებურად აშკარავებს ჩინეთ- საბჭოთა კონფლიქტში სახელმწიფოების ჩარევის ჭეშმარიტ აზრს. „ჟურნალ“-ი იუწყება, რომ ბრიანი ინახულა ჩინეთის ელჩმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა მას კონფლიქტში ჩარევისათვის (ამრიგად, ეს ჩარევა მიაჩნიათ ჩინეთის სასარგებლოდ მიმართულ ერთმხრივ აქტად). გაზეთი სწერს: „გული არ უნდა გაგვიტეხოთ იმის გამო, თუ რა ბედი მოელის კელოგის პაქტს, რომლის ინიციატორებმაც ასეთი მკვახე პასუხი მიიღეს საბჭოთა კავშირისაგან. საქმე პაქტი როდია, საქმე პოლიტიკური მოტივებია, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ ცალკე სახელმწიფოები, როდესაც უერთდებოდნენ ამერიკის გამოსვლას ან თავს იკავებდნენ, ასე, მაგალითად, იტალია მხოლოდ იმ ანგარიშით შეუერთდა ამერიკის გამოსვლას, რომ ამერიკა მხარს დაუჭერს მას ლონდონის კონფერენციაზე იტალია-საფრანგეთის საზღვაო პარიტეტის საკითხში“

ჩან-კაი-შის ინსტრუქციები

შანხაი, 6 დეკემბერი. მუკდენის ბელადები იხილავენ საბჭოთა კავშირთან დაწყებული მოლაპარაკების მიმდინარეობის საკითხს ჩან-კაი-შისაგან და საგარეო საქმეთა მინისტრის ვან-ჩენ-ტინისაგან მიღებული ინსტრუქციების საფუძველზე (ადს).

სტიმსონი „კმაყოფილია“ მუკდენ-საბჭოთა ოქმის ხელმოწერით

ნიუ-იორკი, 6 დეკემბერი. სტიმსონმა განაცხადა, რომ იგი იწონებს **ნიკოლსკ-უსურიისკში დადებული მუკდენ - საბჭოთა ოქმის სწრაფად გამოქვეყნებას საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს მიერ**. სტიმსონის სიტყვით, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ცნობა ეხება იმას, რაც მთავარია კონფლიქტის საკითხში, და მოასწავებს დიდი ნაბიჯის გადადგმას მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ეს შეერთებული შტატების მიერ მიღებული პირველი მითითებაა, რომელიც მოწმობს, რომ ჩინეთს და საბჭოთა კავშირს შეუძლიათ აწარმოონ მოლაპარაკება და დასდონ შეთანხმებანი.

შემდეგ სტიმსონმა განაცხადა, რომ როდესაც მან ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს მიმართა, მას მხედველობაში ჰქონდა ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა მსოფლიო ომის წინ, როდესაც ომის მოწინააღმდეგეებს სხვადასხვა ქვეყნებში საშუალება არ ჰქონდათ აღემაღლებიათ ხმა და როდესაც ომის თავიდან ასაცილებლად მიმართული ღონისძიებანი დიპლომატიურ გზებს ვერ სცილდებოდნენ (ადს).

ახალი მთავრობა ჩეხო-სლოვაკიაში

პრაღა, 6 დეკემბერი. არაოფიციალური ცნობებით, სოციალისტურმა პარტიამ მიიღო პრემიერ უდრჟალის წინადადება ახალ კაბინეტში პორტფელების განაწილების შესახებ. ბურჟუაზიული პარტიები მიიღებენ 9 პორტფელს, ხოლო სოციალისტური პარტიები — 6. (ადს)

ნანკინის მთავრობის უკანასკნელი დღეები

შანხაი, 6 დეკემბერი. ნანკინის მთავრობასთან დაახლოვებული წრეების აზრით, **ნანკინის** მთავრობისათვის დადგა გადამწყვეტი დღეები, იქნებ უკანასკნელი დღეებიც კი. გამწვავებული მდგომარეობა, რომელიც შექმნა ში-იუ-სიანის აჯანყებამ და რომელმაც დედაქალაქი ფინ-იუ-სიანის ჯარის შემოსევის უშუალო საფრთხის წინაშე დააყენა, მით უფრო საშიშია ნანკინისთვის, რომ ამ უკანასკნელმა სრულებით არ იცის, ვის დაეყრდნოს და ვინ ჩასთვალოს „ლოიალურად“. (ადს)

შანხაი, 6 დეკემბერი. ნანკინის წინააღმდეგ აჯანყებულმა ში-იუ-სიანმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ მას გული გაუტყდა ნანკინის პოლიტიკაზე და თავის მოვალეობად მიაჩნია **„მზად იყოლიოს თავისი ჯარი ნანკინის წინააღმდეგ“**. ში-იუ-სიანი წინადადებას აძლევს გენერლებს ენ-სი-შანს, ფინ-იუ-სიანის და ჩან-სუე ლიანს— მოიწვიონ ვან- ტინ ვეი, რათა მან „მოაწესრიგოს პოლიტიკური საქმეები“. **ანხუეის პროვინციის დედა ქალაქი ანცინი ში იუ-სიანის ჯარმა დაიჭირა**. ნანკინმა ახალ ფრონტზე გაგზავნა თავისი საუკეთესო ჯარი და თავისი გერმანელი სამხედრო მრჩევლები. (ადს)

შანხაი, 6 დეკემბერი. ხუბეის და ხენანის აჯანყებულ ჯარს ამას წინად იჩანის მახლობლად შეტაკება მოუხდა მთავრობის ჯართან. **აჯანყებულებმა ტყვია დაუშინეს ინგლისელთა ორ გამანადგურებელს**. ხანკოუდან იჩანში გაიგზავნა მესამე გამანადგურებელი. (ადს.

უნდობლობა პოლონეთის მთავრობას

მთავრობა არ აპირობს გადადგომას

ვარშავა, 6 დეკემბერი. მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების ვოტუმს სეიმში ხმა მისცა 24 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 120-მა. მუშურ- გლეხურ ბლოკს კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიუღია. კომფრაქციამ სხდომის დარბაზში გამართა დემონსტრაცია. ისმოდა ხმები: „ძირს ფაშიზმი, გაუმარჯოს პოლონეთის საბჭოთა რესპუბლიკას“. კომუნისტმა დეპუტატებმა დაიწყეს „ინტერნაციონალის“ მღერა. კომუნისტმა დეპუტატმა როჩიაკმა წითელი დროშა გაშალა. სეიმის თავმჯდომარე დაშინსკიმ სხდომა დახურა. (ადს)

ვარშავა, 6 დეკემბერი. მემარცხენე ოპოზიციამ თავისი პრესტიჟის გადარჩენის მიზნით, დაადგინა— შეიტანოს სვიტალსკის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების ვოტუმი. ამ საკითხის ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყველა მინისტრებმა. მინისტრების სიტყვების აზრი საერთოდ ასეთი იყო: სეიმს შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას, მაგრამ იმ სისტემის შეცვლაზე, რომელსაც პილსუდსკი იცავს, ლაპარაკიც არ შეიძლებაო. ტრიბუნაზე მინისტრების გამოჩენას მუშურ-გლეხური ბლოკი დემონსტრაციით შეხვდა. სვიტალსკის გამოჩენისას გაისმა ხმები: **„ძირს ფაშიზმის დიქტატურა, გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას“**. (ადს)

ვარშავა, 6 დეკემბერი. სეიმის სხდომაზე კენჭი უყარეს სეიმის თავმჯდომარის დაშინსკისადმი (პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრი) უნდობლობის გამოცხადების ვოტუმს. უნდობლობის ვოტუმი შეიტანეს სეიმის კომფრაქციამ, ბელორუსთა მუშურ-გლეხურმა კლუბმა, „სელრობ“-მა და ურთიერთ დახმარების გლეხურმა პარტიამ.

ვოტუმის დასაბუთებაში აღნიშნულია, რომ დაშინსკი ყოველნაირად უწყობდა ხელს ფაშისტურ მთავრობას, როდესაც მთავრობა მოითხოვდა მემარცხენე მუშა-გლეხ დეპუტატების გაცემას, ყოველთვის გამოდიოდა პოლონეთის იმპერიალისტური პოლიტიკის დამცველად და ყოველმხრივ იცავდა ტერორისა და ჩაგვრის რეჟიმს დასავლეთ უკრაინასა და ბელორუსიაში.

კენჭის ყრის დროს მთავრობასთან თანამშრომლობის უპარტიო ბლოკმა სხდომის დარბაზი დასტოვა. დაშინსკისათვის უნდობლობის გამოცხადება სეიმმა უარჰყო. (ადს)

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

ლორდთა პალატას არ შეუძლია ხელი შეუშალოს ინგლის-საბჭოთა ურთიერთობას

ლონდონი, 6 დეკემბერი. მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდ“-ი წერილს უძღვნის ლორდთა პალატის იმ რეზოლიუციას ინგლის- საბჭოთა ურთიერთობის განახლების საკითხის შესახებ, რომელშიაც ლორდთა პალატა ილაშქრებს ინგლის- საბჭოთა ურთიერთობის განახლების წინააღმდეგ. გაზეთი აღნიშნავს, რომ ლორდთა პალატის ამ რეზოლიუციას, საბედნიეროდ, მცირე მნიშვნელობა აქვს

„მთავრობა,—სწერს გაზეთი,— თავისი მოქმედებისათვის პასუხისმგებელია მხოლოდ თემთა პალატის წინაშე, რომელმაც უდიდესი უმრავლესობით მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებას. ეს საკმაოდ კარგად იციან ინგლისში. დიდი მნიშვნელობა აქვს, იმას, რომ ეს გაიგონ უცხოეთშიაც, კერძოდ, საბჭოთა კავშირში“.

გაზეთი ეხება ლიტვინოვის სიტყვებს, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირს სურს დაამყაროს მეგობრული ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის“.

„თუ ამ გზას დავადგებით,— სწერს გაზეთი — წარმატება უზრუნველყოფილი იქნება. ამ წარმატებას ხელს ვერ შეუშლის ლორდთა პალატის, ბებერ კონსერვატორთა გაბოროტებული გოდება“. (ადს)

„ჯვაროსნული ლაშქრობა“ ჩაიშალა

ლონდონი, 6 დეკემბერი. ლორდმა გლაზგომ, რომელიც არ დასწრებია ლორდთა პალატაში ინგლის- საბჭოთა ურთიერთობის საკითხის განხილვას, „მორნინგ-პოსტ“-ს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც აცხადებს: „ეს ბევრად უფრო მორალური საკითხია, ვიდრე პოლიტიკური, ვინაიდან საბჭოთა მოღვაწენი აშკარად იბრძვიან ღმერთისა და რელიგიის წინააღმდეგ“-ო.

გლაზგო აცხადებს, რომ ინგლისის ეკლესიამ „უდიდესი ჯვაროსნული ლაშქრობა“ უნდა დაიწყოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების წინააღმდეგ. „მორნინგ პოსტ“-მა მრავალ კლერიკალურ მოღვაწეს გაუგზავნა დეპეშა შეკითხვით, მზად არიან თუ არა ისინი „შეუერთდნენ ნაციონალურ პროტესტს ქრისტიანული სარწმუნოების აშკარა მტრებთან ურთიერთობის განახლების წინააღმდეგ“. გაზეთებში გამოქვეყნებული პასუხები ასეთ შედეგებს იძლევიან. 13 კაცი აცხადებს, რომ მზად არის შეუერთდეს პროტესტს, 10 უარს ამბობს, ხოლო 5 ნეიტრალურ პოზიციაზე რჩება. ამის გამო გაზეთი სწერს: თუ ეკლესიის ბელადები უარს ამბობენ აამხედრონ საზოგადოებრივი აზრი უღმერთობის წინააღმდეგ, მაშ არ უნდა უკვირდეთ, რომ ეკლესიები ცარიელდებაო. (ადს)

გერმანიაში კმაყოფილებით შეხვდენ ამხ. ლიტვინოვის სიტყვას საკ. ცაკის სესიაზე

გერმანიის ოფიციოზი ლიტვინოვის განცხადების შესახებ

ბერლინი, 6 დეკემბერი. საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი „დეიჩე დიპლომატიშ - პოლიტიშე კორესპონდენც“-ი ესალმება ლიტვინოვის განცხადებას ცაკის სესიაზე გერმანია - საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.

„გერმანიის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ, — სწერს გაზეთი,— თავიდანვე, აგრეთვე რაპალოს ხელშეკრულების დადების შემდეგ, იყო და რჩება აუცილებლად მეგობრული, მიუხედავად ზოგიერთი გაუგებრობისა, რასაც ცალკე მოვლენების ხასიათი ჰქონდა 7 წლის განმავლობაში, გერმანიას ერთი წუთითაც არ გადაუხვევია რაპალოს ხელშეკრულებით დასახულ ხაზიდან. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გერმანია - საბჭოთა ურთიერთობას, უწინარეს ყოვლისა კი სავაჭრო ურთიერთობას ორივე ქვეყნის შორის, მომავალშიაც ხელსაყრელი ხასიათი ექნება, როგორც ეს თავის მხრივ ლიტვინოვმა აღნიშნა.“

„ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტის დროს,— ნათქვამია შემდეგ წერილში, — გერმანიამ მრავალჯერ დაამტკიცა თავისი მეგობრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან. ამიტომ გერმანიამ არ უნდა მიმართოს რაიმე განსაკუთრებულ განცხადებას, იმის აღსანიშნავად, რომ ლიტვინოვის სიტყვებში, რომლებშიაც სჩანს მხურვალე სიმპატია გერმანიისადმი, იგი ხედავს საბჭოთა მთავრობის სურვილს — განამტკიცოს მეგობრული თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ორივე ქვეყნის სასარგებლოდ (ადს).

„კელნიშე ცეიტუნგ“-ი ლიტვინოვის სიტყვის შესახებ

ბერლინი, 6 დეკემბერი. „კელნიშე ცეიტუნგ“-ი აღნიშნავს, რომ **ლიტვინოვის მიერ ცაკის სესიაზე წარმოთქმულმა სიტყვამ დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა ბერლინის პოლიტიკურ წრეებში** (ადს).

საფრანგეთის მუშათა დელეგაციის მოხსენება საბჭოთა კავშირის შესახებ

პარიზი, 6 დეკემბერი. პარიზში, უნიტარულ პროფკავშირთა დიდ დარბაზში, საფრანგეთის მუშათა დელეგაციის მონაწილეებმა გაუზიარეს მუშებს თავიანთი შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ.

შვიდი დელეგატი და დელეგატი ქალი უმთავრესად შეეხო წარმატებებს ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში. დელეგატებმა თავიანთ საანგარიშო მოხსენებებს დასძინეს ის უშუალო შთაბეჭდილება, რომელიც მათ მიიღეს საწარმოების დათვალიერების დროს. დელეგატები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მიღწევებს კულტურულ და საბინაო მშენებლობაში და შრომის დაცვის საქმეში. დელეგაციის ერთ-ერთმა მონაწილე ქალმა გაუზიარა მუშებს თავისი შთაბეჭდილებანი წითელი არმიის ყოფა-ცხოვრებისა და ორგანიზაციის შესახებ. მან განაცხადა: „**წითელი არმიის ყოველი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა, ჩვენ აღტაცებით ვადევნებთ თვალყურს შორეულ-აღმოსავლეთის არმიის მოქმედებას**“. ამ განცხადებას აუდიტორია მქუხარე ოვაციით შეხვდა. კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით ჩაიარა. (ადს)

ეკონომიური კრიზისი შეერთ. შტატებში

ჰუვერი იმედს არ კარგავს—საქმიანი წრეების წარმომადგენელთა კონფერენცია

ვაშინგტონი, 6 დეკემბერი. გაიმართა საქმიანი წრეების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო მრეწველობის 300 წარმომადგენელზე მეტი.

კონფერენციისადმი გაგზავნილ მიმართვაში ჰუვერი ამბობს, რომ მრეწველობის წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევის მიზანია ისეთი დროებითი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც „მთელს მრეწველობაში გაატარებს და გაავრცელებს ამას წინად ბირჟაზე მომხდარ პანიკის შედეგების საწინააღმდეგო ღონისძიებებს“.

შემდეგ ჰუვერი აცხადებს, რომ „ადგილი აქვს მცირეოდენ უმუშევრობას, ხოლო საქმიან წრეებში—პესიმიზმს, შიშს გაურკვეველი მდგომარეობის წინაშე და მერყეობას, რომლებიც უნდა მოისპოს აქტიური მოქმედების გზით“.

ჰუვერის სიტყვით, შეერთებული შტატებისათვის უფრო ადვილია ახლანდელი კრიზისის დაძლევა, ვიდრე წინანდელის, ვინაიდან მრეწველობის ხელმძღვანელნი შეგვპირდნენ არ შეამცირონ ხელფასი, მუშათა ბელადები „შეგვპირდნენ“ არ დაუშვან შრომის კონფლიქტები, ხოლო „საქმიანმა წრეებმა“ ნებაყოფლობით იკისრეს მშენებლობის ორგანიზაციის გაფართოება და მრეწველობის შენარჩუნება არსებულ ფარგლებში, რომ ამით გააძლიერონ მუშა ხელის მოთხოვნილება“. (ადს).

ავსტრიის ფაშიზაცია

ფაშისტები ზეიმობენ გამარჯვებას

ვენა, 6 დეკემბერი. ავსტრიის კონსტიტუციის რეფორმის საპარლამენტო ქვეკომისიამ დაამთავრა თავისი თათბირები. ბურჟუაზიული პარტიები საბოლოოდ შეუთანხმდნენ სოციალ-დემოკრატებს. სოციალ- დემოკრატები შემდგომ დათმობებზე წავიდნენ და უკან წაიღეს თავიანთი მოთხოვნები. ბურჟუაზიული პრესა კმაყოფილებას გამოსთქვამს სოციალ-დემოკრატებთან მიღწეული შეთანხმების გამო. ფაშისტური პრესა აღნიშნავს სოციალ- დემოკრატების სრულ კაპიტულიაციას.

კომუნისტური „როტე ფანე“ მოუწოდებს მუშებს— ფაშისტებისა და სოციალ- ფაშისტების მთლიან ფრონტს დაუპირისპირონ პროლეტარიატის მთლიანი ფრონტი, გამოაცხადონ ერთი საათის საპროტესტო გაფიცვა და გამართონ დემონსტრაცია პარლამენტის შენობას წინ პლენარული სხდომის გახსნის დროს. (ადს)

საკავშირო ცაკის სესია

ამხ. მეჟლაუკის მოხსენება

მოსკოვი, 6 დეკემბერი. ექვსი დეკემბრის საღამოს სხდომაზე ამხ. მეჟლაუკმა გააკეთა მოხსენება სასოფლო-სამეურნეო მანქანების და ტრაქტორების მშენებლობის განვითარების გეგმის შესახებ. მახლობელი წლების განმავლობაში მშენებლობის ამ დარგში უდიდესი მუშაობა უნდა ჩავატაროთ,—სთქვა მომხსენებელმა. ბურჟუაზიულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის მექანიზაცია ანადგურებს მშრომელ გლეხობას. წვრილ მეურნეობას არ შეუძლია ისარგებლოს თანამედროვე მანქანებით, რომელთა გამოყენებაც ხელსაყრელია მხოლოდ მიწის დიდ მოედნებზე. ამხ. მეჟლაუკი ამის დასასაბუთებლად შეჩერდა კომბაინების გამოყენების მაგალითზე. კომბაინები წინანდელ მანქანებთან შედარებით, ორჯერ ამცირებენ პურის მოწევისა და ლეწვის თვითღირებულებას. კომბაინების წარმოების მოსაგვარებლად დონის როსტოვში და ნოვოსიბირსკში იგება ორი დიდი ქარხანა. მომავალ წელს ეს ქარხნები გამოუშვებენ 5.000 კომბაინს, 1931—32 წელს—20.000 კომბაინს, ხოლო 1932—33 წელს—40.000 კომბაინს (ადს).

თათბირი სას.-სამ. გადასახადის შესახებ

მოსკოვი, 7 დეკემბერი. გაიმართა საკავშირო ცაკის მეორე სესიის წევრთა კერძო თათბირი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და გაზაფხულის თესვის კამპანიის მომზადების საკითხის შესახებ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო საგადასახადო განყოფილების გამგემ ამხ. ლიფშიცმა აღნიშნა, რომ საჭიროა კულაკურ მეურნეობათა დაბეგვრის საქმის გამარტივება, ამასთან ინდივიდუალური დაბეგვრის წესი უნდა გავრცელდეს ყველა კულაკურ მეურნეობებზე.

უნდა შეიცვალოს კოლექტიურ მეურნეობათა დაბეგვრის წესი იმ მხრივ, რომ ამ მეურნეობებს შეუმცირდეთ გადასახადი. უმთავრესი ის არის, რომ ეს ცვლილებები სასწრაფოდ გატარდეს ცხოვრებაში და გასაგები გახდეს გლეხობისათვის.

ამხ. იაკოვლევი შეეხო გაზაფხულის თესვის კამპანიის მომზადების საკითხებს. მისი აზრით, საჭიროა ახლავე ზრუნვა იმაზე, რომ სოფელმა გაიცნოს თესვის კამპანიის გეგმა. „თუ გვსურს, ნათესის 10 პროცენტით გადიდება, ეს გეგმა იანვრამდე უნდა გავაცნოთ სოფელს, რომ ყოველმა მეურნემ იცოდეს, რას მოელის მისგან სახელმწიფო. გაზაფხულის თესვის კამპანია უნდა გაიშალოს დეკემბრის შუა რიცხვებში და მაშინ მარტში, უეჭველია, ნათესი უფრო გადიდდება, ვიდრე გეგმით არის ნავარაუდევი.

ამხ. მიქოიანმა ცაკის წევრთა ყურადღება მიაქცია მესაქონლეობის საკითხს. საერთოდ, ყველამ მხარი დაუჭირა იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი არსებითად უცვლელი დარჩეს, რათა მისი გამოქვეყნება შეიძლებოდეს არა უგვიანეს იანვრის დამდეგისა.

თათბირის დახურვის წინ ამხ. პეტროვსკიმ აღნიშნა, რომ თათბირზე წარმოთქმული მოსაზრებანი მიღებული იქნება მხედველობაში 1930 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საბოლოო დამუშავების დროს. (ადს).

დამკვრელი ბრიგადების საკ. ყრილობა

მუშების პატაკები

მოსკოვი, 7 დეკემბერი. დამკვრელი ბრიგადების ყრილობაზე ამხ. **ციბანკოვმა**, რომელმაც მოახსენა ყრილობას დონბასის და კრივოროჟიეს მუშაობის შესახებ, განაცხადა, რომ 1929—30 წლისათვის დონბასს დავალებული აქვს გაადიდოს ნახშირის ამოღება 40 მილიონ ტონამდე, რკინის მადნის ამოღება— 7 მილიონ ტონამდე და მარგანეცის— 634.000 ტონამდე. დონბასმა პროდუქციის თვითღირებულება უნდა შეამციროს: ნახშირზე 6.5 პროც., რკინის მადანზე —8 პროცენტით და მარგანეცზე — 6,5 პროცენტით. **ამ დავალების შესრულებას მემაღაროები, ინჟინრები და ტეხნიკოსები აისრულებენ სოციალისტური შეჯიბრების მეთოდებით.**

შემდეგ ურალის 150.000 მუშის სახელით ყრილობას პატაკს უდგენს ამხ. **რიაბოვი**, რომელიც აღნიშნავს, რომ ურალზე 917 დამკვრელი ბრიგადაა. ურალის მთელი რიგი ქარხნები გადადიან დამკვრელ წესდებაზე და მუშაობის სწრაფ ტემპებზე. დამკვრელი ბრიგადების ყრილობის წინაშე ურალის მუშები კისრულობენ გადამეტებით შეასრულონ 1929-30 წლის საკონტროლო ციფრები.

შემდეგ გამოდიან ამხ. **სომოვი** ორეხოვო-ზუევოს საფეიქრო ფაბრიკის მუშების სახელით და ამხ. **სოლოვიოვი**— ლენინგრადის ქარხნის „ელექტრო-ძალა“-ს მუშების სახელით. იმ მუშების გამოსვლას, რომლებიც პატაკებს უდგენდნენ ყრილობას ნახშირის, ლითონის და საფეიქრო მრეწველობის მუშაობის ახალი ტემპების შესახებ, ხვდებოდნენ ხანგრძლივი ტაშით და სალამით.

სოციალისტური შეჯიბრების ამოცანები

ამხ. ვეინბერგის მოხსენება

დამკვრელი ბრიგადების სოციალისტური შეჯიბრების ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. **ვეინბერგმა**

„სოციალისტური შეჯიბრება,— სთქვა ამხ. ვეინბერგმა,— თავისი განვითარების მესამე ეტაპში შედის. პირველი ეტაპი ხასიათდებოდა საზეიმო დაპირებებით და ხელშეკრულებების საპარადო ხელის მოწერით; ეს ხელშეკრულებები წარმოების წინაშე ხშირად განსაზღვრულ ამოცანებს არ აყენებდნენ, მათ საერთო დეკლარატიული ხასიათი ჰქონდათ.

მეორე ეტაპი განირჩეოდა იმით, რომ მუშები თავიანთ მუშაობას პრაქტიკულ ნიადაგზე აყენებდნენ—ჰქმნიდნენ დამკვრელ ბრიგადებს, რომლებიც იბრძოდნენ მუშაობის გაძლიერებული ტემპისათვის, თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

ახლა შეჯიბრება გადადის მესამე ეტაპში; ამჟამად წამოყენებულია ლოზუნგი— დამკვრელი ბრიგადებიდან დამკვრელ ამქრებისა და წარმოებებისაკენ“.

ამხ. ვეინბერგს მოჰყავს ფაქტები, რომლებიდანაც სჩანს მთელი რიგი წარმოებების ადმინისტრაციის უარყოფითი დამოკიდებულება დამკვრელ ბრიგადებისადმი. ეს ფაქტები ამტკიცებენ, რომ სამეურნეო მუშაკებმა და სპეციალისტებმა ძირიანად უნდა შესცვალონ თავიანთი დამოკიდებულება დამკვრელ ბრიგადებისადმი. დამკვრელებს ესაჭიროებათ ყოველდღიური ტეხნიკური დახმარება. პროფკავშირების ინჟინერ- ტეხნიკოსთა სექციების ამოცანაა—ამ მუშაობაში ჩააბან ინჟინრების და ტეხნიკოსების მთელი მასა.

დასასრულ, ამხ. ვეინბერგი ჩერდება დამკვრელი კოლექტივების და დამკვრელი კომუნების მოწყობის საკითხზე. მრავალი წარმოების მუშები ჰქმნიან ასეთ კოლექტივებს და კომუნებს.

როგორ უნდა ჩავატაროთ სოც. შეჯიბრება

ამხ. სეგალის მოხსენება

ამხ. ვეინბერგის შემდეგ სოციალისტური შეჯიბრების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. **სეგალი** (საკ. ა. ლ. კ. კ. ცეკა).

მომხსენებელს მოჰყავს კომკავშირელთა დამკვრელი ბრიგადების სანიმუშო მუშაობის მთელი რიგი მაგალითები. მუშათა ძირითადი მასები, უმთავრესად ახალი კადრები, ჯერ კიდევ არ არიან ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში. საკმარისი არ არის აგრეთვე კომკავშირელთა მონაწილეობა. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას ხელს უშლის აგრეთვე კლასობრივად უცხო გავლენა.

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობა პროფკავშირების და კომკავშირის მხრით მხოლოდ აღრიცხავს ფაქტებს, მაგრამ არ ეხმარება დამკვრელთა მოძრაობას და შეჯიბრებას. ხელმძღვანელობის ცალკე დარგები კუდში მისდევენ მუშათა ჩამორჩენილ ჯგუფებს.

ხუთწლედის მეორე წელს სოციალისტური შეჯიბრება უნდა ავიდეს უფრო მაღალ საფეხურზე. უპირველეს ყოვლისა მოძრაობას უნდა მიეცეს მასიური ხასიათი. სამეურნეო- პოლიტიკურ ხელშეკრულებებში სისწორით უნდა აღინიშნოს ის მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც სწარმოებს სოციალისტური შეჯიბრება. უნდა უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი დახმარება და ყურადღება შეჯიბრებაში ჩაბმულ მუშების მიმართ.

ამხ. სეგალს საჭიროდ მიაჩნია— ყოველნაირად გავრცელდეს მოწინავე წარმოებების შეფობა ჩამორჩენილ ფაბრიკებსა და ქარხნებზე, რომ უკანასკნელებმა გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა და გამდიდრდნენ ტეხნიკური გამოცდილებით.

ფართოდ უნდა გავშალოთ ლაშქრობა ტეხნიკური ცოდნის გასაძლიერებლად, რისთვისაც პირველ რიგში მოწყობილ უნდა იქნას საწარმოო კურსები მუშების ახალი ფენებისათვის; მოწყობილ უნდა იქნას აგრეთვე პროფტეხნიკური კურსები, უნივერსიტეტები და სხვ.

ყრილობის მიმართვა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

მოსკოვი, 6 დეკემბერი. დამკვრელი ბრიგადების სრულიად საკავშირო ყრილობამ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიმართა მისალმებით, რომელშიაც ნათქვამია:

„დამკვრელი ბრიგადები პირობას სდებენ, რომ უყოყმანოდ დაუჭერენ მხარს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა ნაბიჯებს საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის აჩქარებისა და თავდაცვის უნარიანობის ყოველმხრივი განმტკიცების საქმეში. დამკვრელთა ყრილობა აღტაცებით ადევნებს თვალყურს შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის მტკიცე და გმირულ მოქმედებას. ყრილობა სასტიკ პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ იმპერიალისტები ურცხვად პროვოკაციის მიზნით ერევიან საბჭოთა კავშირის საქმეებში ჩინელ დაქირავებულ ბანდიტებთან ბრძოლის დროს. დამკვრელთა ყრილობა მოუწოდებს მთელ მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას—დაირაზმონ კომუნისტური პარტიის ირგვლივ და უფრო მეტის აღფრთოვანებით, გაბედულებით და შეუპოვრობით წაიყვანონ წინ სოციალისტური მშენებლობის საქმე, საქმე კაპიტალიზმის ფესვების დაუნდობელი ამოფხვრისა, მუშათა კლასთან ერთად ჩვენ მთელ ძალღონეს მოვახმართ იმას, რომ 4 წელიწადში ან კიდევ უფრო მოკლე ვადაში განვახორციელოთ სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა. მთელ პარტიასთან ერთად ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ იმ მემარჯვენე ოპორტუნისტების მერყეობას და ხაზს, რომლებიც უკან იხევენ კულაკურ-კაპიტალისტური ელემენტების შეტევის წინაშე და კლასობრივ მტრებს უთმობენ სოციალიზმის პოზიციებს“ (ადს.

იუნგის გეგმის კრიზისი

შახტის მემორანდუმი იუნგის გეგმის გამო

ბერლინი, 7 დეკემბერი. რეიხსბანკის თავმჯდომარემ შახტმა იუნგის გეგმის გამო მემორანდუმი გამოაქვეყნა. შახტი აღნიშნავს: მე ვეღარ უყურებ იმას, თუ როგორ აჭიანურებენ იუნგის გეგმით დასახული ამოცანების განხორციელებას და რა ზიანს აყენებენ გეგმით გათვალისწინებულ ხელსაყრელ პერსპექტივებს. შემდეგ შახტი ამბობს: თუ იუნგის გეგმის განხორციელების შესახებ უცხო მთავრობებთან მოლაპარაკების დროს გერმანიისაგან კიდევ მოითხოვენ შემდგომ დიდ მსხვერპლს, რომელიც იუნგის გეგმის ფარგლებს გასცილდება, მაშინ წინდაწინვე ცხადია, რომ იუნგის გეგმის ციფრების გამძლეობა უფრო საეჭვო გახდება. იუნგის გეგმაში არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომ ახალი მსხვერპლის გაღების პირობა დავდოთ და გავიღოთ გადასახადები თანაბარი კომპენსაციის მიუღებლად. შახტი აღნიშნავს, რომ მას არავითარი პასუხისმგებლობა არ უკისრია იუნგის გეგმის სრულ განხორციელებისათვის, თუმცა მის შედგენაში მონაწილეობას იღებდა. ეს გეგმა შახტსა და მისი შედგენის სხვა მონაწილეებს სარეპარაციო საკითხის მოწესრიგების ერთად-ერთ შესაძლებლობად მიაჩნდათ.

გერმანიის მთავრობამ უნდა მოეთხოვოს,— ნათქვამია მემორანდუმში,—რომ ის არ დასთანხმდეს არავითარ დამატებით მსხვერპლზე და, ვიდრე საბოლოოდ მიიღებდეს იუნგის გეგმას, მოაწესრიგოს მთელი გერმანიისა და გერმანიის ცალკე სახელმწიფოების ბიუჯეტები (ადს).

გერმანიის მთავრობა უკმაყოფილოა

ბერლინი, 6 დეკემბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება: შახტის მემორანდუმის საპასუხოდ გერმანიის მთავრობამ განცხადება გამოაქვეყნა და აღნიშნა, რომ შახტის გამოსვლა მოხდა იმ მოლაპარაკების დროს, რომელიც ამ საკითხის გამო მთავრობასა და შახტს შორის სწარმოებდა. მთავრობა გაკიცხვას გამოსთქვამს მემორანდუმის ნაადრევად გამოქვეყნების გამო და აღნიშნავს, რომ ამით ზიანი მოსდის მთლიან სახელმწიფო ხელმძღვანელობას. გერმანიის მთავრობა არ აპირებს მემორანდუმის დასკვნების განხილვას. მთავრობამ გადასწყვიტა—11 დეკემბერს რეიხსტაგში დაასაბუთოს თავისი ზოგადი ფინანსიური პროგრამა და დასვას მთავრობისადმი ნდობის საკითხი მისი ფინანსიური და ზოგადი პოლიტიკის გამო (ადს).

„მშვიდობა და სიწყნარე“ მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციაში

ლონდონი, 6 დეკემბერი. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის უბრალო წევრთა „ამბოხი“ მთავრობის იმ კანონპროექტის წინააღმდეგ, რომელიც უმუშევართა დაზღვევას შეეხება, მშვიდობიანად დამთავრდა. მუშათა პარტიის ფრაქციის სხდომაზე მოხდა შეთანხმება იმის შესახებ, რომ არავითარი ფინანსიური ხასიათის შესწორება არ შეიტანონ და ითანამშრომლონ კანონპროექტის განხორციელებაში. (ადს).

საბჭოთა სუბტროპიკულ რაიონების სამეურნეო განვითარების გეგმა

ამხ. ლეჟავას სიტყვა

საკავშირო ცაკის სესიაზე

მოსკოვი, 7 დეკემბერი. საკავშირო ცაკის სესიაზე ამხ. ლეჟავამ სთქვა შემდეგი:

„ზოგჯერ ხუთწლიანი გეგმის თვით წლიური საკონტროლო ციფრების შეცვლა გვიხდება იმიტომ, რომ მუშაობის პროცესში ჩნდება ახალი აუცილებელი მოთხოვნილება. ერთი ასეთი მოთხოვნილების შესახებ მინდა ვილაპარაკო დღეს. საქმე შეეხება ზოგიერთ ტეხნიკურ კულტურებს, რომელთა პროდუქციაც იძლევა საჭირო მასალას მეტად მნიშვნელოვანი სამრეწველო დარგებისათვის. იმ ნახევარ ფაბრიკატებისა და ნედლეული პროდუქტების (ბამბის ჩაუთვლელად) საერთო ჯამი, რომელიც ჩვენ იძულებული ვართ საზღვარგარეთ შევიძინოთ 77 მილიონ ოქროს მანეთს შეადგენს. მარტო რეზინის მრეწველობისათვის ყოველწლიურად ვიძენთ 24 მილიონი მანეთის კაუჩუკს. ვილაცამ ახსენა კორპის („პროპკა"). კორპზე იხარჯება 8 მილიონამდე ოქროს მანეთი. ქაფური, სამკურნალო მცენარეები, ეთერის მრავალნაირი ზეთი, რაც ჩვენი ქიმიური მრეწველობისათვის არის საჭირო, ცხიმოვანი და საპარფიუმერიო მრეწველობა მოითხოვს 1 მილიონამდე ოქროს მანეთს. შემდეგ ჩაი, რომელსაც უდიდესი ადგილი უჭირავს ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში—29—30 მილიონამდე ოქროს მანეთს, და სხვა. გარდა აქ ჩამოთვლილი ტეხნიკური კულტურებისა ჩვენ შეგვიძლია ჩვენს სუბტროპიკულ რაიონებში გავაშენოთ უდიდესი ღირებულების ბოჭკოიანი მცენარეები, რომლებიც ასე საჭიროა საფეიქრო მრეწველობისათვის. არ შევეხები ისეთ საგნებს, როგორიცაა მანდარინი, ფორთოხალი და სხვა. შეგვიძლია თუ არა გავითავისუფლოთ თავი იმ მძიმე მოვალეობისაგან, რომელიც გვაიძულებს ვკვებოთ მრეწველობა მხოლოდ საიმპორტო მასალით? ამ კითხვაზე მეცნიერება და პრაქტიკა დადებით პასუხს გვაძლევენ: ჩვენ შეგვიძლია საიმპორტო ნედლეულის დაუხმარებლად წავიდეთ ოლად.

მთავრობამ დანიშნა კომისია, რომელსაც დაევალა განიხილოს საკითხი ჩვენი კავშირის იმ ტერიტორიების გამოყენების შესახებ, რომლებსაც თავიანთი ჰავის მიხედვით „სუბტროპიკული" ეწოდება და რომელთა ნიადაგი ხელსაყრელია ხსენებული კულტურების გასაშენებლად. ამ კომისიამ ჩემის თავმჯდომარეობით შეიმუშავა საორგანიზაციო გეგმა და პრობლემის გადაწყვეტის გზა. კომისიამ სცნო რომ ჩვენი სუბტროპიკული რაიონების გამოსაყენებლად საჭიროა შემდეგი გეგმის განხორციელება: სუბტროპიკულ რაიონებს სწავლულები ორ ნაწილად ჰყოფენ—სველ სუბტროპიკებად და მშრალ სუბტროპიკებად. სველი სუბტროპიკები მდებარეობენ შავი ზღვის ნაპირებზე, ტუაპსედან მიემართებიან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ საქართველომდე და მთავრდებიან ჩვენს აჭარისტანში, თურქეთის საზღვართან. მშრალი სუბტროპიკები მდებარეობენ შუა აზიაში, აზერბეიჯანში და სომხეთში. ბათომის რაიონში არსებობს საკმაოდ მტკიცე ორგანიზაცია „საქართველოს ჩაი". ეს სააქციო საზოგადოება თავის მუშაობას ანვითარებს ჩაქვის და მის მოსაზღვრე რაიონებში. სველი სუბტროპიკების დანარჩენი ტერიტორიის საექსპლოატაციოდ უნდა დაარსდეს ახალი სააქციო საზოგადოება, რომელმაც უნდა გააერთიანოს ამ ტერიტორიის სამეურნეო ექსპლოატაციის საქმე, მის ხელში უნდა გადავიდეს ყველა დაქსაქსული წვრილი პლანტაციები და საწარმოები, რომლებიც იქ მოიპოვებიან. შემდეგ უნდა მოეწყოს სააქციო საზოგადოება მშრალი სუბტროპიკების საექსპლოატაციოდ. მშრალი სუბტროპიკებიც უდიდეს სიმდიდრეს მოგვცემენ და დაფარავენ სუბტროპიკული ნედლეულის ჩვენ მოთხოვნილებას. ეს სააქციო საზოგადოებები თავიანთი ამოცანების წარმატებით შესრულებას შესძლებენ იმ შემთხვევაში, თუ ამ რაიონში გეგმაშეწონილად იქნება დაყენებული სამეცნიერო-საგამოკვლევო და საცდელ-საჩვენებელი საქმე. ეს სამი სააქციო საზოგადოება იქნება იმ სუბტროპიკული მეურნეობის სპეციალური კომიტეტის გამგებლობაში, რომელიც საკავშირო მთავრობასთან არსდება. ასეთი ორგანიზაცია, სადაც გაერთიანებული იქნება ხელმძღვანელობა და დაგეგმვის საქმე, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. თავის თავად ცხადია, რომ ამ საქმის განხორციელება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ორგანოები და სამეცნიერო და საცდელი ძალები ყურადღებით მოეკიდებიან მას. სოციალისტური მშენებლობის გზით მიმავალი ქვეყანა ჰქმნის ისეთ საფუძველს, რომელიც არა მარტო ანთავისუფლებს 3—4 წელიწადში საბჭოთა კავშირს უცხოეთის ბაზრის დამოკიდებულებისაგან, არამედ იმის საშუალებასაც იძლევა, რომ გაჩნდეს ჩვენი ექსპორტისა და შემოსავლის ახალი წყარო (ადს).

გერმანიის მუშების მისალმება

საკ. კომპარტიის (ბ) ცეკას

მოსკოვი, 7 დეკემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა კენიგსბერგის და ნიურენბერგის მუშებისაგან მიიღო მისალმება წითელი არმიის გამარჯვების გამო შორეულ აღმოსავლეთში (ადს).

პერიოდულ გამოცემათა გამოკვლევა

მოსკოვი, 7 დეკემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით, საკავშირო ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო 15 დეკემბრიდან იწყებს პერიოდულ გამოცემათა გამოკვლევას. გამოკვლევა შეეხება საბჭოთა კავშირის ყველა პერიოდულ გამოცემებს—გაზეთებს, კედლის გაზეთებს და მუშკორთა მოძრაობას (ადს).

სცილდებიან მემარჯვენეებს

მოსკოვი, 6 დეკემბერი. „პრავდა"-ს რედაქციისადმი გაგზავნილ წერილში საკავშირო კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი ამხ. **როზიტი** გაემიჯნა ამხ. ბუხარინის, რიკოვის და ტომსკის შეხედულებებს, რომელთა დაცვა მას შეცდომად მიაჩნია. ამხ. როზიტი სწერს, რომ იგი დაიცავს პარტიის გენერალურ ხაზს და შეებრძოლება ყოველგვარ გადახრას და შემარიგებლობას, განსაკუთრებით კი მემარჯვენე გადახრას, რომელიც მთავარ საფრთხეს წარმოადგენს. (ადს).

ავსტრალიის სამთამადნო მუშების ბრძოლა

ლონდონი, 6 დეკემბერი. ავსტრალიიდან მიღებული ცნობებით, კურიკურში 4 ათასი გაფიცული სამთამადნო მუშის კრებამ უარჰყო მაღაროს მფლობელებსა და პროფკავშირის რეფორმისტ ლიდერებს შორის დადებული შეთანხმება. მუშებმა დაადგინეს—მოუწოდონ სამთამადნო მუშებს, გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა მთელ ავსტრალიის ფედერაციაში, ვიდრე მაღაროს მფლობელნი არ დასთანხმდებიან განაახლონ მუშაობა ლოკაუტამდე არსებულ პირობებში. (ადს)

თურქეთის მთავრობის საგანგებო ღონისძიებანი

სტამბოლი, 6 დეკემბერი. თურქულ ლირის დაცემამ მთავრობას საგანგებო ზომები მიაღებინა. მინისტრთა საბჭომ დაადგინა—მთლიანად შეაჩეროს მთავრობის მიერ სხვადასხვა საგნების შესყიდვა საზღვარგარეთ. გამოცემულია დადგენილება, რომლის ძალითაც ბანკებსა და საკონცესიო საზოგადოებებს უცხოეთის ვალიუტის შეძენა მხოლოდ მინისტრთა საბჭოს ნებართვით შეუძლიათ. ამავე დროს, სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ბირჟაზე გამოიტანა 1500 გირვანქა სტერლინგი. ამის გამო გუშინ გირვანქა სტერლინგის კურსი ბირჟის დახურვის წინ 1.110 პიასტრიდან 1.057 პიასტრამდე დაეცა (ადს).

მშრომელთა პროტესტი

არავის მივსცემთ უფლებას ჩაერიონ საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში

ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის ჩარევამ ქართული დივიზიის ნაწილებშიც დიდი გულისწყრომა გამოიწვია. მთელ რიგ ნაწილებში ჩატარებულ იქნა წითელ-არმიელთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკების საერთო კრებები, რომლებზედაც გამოტანილ იქნა საპროტესტო რეზოლიუციები.

—:—

მზად ვართ ღირსეული პასუხი გავსცეთ იმპერიალისტებს

(მე-2 ცალკე მესანგრე ასეული)

მე-2 ცალკე მესანგრე ასეულის წითელ-არმიელთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკების საერთო კრებამ მოისმინა სამხედრო კომისრის ამხ. **სიხარულიძის** მოხსენება იმპერიალისტურ სახელმწიფოების საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევის შესახებ.

კრება აღშფოთებით შეხვდა ამ ცნობას და გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია.

კრება სავსებით იწონებს იმ მტკიცე პასუხს, რომელიც გასცა საბჭოთა კავშირის მთავრობამ არამკითხე „შუამავლებს".

— „ვაცხადებთ ყველასათვის გასაგონად—ნათქვამია რეზოლიუციაში, რომ ჩვენ მზად ვართ პირველ საჭიროებისთანავე პასუხი გავსცეთ იმპერიალისტებს".

—:—

იმპერიალისტების საპასუხოდ გავაძლიერებთ თავდაცვის უნარიანობას

(მე-2 საკავშირო ასეული)

მეორე საკავშირო ასეულის მთელი შემადგენლობა სასტიკ პროტესტს გამოსთქვამს იმპერიალისტების უკანასკნელ პროვოკაციულ გამოსვლის წინააღმდეგ.

საპროტესტო რეზოლიუციაში, რომელიც მიიღო ასეულის შემადგენლობის საერთო კრებამ ამხ. **ჩხიკვიშვილის** მოხსენების გარშემო, წითელარმიელები სიტყვას იძლევიან, რომ ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობების უკანასკნელი გამოსვლის საპასუხოდ უფრო მეტად გააძლიერებენ ნაწილის საბრძოლო უნარიანობას.

—·—

საზღვარს დაუდებთ იმპერიალისტების ზრახვებს

(სანიტინსტრუქტორთა სკოლა)

სანიტინსტრუქტორთა სკოლის კურსანტების, მეთაურების და პოლიტმუშაკების საერთო კრებაზე, ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობების უკანასკნელ გამოსვლის შესახებ, მოხსენება გააკეთა ამხ. **რივაცკიმ**.

საპროტესტო რეზოლიუციაში, რომელიც მიიღო კრებამ, სკოლის შემადგენლობა მოითხოვს ერთხელ და საბოლოოდ მიეცეს კატეგორიული გაფრთხილება თავხედ იმპერიალისტებს, რათა ისინი აღარ ჩაერიონ საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში, წინააღმდეგ შემთხვევაში წითელ-არმიას შესწევს ძალა და ღონე სათანადო პასუხი გასცეს ყველა მათ, ვინც ხელს შეუშლის ჩვენს მშენებლობას.

—:—

წითელი მხედრები ესალმებიან შორეულ აღმოსავლეთის არმიას

უკანასკნელ ამბების გამო, პირველ ქართულ საარტილერიო ლეგიონში შემდგარმა წითელარმიელების, მეთაურების და პოლიტმუშაკების საერთო კრებამ იმპერიალისტების საპასუხოდ შორეულ-აღმოსავლეთის წითელ არმიას გაუგზავნა შემდეგი შინაარსის მისასალმებელი დეპეშა:

„ჩვენ წითელი არტილერისტები პირველ დაძახილზევე თქვენთან ერთად ვიქნებით.

გაძლევთ მხედრულ სიტყვას, რომ მტკიცედ შევისწავლით სამხედრო და პოლიტიკურ საქმეს და გავაძლიერებთ ჩვენს სამხედრო მომზადებას.

გაუმარჯოს შორეულ-აღმოსავლეთის არმიის მებრძოლთა და მეთაურთა შემადგენლობას, რომელიც თავდადებით იცავს მსოფლიოში ერთად-ერთ პროლეტარულ სახელმწიფოს საზღვრებს!

გაუმარჯოს შორეულ-აღმოსავლეთის არმიის გამოცდილ და ბრძოლებში გამობრძმედილ სარდალს ამხ. ბლიუხერს!"

—:—

კმარა ამდენი თავშეკავება არამზადების მიმართ

(მე-2 საარტ. ლეგიონი)

6 დეკემბერს შესდგა მე-2 ქ. საარტ. ლეგიონის წითელარმიელთა და უფპოლიტშემადგენლობის სახელდახელო მიტინგი, რომელზედაც ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში ჩარევის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ლეგიონის სამხ. კომისარი ამხ. **ბერიძე**.

მომხსენებლის მიერ გაკეთებული ინფორმაცია აღშფოთებას იწვევს წითელ არტილერისტებში. „აივსო მოთმინების ფიალა", „კმარა ამდენი თავშეკავება არამზადების მიმართ"—გაისმის წითელარმიელების გულისწყრომა.

მიტინგი იღებს რეზოლიუციას, რომელშიაც სასტიკ პროტესტს გამოსთქვამს საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში იმპერიალისტების ჩარევის გამო და წითელი არტილერისტები ფიცსა სდებენ, რომ მტკიცედ დაიცავენ წითელ საზღვრებს.

—:—

ცეცხლისმქრობელი რაზმელებიც მზად არიან

ცნობამ იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირი არღვევს კელოგის პაქტს, თბილისის ცეცხლისმქრობელ რაზმელებში უდიდესი პროტესტი გამოიწვია, ცეცხლისმქრობელი რაზმელები აცხადებენ, რომ უფრო მტკიცედ დაიცავენ საბჭოთა კავშირს, უფრო მედგრად ასწევენ მაღლა წითელ დროშას და საჭიროების დროს ხელში აიღებენ იარაღს წითელ საზღვრების დასაცავად.

თბილისის წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები მზად არიან დაიცვან საბჭოთა კავშირის საზღვრები

ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტური მთავრობების ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტში ჩარევის ცდის გამო, თბ. მთელ რიგ დაწესებულებებსა და წარმოებებში შესდგა სახელდახელო მიტინგები. მიტინგებზე მიღებულ რეზოლიუციებში ნათქვამია, რომ ისინი სასტიკ პროტესტს აცხადებენ მსოფლიო იმპერიალისტური სახელმწიფოების საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევის ცდის გამო. მუშა-მოსამსახურეები, იმპერიალიზმის მთავრობების თავხედურ გამოსვლებს უპასუხებენ მით, რომ არც ერთი მუშა-მოსამსახურე არ დარჩება თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების გარეშე, ყველა უკლებლივ ჩაეწერებიან შორეულ აღმოსავლეთის წითელ-არმიის რიგებში, ენერგიულად დაიცავენ პროლეტარიატის სამშობლოს საზღვრებს, გააძლიერებენ საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეს და აქტიურად ჩაებმებიან საბჭოთა კავშირის სოციალისტურ მშენებლობაში.

ა. ლ. კ. კ. ცეკას პლენუმი

ამხ. იონოვის მოხსენება

მოსკოვი, 7 დეკემბერი. ახალგაზრდობის კომკავშირის სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეექვსე პლენუმზე ამხ. იონოვმა გააკეთა მოხსენება კომკავშირის სამხედრო მუშაობის ამოცანების შესახებ.

„აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარმა ამბებმა კომკავშირის სამხედრო მუშაობაში შეიტანა ერთგვარი გარდატეხა,—სთქვა ამხ. იონოვმა;—მაგრამ დღემდე ჯერ კიდევ არ არის შესრულებული კომკავშირის სრულიად საკავშირო ცენტრალური კომიტეტის დადგენილება კავშირის იმ წევრთა სამხედრო მომზადების შესახებ, რომელთაც ასეთი მომზადება არა აქვთ. კავშირის სამხედრო ამოცანების და სოციალისტური მშენებლობის დაცვის მოვალეობათა დავიწყება პრაქტიკაში ოპორტუნისტობას ნიშნავს. კომკავშირმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის ყველა ფრონტებზე.

დეკადაში ერთი დღე უნდა მოხმარდეს კომკავშირელთა სამხედრო მზადებას. კომკავშირელის ბილეთში უნდა აღინიშნებოდეს სამხედრო მზადების პირველი საფეხურის გავლა. კომკავშირმა სამხედრო მუშაობაში უნდა ჩააბას უპარტიო მშრომელი ახალგაზრდობა. უნდა განვავითაროთ სპორტის ისეთი მხარეები, რომლებიც საჭიროა თანამედროვე მებრძოლისათვის (წყლის, სროლის, ფარიკაობის, საპლანერო, სამოტორო და საველოსიპედო და სხვა სახის სპორტი).

პიონერთა შორის სამხედრო მუშაობას ისეთი ფორმები უნდა მიეცეს, რომ მათთვის ხელმისაწვდომი იყოს. (ადს)

პარტიული მშენებლობა

პარტიის წმენდის გაკვეთილები უნდა გამოვიყენოთ მომავალ მუშაობაში

მემარჯვენეობის სრული აღმოფხვრისათვის და პარტიული მუშაობის გასაუმჯობესებლად

პარტიის წმენდამ გამოამჟღავნა სუსტი მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა შორის

პარტწმენდის ზოგიერთ შედეგებზე

საქართველოს პარტორგანიზაციების წმენდა მთავრდება. მაგრამ წმენდის სრული შედეგების გათვალისწინება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რადგან ზოგიერთი უჯრედების შემოწმება მხოლოდ ეხლა მიმდინარეობს, სააპელაციო კომისიებს არ დაუსრულებიათ ჯერ მუშაობა და საკონტროლო კომისიაში არ მოუყრია თავი წმენდის ყველა მასალებს. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება პარტწმენდის შედეგები აჭარისტანის და კახეთის ოლქის სოფლის უჯრედების შესახებ. ამ მასალების მიხედვით შეიძლება წმენდის ზოგიერთი დასკვნების გაკეთება.

საყურადღებო ცნობებს იძლევა აჭარისტანის საოლქო პარტორგანიზაციის წმენდის შედეგები. აჭარისტანის პარტორგანიზაციიდან ყველაზე მეტი გამორიცხულია ყოფა-ცხოვრებითი გახრწნილების, პოლიტიკური უვიცობის, კონტრაბანდისტობის და კულაკურ ელემენტებთან კავშირისათვის. აჭარისტანის სოფლის პარტუჯრედებში თითქმის არავითარი პოლიტიკური მუშაობა არ სწარმოებდა, პარტიის წევრები ამის გამო ვერ ერკვევიან ელემენტარულ პოლიტიკურ საკითხებში, თვით პარტიული უჯრედების მდივნებს ხშირად წარმოდგენა არ აქვთ პარტიის და ხელისუფლების საყურადღებო დირექტივებზე, უჯრედები არ აწარმოებენ სათანადო კლასიურ ბრძოლას, რადგან არ აქვთ გარკვეული კულაკობასთან ბრძოლის მნიშვნელობა.

პარტიის რიგების შემოწმებამ და წმენდამ გამოარკვია, რომ აჭარისტანის ძველი საოლქო პარტიულ ხელმძღვანელობას თითქმის არაფერი გაუკეთებია სოფლის კომუნისტების პოლიტიკური აღზრდისათვის, მის მიერ არ ყოფილა გამოყენებული საწარმოო უჯრედები და პარტიის ინტელიგენტური ძალები აჭარისტანის პარტიულ ორგანიზაციაში სათანადო პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩასატარებლად, არ სწარმოებდა სასტიკი ბრძოლა პარტიის წევრთა შორის კონტრაბანდისტობის წინააღმდეგ და ძლიერ ცოტა იყო გაკეთებული სოფლის პარტუჯრედების მდივნების მოსამზადებლად.

ასეთივე მდგომარეობა გამოამჟღავნა პარტწმენდამ კახეთის ოლქის პარტიულ ორგანიზაციაში. კახეთის ოლქის ბევრს სოფლის პარტუჯრედიდან (როგორც მაგ. ჩაილურის, ჯიმითის და სხვ.) გამოირიცხა წევრთა და კანდიდატთა თითქმის ნახევარი. ხშირია შემთხვევები კახეთის ოლქში კომუნისტების გაკულაკების, პარტიის წევრების მიერ კოლექტივების წინააღმდეგ გალაშქრების და სოციალურად უცხო ელემენტებთან დაკავშირების. კახეთის ოლქის პარტორგანიზაციის წმენდამ გამოარკვია აგრეთვე, რომ სუსტი მუშაობა სწარმოებს ეროვნულ უმცირესობათა შორის, პარტიის ზრდის და მოწესრიგების საკითხს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. და ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა სოფ. იორ-მუღანლო. ამ სოფელში 8000-მდე კომლია თურქეთის მოსახლეობის, ხოლო პარტწმენდამდე არსებობდა 5 კაცისაგან შემდგარი საკანდიდატო უჯრედი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვინმე ალალია ყარამანოვი— ცნობილი კულაკი, მევახშე და გამფლანგველი. სოფელ იორ-მუღანლოში მრავალი მოჯამაგირეა, მაგრამ ისინი არ ყოფილან პარტიაში მიღებულნი, არ დაუწინაურებიათ არც ერთი მოჯამაგირე. კახეთის პარტორგანიზაციამ სათანადოთ უნდა გამოიყენოს წმენდის შედეგები, მან განსაკუთრებით ეროვნულ უმრავლესობათა შორის უნდა გააძლიეროს პარტიული მუშაობა და მედგრათ უნდა შეებრძოლოს სოფლის კომუნისტთა შორის გამდიდრების და კულაკობასთან დაკავშირების ყოველგვარ ტენდენციას.

წმენდამ თბილისში და მის ოლქში გამოამჟღავნა პარტმუშაობის მთელი რიგი დეფექტები. მაგ. ამიერ-კავკასიის წყალთა სამმართველოს უჯრედში კომუნისტები უპარტიოთა შორის მალავდნენ საკუთარ სახეს და ახალებდნენ თავიანთ თავს უპარტიოებათ; საქართველოს სახვაჭრობის კომუჯრედის მდივნად მთელ რიგ წლების განმავლობაში იყო ყოფილი გვარდიელი და კოლჩაკის არმიის ოფიცერი; სოფ. ყაზბეგის კომუჯრედის ზოგიერთი წევრები ასრულებდნენ საეკლესიო წესებს, მონაწილეობას იღებდნენ რელიგიურ დღესასწაულებში, ოჯახის წევრის დასაფლავებისას აწყობდნენ ქელეხებს და სხვა. პარტწმენდის შედეგათ თბილისის საოლქო პარტორგანიზაციის სოციალური შემადგენლობა გაუმჯობესდა. თუ წმენდამდე თბილისის ოლქის 70 უჯრედში მუშები შეადგენდნენ 56,4 პროც., წმენდის შემდეგ მუშები შეადგენენ 57,1 პროც., ხოლო მოსამსახურეთა რიცხვმა დაიკლო 38,2 პროც.-დან 37,5 პროცენტამდე.

ჩვენს გაზეთში დღემდე გამოქვეყნებული მასალები პარტიის რიგების შემოწმებისა და წმენდის შესახებ ადასტურებს, რომ წმენდის პროცესში მეტად სუსტად მიმდინარეობდა პარტიაში ახალი წევრების მიღება მოჯამაგირეთა და მუშების წრიდან. თვით კახეთის და თბილისის ოლქში, სადაც დიდია მოჯამაგირეთა რიცხვი, თითქმის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ გამწმენდ კომისიებს მოჯამაგირეთა მისაღებათ პარტიაში. ნაკლები ყურადღება ექცეოდა აგრეთვე წმენდის დროს მუშების მიღებას პარტიაში როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა სამრეწველო ცენტრებში.

ეს გარემოება აღნიშნულ იქნა საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მიერ ჯერ კიდევ ერთი თვის წინეთ პარტიის ზრდისა და მოწესრიგების გამო მიღებულ რეზოლიუციაში. ცეკას დადგენილებაში ნათქვამია, რომ პარტიაში ახალი წევრების მიღება სწორედ წმენდის პერიოდში (წლის მესამე მეოთხედში) საგრძნობლად შემცირდა. თუ მაგ. 1929 წლის პირველ მეოთხედში მიღებულ იქნა საქართველოს კომპარტიაში 1062 კაცი, მეორე მეოთხედში 641, მესამე მეოთხედში— მხოლოდ 338. ამიტომ ხაზს უსვამს ცეკას რეზოლიუცია, რომ „პარტორგანიზაციების მიერ არაა შესრულებული ცეკას დირექტივა წმენდის პერიოდში მუშებისა და მოჯამაგირეების პარტიაში მიღების შესახებ და ამასთანავე შემცირებულია დაზგის მუშების და მოჯამაგირეთა ხვედრითი წონა წლის მესამე მეოთხედში (76 პროცენტამდე)".

რა გამოარკვია პარტწმენდამ აჭარისტანის ორგანიზაციაში

აჭარისტანის პარტორგანიზაციის წმენდა და შემოწმება დამთავრდა. ამჟამად შესაძლებელია მთლიანად ჯამი გაუკეთოთ აჭარისტანის ორგანიზაციის წმენდის შედეგებს. აჭარისტანის კომუნისტურ ორგანიზაციაში ამ უკანასკნელ ხანებში მოკალათდა არა საიმედო ელემენტები, ორგანიზაციის ზრდის დროს პარტიაში შემოგვეპარა სოციალურად და პოლიტიკურად მიუღებელი პირები. პარტწმენდის და შემოწმების მიზანი იყო ასეთი ელემენტების გამომჟღავნება და პარტიის რიგებიდან გამორიცხვა. აჭარისტანის ორგანიზაციაში პარტიის რიგების წმენდა და შემოწმება დაიწყო 17 ივნისიდან. უნდა აღინიშნოს, რომ წმენდის მოსამზადებელი მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებლად იყო ჩატარებული.

წმენდის და შემოწმების დროს აჭარისტანის ზოგიერთ უჯრედში გამომჟღავნებულ იქნა მეტად საყურადღებო დეფექტები. მაგ., სანაპირო არტელის უჯრედში აღმოჩნდა იდეოლოგიურად მერყევი ელემენტები და ფარული ტროცკისტები. ამავე უჯრედში ადგილი ჰქონდა პარტ-დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს, პარტიის ზოგიერთი წევრები ეწეოდენ ლოთობას და თავიანთ ქცევით მეტად უარყოფით გავლენას ახდენდენ უპარტიოებზე. მეტად ცუდი მდგომარეობა იყო აზნავთშენის უჯრედში. ამ უჯრედის წევრებს შორის გამეფებული იყო კინკლაობა. კომუჯრედის ბიურო სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევდა უჯრედის მუშაობას; მიუხედავათ იმისა, რომ აზნავთშენში მუშა-კომუნისტების რიცხვი საკმაოა, ბიუროს წევრების 80 პროც. მოსამსახურეები შეადგენდნენ, განსაკუთრებით ადმინისტრაციიდან. კომუჯრედის ბიურო ამის გამო ყურადღებას არ აქცევდა უჯრედში გამეფებულ ინტრიგას, პირიქით, ბიუროს ზოგიერთი წევრები თვით გამოდიოდენ ინტრიგის სულის ჩამდგმელებათ. აღმზრდელობითი მუშაობა ამ მუშურ უჯრედში სრულიად მივიწყებული იყო. უჯრედში შექმნილ მდგომარეობამ ბევრი მუშა-ბოლშევიკი აიძულა დაეტოვებინა პარტია. ასეთივე მდგომარეობას ადგილი ჰქონდა სხვა დაწესებულებათა უჯრედებში. სახელდობრ: მუშკოოპის უჯრედში, აღმასკომში, კავშირგაბმულობის უჯრედში და სხვა.

გამწმენდ კომისიამ აჭარისტანის ორგანიზაციის უჯრედების დიდი უმრავლესობის მუშაობის შესახებ უარყო[illegible] დასკვნები გამოიტანა. ეს ბიუროკრა[illegible] რადგან აჭაროლქკომის ძველი ხელმძღ[illegible]ბა ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. [illegible]იგების წმენდამ და შემოწმებამ ეს კიდევ უფრო დაადასტურა.

მუშურ უჯრედებში წმენდა გაცილებით აქტიურად ჩატარდა, ვიდრე დაწესებულებათა უჯრედებში, ერთ სამწუხარო მოვლენას ჰქონდა ადგილი მუშურ უჯრედებში; ეს არის შემდეგი: ზოგიერთი უღირსი პირები, რომელთაც პარტიაში სურდათ გაძრომა, წარმოებაში ორი სამი წლით, ან რამოდენიმე თვით ახერხებდა მოკალათებას, იქ მიიღებდა მუშის სახელწოდებას და ადვილად ახერხებდა პარტიაში შესვლას. ასეთი გზით მრავალი არასაიმედო პიროვნება შეიპარა პარტიაში; სამწუხაროთ მუშურ პარტუჯრედებში აღმოჩენილ იქნა ყოფილი სისხლის სამართლის დამნაშავეები, პროვოკატორები, კონტრაბანდისტები, გამფლანგველები და სხვა. პარტიის ასეთ „წევრებს" უჯრედის მუშაობაში ხშირად შეჰქონდათ დეზორგანიზაცია, სცემდენ პარტიის პრესტიჟს, ყურადღებას არ აქცევდენ პარტიულ მუშაობას, აღვივებდენ პარტიის წევრებს შორის კარიერიზმს და სხვა.

მეტად ცუდი მდგომარეობა გამოირკვა მაზრის პარტუჯრედების შემოწმების დროს. საოლქო კომიტეტის მიერ მაზრების პარტუჯრედებზე თითქმის არავითარი ხელმძღვანელობა არ არსებობდა. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი მაზრის სოფლის კომუჯრედის მდივანი უპარტიო აღმოჩნდა, უპარტიო უჯრედის მდივნის მოვალეობას სამი წლის განმავლობაში ასრულებდა. მაზრის უჯრედების გამოკვლევა საოლქო კომიტეტის მიერ ერთხელაც არ მომხდარა. მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა პარტიაში მიღება აჭარისტანის სასოფლო პარტორგანიზაციაში მივიწყებულია; პარტწევრები პოლიტიკურათ სავსებით უვიცნი აღმოჩდენ, არავითარი მუშაობა არ ყოფილა ჩატარებული სოფლის კომუნისტებისათვის პარტიის საყურადღებო დადგენილების ახსნა-განმარტებისათვის.

კომისიამ წმენდაში გაატარა პარტიის 1932 წევრი და კანდიდატი. აჭარისტანის პარტორგანიზაცია კი აერთიანებს ორი ათასზე მეტ პარტიის წევრსა და კანდიდატს, მაგრამ ყველას წმენდა არ მოხერხდა მთელ რიგ მიზეზების გამო. (ავადმყოფობა, შვებულება), წმენდის დროს შემოწმებულ იქნა—1130 მუშა (58,4 პროც.), 613—მოსამსახურე (31,8 პროც.) 174 გლეხი (9 პროც.), და სხვები—15,8 პროც. წმენდაში გატარებულ პარტწევრების და კანდიდატების ნაციონალური შემადგენლობა ასეთია: აჭარელი—299 კაცი (15,5 პროც.), ქართველი—1054 (54,6 პროც.), რუსი—285 (14,8 პროც.), სომეხი—171 (9 პროც.), თურქი—16 (0,8 პროც.), სხვა ეროვნების—102 (5,3 პროც.).

აჭარისტანის ორგანიზაციიდან გამწმენდ კომისიის მიერ გამორიცხულ იქნა—195 წევრი და 131 კანდიდატი, სხვადასხვა პარტსასჯელი მიიღო 230 კაცმა, აქედან გაფრთხილება მიიღო 126 კაცმა და საყვედური—უკანასკნელი გაფრთხილებით 66 კაცმა, გამორიცხულებიდან მუშებია—101 წევრი და 64 კანდიდატი, მოსამსახურეები—64 წევრი და 39 კანდიდატი, გლეხები—28 წევრი და 16 კანდიდატი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა განიხილა აჭარისტანში პარტ-ორგანიზაციის გამწმენდ კომისიის მუშაობა და ის საჩივრები, რომლებიც შემოტანილი იყო გამორიცხულთა მიერ. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის მიერ პარტიაში აღდგენილ იქნა სულ 48 კაცი; ამათში მუშებია—34, მოსამსახურეები—13, გლეხი—ერთი. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა დამატებით გამორიცხა 6 კაცი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს შემდეგი გარემოება: როდესაც წმენდა დამთავრდა, პარტიის ზოგიერთ წევრებმა დაიწყო ლოთობა, ჩხუბი, ინტრიგა და სხვა. ასეთი პირები გაიძახოდენ „რადგან პარტბილეთები ვიგდეთ ხელში, აწი არაფერი არ გვიჭირსო". გამწმენდმა კომისიამ ჩამოართვა მანდატები ასეთ პირებს და გარიცხა პარტიიდან.

ამგვარად უნდა აღინიშნოს, რომ პარტწმენდამ აჭარისტანის ორგანიზაციას მოაშორა მრავალი არა კომუნისტური ელემენტი. პარტიიდან გაირიცხენ ყოფილი გვარდიელები, ფარული ტროცკისტები, კონტრაბანდისტები და სხვა მავნე ელემენტები.

ს. მებრელიშვილი.

პარტწმენდა კახეთის ოლქში

სადგური მელაანის კომუჯრედის წევრთა უმეტესობას რკ. გზის შემკეთებელი მუშები შეადგენენ. უჯრედის წევრთა შორის ადგილი აქვს ლოთობას, შრომის დისციპლინის დარღვევას. ამ ნიადაგზე მთელი უჯრედი გადაკიდებული ჰყავს გზის ოსტატს მაღრაძეს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც მუშაობის დროს მუშებს ეძინებოდათ და მოშორებით მეთვალყურე დაეყენებიათ—გზის ოსტატმა არ მოგვისწროსო. გზის ოსტატიც კომუჯრედთან შეთანხმებულ მუშაობას არ აწარმოებდა. უჯრედში მასიური მუშაობა სრულიად არ სჩანდა. კომისიამ 10 წევრისა და კანდიდატიდან გამორიცხა ორი კაცი, ორს კი საყვედური გამოუცხადა.

სოფელ მელაანის უჯრედიც ვერ იდგა სასურველ დონეზე. უჯრედში აღმოჩნდენ გამფლანგველები ღვთის მორწმუნეები. და ხულიგნები. პარტიის წევრები კოლმეურნეობის დაარსებაზე სრულიად არ ფიქრობდენ, პურის დამზადების კამპანიაში აქტივობას არ იჩენდნენ, არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ ნებაყოფლობით საზოგადოებებში მუშაობას, სუსტია მუშაობა მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა შორის. წმენდაში გატარდა 8 წევრ-კანდიდატი. გარიცხული იქნა 3 ამხანაგი, საყვედური გამოეცხადა ერთს—შრომის დისციპლინის დარღვევისათვის და ლოთობისათვის.

სოფელ არაშენდას კომუჯრედი და თემკომი კულაკების გავლენის ქვეშ მოექცა. თემკომმა და უჯრედმა ვერ გაიგო პარტიის ხაზი კულაკებთან ბრძოლაში, ვერ შესძლო დაერაზმა მათ წინააღმდეგ მოჯამაგირეები და უღარიბესი გლეხები. ხმა ჩამორთმეული კულაკები კი შეკავშირებული გამოდიოდნენ ღარიბთა წინააღმდეგ; იყო შემთხვევა, როდესაც თემსაბჭოს თავმჯდომარეს უარი განუცხადებია კრებაზე გამოსვლაზე და უთქვამს „კულაკები დამამარცხებენო". პურის დამზადება არაშენდას თემში არანორმალურად ჩატარდა. პურის ჩაბარება მოთხოვეს ყველას, იმისდამიუხედავათ ჰქონდა თუ არა ამა თუ იმ გლეხს პური. ღარიბ გლეხებს, რომელთაც პური არ ჰქონდა, ლობიო და კარტოფილი ჩაუბარებია შეწერილი პურის ანგარიშში, ან და ფუთი პური 5 მანეთად უყიდია და დამამზადებელ ორგანიზაციისათვის 2 მანეთად ჩაუბარებიათ. ეს იმიტომ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ არჩევდა ღარიბსა და მდიდარს და ყველას ბოიკოტით ემუქრებოდა. თემკომი და საკრედიტო ამხანაგობა ხელს უწყობდა შავსიელებს. მაგალითად, კულაკები—ტოკაროვები საკრედიტო ამხანაგობიდან ნისიათ ღებულობდენ სალეწ მანქანას და მიქონდათ მეორე თემში.

სასოფლო - სამეურნეო სკოლაში მოკალათებული არიან შავსიელების შვილები. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კულაკების აშკარა დამცველის, ხელისშემწყობის და მრჩეველის როლს ასრულებს არსენიშვილი, უპარტიო გლეხი, ამიერ-კავკასიის ცაკის წევრი. არსენიშვილი საჭირო შემთხვევაში თბილისშიაც მიუძღვის კულაკებს და შუამდგომლობას უწევს მათ სხვადასხვა დაწესებულებების წინაშე. თემკომს და უჯრედს ჯერ კიდევ არ აქვს შესწავლილი გლეხობის ფენებათ დაყოფა, სუსტია მასიური მუშაობა, სოფელში გავრცელებულია ქურდობა. პარტიიდან გარიცხულ იქნა თემკომის მდივანი მახარაშვილი და პარტიის სამი სხვა წევრი.

ჯიმითის კომუჯრედში ადგილი ჰქონდა მემარჯვენე გადახრას. თემსაბჭოს გამოაქვს დადგენილება: „ჩვენ სოფელში კულაკები არ მოიპოვებაო"; სუსტია ხელმძღვანელობა კომკავშირის უჯრედზე, რის გამო უჯრედსა და კომკავშირს შორის ადგილი აქვს უთანხმოებას, დამახინჯებულ იქნა პურის დამზადების კამპანია, ზოგიერთი კომუნისტი წლობით არ იხდიდა პარტიის საწევრო გადასახადს. უჯრედში ირიცხებოდა ყოფილი ვაჭარი და ყოფ. მამასახლისი. 11 წევრიდან გარიცხული იქნა 3, საყვედური გამოეცხადა ერთს.

სოფ. ყანდაურას უჯრედში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა, მაგრამ აქაც აღმოჩნდენ გამოუსწორებელი ლოთები და მორწმუნე „კომუნისტები". 13 წევრ-კანდიდატიდან გარიცხულ იქნა ორი, ხოლო ოთხს სხვადასხვა პარტსასჯელი მიეცა.

სოფ. იორ-მუღანლოს მოსახლეობას თურქები შეადგენენ. ძნელია იმის თქმა, რომ ამ სოფელში რაიმე გაკეთებულა, საბჭოთა ხელისუფლების ხელი აქ ჯერ კიდევ არ სჩანს. კულტურულად მოსახლეობა ძალზე ჩამორჩენილია, ეკონომიურად კი—ძლიერი. იორ-მუღანლოში 8.000 კომლი სცხოვრობს. პარტიის უჯრედი კი 5 კანდიდატისაგან შესდგება. ამ ხუთ კაცსაც პოლიტიკისა და პარტიის ხაზის არაფერი გაეგებათ, საკანდიდატო უჯრედს დღემდე ხელმძღვანელობდა ალალია ყარამანოვი, რომელიც განთქმულ კულაკად ითვლებოდა იორ-მუღანლოში. წმენდის მოახლოვებისას ყარამანოვმა მთელი ქონება ცოლის სახელზე გადაიტანა, წმენდის დროს განაცხადა: „მე სუფთა პროლეტარი ვარო". მაგრამ დამსწრე გლეხებმა გამოამჟღავნეს ყარამანოვის „პროლეტარობა". ის აღმოჩნდა ნამდვილი კულაკი, ჰყავს 250 ცხვარი, 25 ძროხა, ხარები, კამეჩები, სამი მოჯამაგირე, გაუფლანგავს საზოგადოება „ბირლიკი"-ს 4.500 მანეთი, ეწევა მევახშეობას; ცოლი, რომელსაც მან ქონება გადასცა დაზღვეული ჰყავს. იბეგრება პერსონალურათ.

სოფ. კაკაბეთის უჯრედში წმენდის დროს შესდგება ყოფ. გვარდიელებისაგან, რომლებიც თებერვლის დღეებში თავდადებით იბრძოდენ წითელი ჯარის წინააღმდეგ; წითელ ხიდთან დამარცხების შემდეგ, ისინი ხოილურში თავს ესხმოდნენ გამვლელ წითელარმიელებს და ხოცავდენ მათ. კომუჯრედში თითქმის არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა, კომისიამ 11 წევრიდან გარიცხა 5 კაცი, ყოფილი გვარდიელები.

სოფ. კაკაბეთის უჯრედში წმენდის დროს კომუნისტები ერთმანეთს იცავდენ, რის გამო გაძნელდა პარტიის ცალკე წევრთა ნამდვილი ფიზიონომიის გამორკვევა. უჯრედის წევრთა შორის ადგილი ჰქონდა ქურდობას, უჯრედში ირიცხებოდნენ მეფის დროის „ველური დივიზიის" წევრები. საკრედიტო ამხანაგობა გადაქცეული იყო სამიკიტნოთ, სადაც თავისუფლათ შეიძლებოდა არაყის ყიდვა. უჯრედში თითქმის არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა, კომუნისტები გაურბოდნენ კოოპერაციონობაში შესვლას. 19 წევრ-კანდიდატიდან პარტიიდან გარიცხულ იქნა 5 კაცი, სხვადასხვა პარტსასჯელი მიეცა 3 ამხანაგს.

შ. ჭიპაშვილი.

როგორ იზრდება ს.კ.პ. (ბ) ლენრაიონის ორგანიზაცია

შევასრულოთ პარტიის დირექტივა

ლენრაიონის პარტორგანიზაციაში დამაკმაყოფილებლად იქნა შესრულებული ზემდგომ პარტორგანოების დირექტივები პარტიაში მუშების მიღების შესახებ. ამ ერთი წლის განმავლობაში ორგანიზაცია გაიზარდა 521 კაცით, ანუ 11,7 პროცენტით. უპარტიო მუშების ლტოლვა პარტიისაკენ საკმაოდ ძლიერი იყო, რასაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ ერთი წლის განმავლობაში შეტანილ იქნა 1931 მუშის განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ქალების მიღება პარტიაში არა საკმარისად მიმდინარეობდა. წინა წელთან შედარებით ქალთა პროცენტი ორგანიზაციის შემადგენლობაში 6,2-დან— 6,4-მდე გაიზარდა.

პარტიის წმენდის დროს უჯრედები ვერ ატარებდნენ ფართო ახსნა- განმარტებით მუშაობას გამორიცხულების ნაცვლად პარტიაში მუშების ახალი კადრების მისაღებად. პირიქით, შემჩნეულია, რომ წინა კვარტალთან შედარებით წმენდის დროს საგრძნობლად შესუსტდა პარტიაში მუშების მიღების ტემპი.

გარდა ამისა, კომუჯრედების მიერ არა საკმაოდ არის შესრულებული რაიკომის პრეზიდიუმის მითითებები პარტიის კანდიდატთა შორის მუშაობის გაძლიერების შესახებ. კანდიდატთა რაოდენობის 90 პროცენტს დიდი ხანია დაუსრულდა საკანდიდატო სტაჟი.

პარტიის რაიკომის პრეზიდიუმმა გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი პარტორგანიზაციის ზრდისა და მოწესრიგების დარგში. სახელდობრ: რაიკომი საჭიროთ სთვლის, რომ გაძლიერებული იქნას მუშაობა მუშების მისაღებად. კომუჯრედებმა ენერგიული ზომები უნდა მიიღონ, რათა პარტიაში მიღებულ იქნას მუშათა მოწინავე ნაწილი, ხანგრძლივი საწარმოო სტაჟის მქონე მუშები და მუშა-ქალები, რომლებიც იჩენენ სათანადო პოლიტიკურ სიმტკიცეს და პირადი მაგალითით ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების ზრდას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, იბრძვიან ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და სხვ.

კომკავშირის რაიკომმა და კომუჯრედებმა ადგილებზე უნდა მოაწყონ მუშა- კომკავშირელთა აქტივისა და ასაკ გადაცილებულთათვის წრეები, მათი საუკეთესო ნაწილის პარტიისათვის მოსამზადებლად. კომუჯრედებმა, განსაკუთრებით მსხვილ საწარმოებში, ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიის რეზერვის შესწავლის საქმეს.

პარტიაში მიღება უნდა ხდებოდეს წმენდის მაგალითის მიხედვით, ფართე მასის მონაწილეობით ღია კრებებზე. ყურადღების ცენტრი გადატანილ უნდა იქნეს ახლად მიღებულ ამხანაგების პოლიტიკურად აღზრდის საქმეზე. ამ მიზნით პარტგანათლების ქსელში ჩაბმულ უნდა იქნან უპარტიო მუშები და პარტიაში ახლად მიღებული ამხანაგები.

ალ. გ—ლი.

პარტწმენდის დროს არც ერთი მუშა არ მიუღიათ

(საორთქლმავლო ბრიგადის უჯრედი)

საორთქლმავლო ბრიგადის უჯრედი ათითვე არის, რაც ჩამოყალიბდა.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უჯრედის მიერ პარტიის რიგებში მიღებული იქნა:—17 მუშა, მეორეში—7 და მესამეში—4 მუშა; პარტიაში მიღების შესახებ განცხადება შემოტანილი ჰქონდა 41 კაცს, მიღებულ იქნა —28. ახლად მიღებულთა შორის 5 წლის საწარმოო სტაჟით არის ერთი ამხანაგი, 10 წლამდე—4 მუშა, 15 წლამდე და ზევით 7 მუშა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საორთქლმავლო ბრიგადაში მუშაობს 533 მუშა, ჩვენთვის აშკარად ნათელი იქნება პარტიული ფენის სიმცირე. პარტიული ბირთვი აქ უდრის 17,5 პროცენტს. უპარტიო აქტიურ მუშათა რიცხვი, რომლებიც შეიძლება მიღებული იქნან პარტიის რიგებში უდრის 39 კაცს. აქედან სხვა პარტიიდან გამოსულია 9 კაცი, ასაკგადაცილებული კომკავშირელი —3.

საორთქლმავლო ბრიგადის უჯრედის ზრდას აბრკოლებს ის გარემოება, რომ ბრიგადის წევრთა შორის არის სხვადასხვა დანაშაულში შემჩნეული მუშებიც, რის გამოც უჯრედს დიდი მუშაობა სჭირდება პარტიაში მისაღებ ამხანაგების შესასწავლად.

მიუხედავად პარტიის ზემდგომ ორგანოების დირექტივებისა, რომ უჯრედს უნდა ეწარმოებინა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ახალი წევრების მისაღებად და გაეძლიერებინა პარტიაში მუშების მიღება, წმენდის პერიოდში არც ერთი მუშა არ ყოფილა მიღებული.

ახლო ხანებში კი უჯრედის მიერ დიდი ყურადღება ექცევა ზრდის საკითხებს. ორი უპარტიო ჯგუფი მიმაგრებულ იქნა პარტორგანიზატორებზე. საკითხი პარტიაში ახალი წევრების მიღების შესახებ დაისვა უჯრედის სხდომაზე, პარტორგანიზატორების თათბირზე და სხვ. უპარტიო მუშები ჩაბმულნი არიან სხვადასხვა ნებაყოფლობით საზოგადოებებში. უჯრედის ხელმძღვანელობით პოლიტსკოლებში ჩაბმულია უპარტიო მუშების 50 პროცენტი.

რაც შეეხება სტაჟგავლილ კანდიდატების პარტიის წევრად გადარიცხვას, ამ მხრივ უჯრედის მუშაობა მოიკოჭლებს.

დეპოს მუშა

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

იმპერიალისტების პროვოკაციული ანტისაბჭოთა გამოსვლა.—მათი სრული დამარცხება.—სოციალ-ფაშისტების კანონი კომპარტიის წინააღმდეგ.—პოლონეთის მთავრობის გადადგომა.—ინგლისელ ლორდების დაგვიანებული რეზოლიუცია.

განუწყვეტელი თათბირის შემდეგ იმაზე, თუ როგორ ჩარეულიყვნენ ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში, ამერიკამ, საფრანგეთმა და ინგლისმა 3 დეკემბერს დეკლარაციით მიმართეს საბჭოთა მთავრობას, სადაც ისინი კელოგის პაქტის სახელით „დარიგებას" იძლევიან თავი შევიკავოთ კონფლიქტის იარაღით გადაჭრისაგან და მშვიდობიანობა დავიცვათ. თუმცა ასეთივე მემორანდუმი ჩინეთსაც გაეგზავნა, მაგრამ აშკარაა, რომ იმპერიალისტებს მხოლოდ საბჭოთა კავშირი აქვთ მიზანში ამოღებული. მართლაც: მიუხედავად იმისა, რომ ხუთი თვის განმავლობაში ჩინელი გენერლები პროვოკაციულ თავდასხმებს ახდენდნენ საბჭოთა საზღვრებზე და, ამგვარად, უხეშად არღვევდნენ კელოგის პაქტს ომის აკრძალვის შესახებ, — სტიმსონებს აზრადაც არ მოსვლიათ ამის გამო ჩინეთი გაეფრთხილებიათ. ხოლო როცა ჩვენი არმია, ქვეყნის თავდაცვის უზრუნველსაყოფად, იძულებული გახდა ჩინელ მილიტარისტების თავხედობაზე გამანადგურებელი პასუხი გაეცა, იმპერიალისტები ამოძრავდნენ. ამით მათ სურდათ შეექმნათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქო საბჭოთა კავშირი ემუქრებოდეს ჩინეთს და საფრთხეს უმზადებდეს მშვიდობიანობას.

ეს კიდევ ცოტაა. იმპერიალისტურმა მთავრობებმა სწორედ მაშინ გადადგეს ეს „სამშვიდობო" ნაბიჯი, როცა აშკარად დაისახა კონფლიქტის უშუალო მოლაპარაკების გზით ლიკვიდაციის შესაძლებლობა და როცა მუკდენის და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც ადასტურებს, რომ მანჯურიის ხელისუფლება ღებულობს ჩვენს მიერ წაყენებულ პირობებს. იმპერიალისტების გამოსვლა ასეთ მომენტში შემთხვევითი როდია. მათ მიზანს შეადგენს ხსენებული შესაძლებლობის ჩაშლა, ამ მხრივ გავლენის მოხდენა მუკდენზე და ნანკინის ანტისაბჭოთა ავანტიურისათვის მხარის დაჭერა. ჩვენმა გამარჯვებამ ჩინელ ბანდებზე და ჩან-სუე-ლიანის კაპიტულაციამ იმპერიალისტებს ანგარიშები აუბნია, ვინაიდან ამით ქარწყლდება მათი იმედი კონფლიქტის საშუალებით გაართულონ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, ლახვარი ჩასცენ ჩვენს ძლევამოსილ სოციალისტურ მშენებლობას, ხელთ იგდონ აღმ.-ჩინეთის რკინის გზა და უფრო გაბატონდნენ ჩინეთის ხალხზე. და აი, მათ არ დააყოვნეს გადამწყვეტ მომენტში გამოსვლა, რომ იხსნან თავი ამ დამარცხებიდან და თავისი აგრესიული ზრახვები განახორციელონ.

აღსანიშნავი ის არის, რომ ყოველ ამას იმპერიალისტები სჩადიან მშვიდობიანობის სახელით. ისინი ახალი მსოფლიო ომისათვის ემზადებიან, განიარაღებაზე ლაყბობის გვერდით აძლიერებენ შეიარაღებას. და ეს საომარი მზადება მათ სურთ მიჩქმალონ ისეთი ცრუპაციფისტური ჟესტებით, როგორიცაა ზევით ხსენებული დეკლარაცია. ისინი ლამობენ შექმნან ილიუზია, თითქო იმპერიალისტები მშვიდობიანობაზე ზრუნავენ, რათა ამით მასების სიფხიზლე მიაძინონ.

ამერიკა, რომელსაც ეკუთვნის „სამშვიდობო" ინიციატივა, და მასთან ერთად საფრანგეთი და ინგლისი გამოდიან კელოგის პაქტის დამცველების როლში. მაგრამ ვინ მისცა მათ ასეთი ფუნქცია. თვით კელოგის პაქტში ეს არ არის გათვალისწინებული. საქმის იურიდიულ მხარეს რომ თავი დავანებოთ, მათ, რომელნიც თვითონ ყოველ ფეხის ნაბიჯზე არღვევენ კელოგის პაქტს, არავითარი მორალური უფლება არა აქვთ მის გატარების კონტროლი მიაკუთვნონ. მით უმეტეს არავითარი უფლება მათ არა აქვთ პაქტის დარღვევა უკიჟინონ საბჭოთა კავშირს, ერთად ერთ სახელმწიფოს, რომელიც მტკიცედ ატარებს სამშვიდობო პოლიტიკას. ვაშინგტონი თავისი გამოსვლით ცდილობს ხელმძღვანელის და მბრძანებლის როლი ითამაშოს დანარჩენ მსოფლიოს მიმართ, მაგრამ საბჭოთა კავშირი, რა თქმა უნდა, სრულებით არ სცნობს მის ასეთ პრეტენზიებს.

იმპერიალისტები ისე გვაჩვენებენ თავს, თითქო ისინი ჩინეთს იცავდნენ საბჭოთა კავშირის აგრესიისაგან და ეს მაშინ, როცა ჩინეთს ისინი ისე ეკიდებიან, როგორც დამონებულ ქვეყანას, სადაც მათ განსაკუთრებული პრივილეგიები დღემდე აქვთ შენარჩუნებული და ჯარები ყავთ ამ პრივილეგიების უზრუნველსაყოფად. ჩინეთის სუვერენიტეტი მათ მიერ ფეხქვეშ გათელილია. ამავე დროს საბჭოთა კავშირი ერთად ერთი ქვეყანაა, რომელმაც თავისი ნებით გააუქმა უთანასწორო ხელშეკრულებები ჩინეთთან და დგას მისი ნამდვილი დამოუკიდებლობის სადარაჯოზე.

ამნაირად, ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტში იმპერიალისტების ჩარევის ნამდვილი სარჩული ყველასათვის ნათელია. საბჭოთა მთავრობა თავის პასუხში შეუბრალებლად ამხელს მათ თვალთმაქცობას და აგრესიულ ზრახვებს. ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტი შეიძლება მოგვარებულ იქნას მხოლოდ უშუალო მოლაპარაკების გზით. ამის შესაძლებლობა არის და ამ მხრივ ნაბიჯები კიდეც გადადგმულია. და თუ ამას სათანადო შედეგები არ მოყვა, თუ არ იქნა მხარეთა შორის საბოლოო შეთანხმება მიღწეული, ამაში დამნაშავენი იქნებიან არა მარტო ნანკინელი ავანტიურისტები, არამედ უფრო მეტად მათი სულისჩამდგმელი იმპერიალისტები, რომელნიც თავიანთ პირდაპირ პროვოკაციული გამოსვლით ცდილობენ კონფლიქტის გაჭიანურების და ურთიერთი შეთანხმებით მისი მოწესრიგების შესაძლებლობის ჩაფუშვას.

⁂

იმპერიალისტების უადგილო და პროვოკაციულ გამოსვლამ, როგორც მოსალოდნელი იყო, საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებში, რომელთაც კარგად გაუსინჯეს კბილი სტიმსონების „სამშვიდობო" მანევრს. ყველგან გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები არამკითხე „დამრიგებლების" წინააღმდეგ. მუშები და საერთოდ მშრომელნი ერთსულოვნად მხარს უჭერენ საბჭოთა მთავრობას და მზად არიან, თუ საჭიროება მოითხოვს, თავიანთ მკერდით დაიცვან პროლეტარულ ქვეყნის ინტერესები და აღკვეთონ მშვიდობიანობის მატარებელთა ქურქში გახვეული მსოფლიო ყაჩაღების ყოველგვარი ანტისაბჭოთა ცდები.

ამავე დროს საბჭოთა კავშირის პასუხმა ვაშინგტონის და სხვათა მემორანდუმზე ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა მთელ მსოფლიოში. ეს გამოხმაურება გვიჩვენებს, რომ გამოვიდა სულ წინააღმდეგი, ვიდრე მემორანდუმის ავტორები მოელოდნენ. მათი აზრით, კონფლიქტში ჩარევას უნდა განემტკიცებია იმპერიალისტურ ქვეყნების მთავრობების, როგორც „მშვიდობიანობის დამცველთა", პრესტიჟი და ჩრდილი მიეყენებია საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკისათვის. ნამდვილად კი რა მოხდა? თვით ბურჟუაზიული პრესის დიდი ნაწილი აღიარებს სახელმწიფოთა გამოსვლის სრულ მარცხს. მაგ. „ლოკალ ანცეიგერ" სწერს: „საბჭოთა მთავრობის პასუხი სახელმწიფოებისათვის წარმოადგენს დიპლომატიური სილის გაწვნას, რაც მათ დუმილით უნდა მიიღონ. ის აშკარავებს იმას, რაც დაფარული უნდა ყოფილიყო, სახელდობრ — ერთა ლიგის და კელოგის პაქტის უძლურება". „კრეიცცეიტუნგ"-ი აცხადებს, რომ თავისი პასუხით სტიმსონის ნოტაზე საბჭოთა კავშირმა თავისი პრესტიჟი აამაღლა. „პარი სუარ" აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა თავს იცავდა თავდასხმებისაგან, რისთვისაც მან მიიღო ენერგიული ზომები და ჩან სუე-ლიანი იძულებული გახდა მოლაპარაკება დაეწყო. იმ მომენტში, როდესაც უკვე შესაძლებელი გახდა შეთანხმების დადება, მოხდა სახელმწიფოების ჩარევა კელოგის პაქტის სახელით. ეს ჩარევა წაქეზებაა ჩინეთის მთავრობისა, რომელიც მოლაპარაკების დაწყებას აგვიანებდაო. მთელი იაპონიის პრესა კმაყოფილია საბჭოთა მთავრობის ენერგიული პასუხით. გაზ. „ძი-ძი" ხაზს უსვამს, რომ ამერიკის გამოსვლა წარმოადგენს „კელოგის პაქტის ბოროტად გამოყენების ნიმუშს". აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტოკიოს მთავრობა არ მიემხრო ვაშინგტონის „ინიციატივას" და არჩია ჩაურევლობის პოზიცია, რაც, რა თქმა უნდა, აიხსნება არა მისი მშვიდობისმოყვარეობით, არამედ ინტერესთა იმ წინააღმდეგობით, რომელიც ამერიკასა და იაპონიას შორის არსებობს ჩინეთში და საერთოდ შორეულ აღმოსავლეთში. ამასთან, საბჭოთა კავშირისადმი განსაკუთრებით მტრულად განწყობილი რეაქციონური გაზეთები (მაგ. „ტან") და სოციალ - ფაშისტური პრესა ბრაზმორევით ლაპარაკობენ საბჭოთა მთავრობის „თავხედობაზე". ეს უძლური ბოროტებით სავსე კამპანია მხოლოდ მოწმობს ჩვენს დიდ დიპლომატიურ გამარჯვებას და იმპერიალისტების ცრუ-პაციფისტური ნაბიჯის სრულ დამარცხებას.

მას შემდეგ, რაც ეს მარცხი აშკარა გახდა და ამერიკაშიაც უკმაყოფილო არიან სტიმსონის უხეირო გამოსვლით, ვაშინგტონი ცდილობს გააქარწყლოს მისთვის შექმნილი არახელსაყრელი შთაბეჭდილება. სტიმსონი აცხადებს, რომ მისი ნაბიჯი თითქო არ იყო მტრული აქტი საბჭოთა კავშირის მიმართ, არამედ მშვიდობიანობის ინტერესებით გამოწვეულიო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ასეთი თვალთმაქცური განმარტება ოდნავადაც ვერ შესცვლის იმ შეფასებას, რომლითაც აძლევს იმპერიალისტების ჩარევას ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში არა მარტო საბჭოთა პრესა, არამედ არსებითად ბურჟუაზიული საზოგადოებრივობის საგრძნობი ნაწილიც.

თავისთავად ცხადია, ასეთ დამარცხებას იმპერიალისტები ადვილად ვერ შეურიგდებიან. ისინი კვლავ გააგრძელებენ ოინებს ჩინეთ - საბჭოთა დამოკიდებულების გასართულებლად. საბჭოთა კავშირის მშრომელნი მათ მახინაციებს წინანდებურად ფხიზლად ადევნებენ თვალყურს. ამავე დროს ფხიზლდება ჩინეთის საზოგადოებრიობა, რომელიც სულ უფრო იგებს, რომ ნანკინის ავანტიურამ ჩინეთი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ჩინეთში გადაჭრით მოითხოვენ, რათა ნანკინმა დაუყოვნებლივ მოაწესრიგოს კონფლიქტი ჩინეთთან. თუ ჩან-კაი-ში ისევ ჯიუტობას გამოიჩენს, ეჭვი არ არის, მისი ისედაც უკიდურესამდე შერყეული მდგომარეობა (სერიოზული აჯანყება მის ჯარებში და სხვ.) კიდევ უფრო გაუარესდება. იმპერიალისტების გამოსვლის შემდეგ ჩან სუე-ლიანის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ის ეთანხმება ნიკოლსკ - უსურიისკში ხელმოწერილ ოქმს (იხ. ჩვენი გაზეთის დღ. №), — ამ მხრივ კიდევ ერთი გაფრთხილებაა ნანკინისათვის.

⁂

ის სცენა, რომელიც რეიხსტაგში 4 დეკემბერს დატრიალდა რესპუბლიკის დაცვის კანონპროექტის განხილვის დროს, გამოხატულებაა ბრძოლის უაღრესად გამწვავებისა გერმანიაში და იმ გრანდიოზული შეტაკებებისა შრომისა და კაპიტალს შორის, რომლებიც მოსალოდნელია. კომუნისტ - დეპუტატებმა მრისხანე ობსტრუქცია მოუწყვეს ს.-დ. მინისტრ ზევერინგს, რომელიც ამ კანონპროექტს იცავდა. რეიხსტაგი პოლიციელებით იყო სავსე. გარეშე ხალხი გარეკეს. სხდომიდან 25 კომდეპუტატი განდევნეს.

გერმანიის ბურჟუაზია სულ უფრო აძლიერებს შეტევას მუშათა კლასზე. მშრომელთა ხარჯზე ფიქრობს იგი გაატაროს იუნგის გეგმა, რომელიც მრავალ ათეულ მილიარდ მარკის გადასახადს აკისრებს გერმანიას ომში გამარჯვებულ ქვეყნების კაპიტალისტების სასარგებლოდ. კაპიტალისტურმა რაციონალიზაციამ და, მაშასადამე, მუშათა კლასის ყვლეფამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია. ხანგრძლივი ბრძოლით მონაპოვარ სოციალურ კანონმდებლობას აუქმებენ და უმუშევრებს, რომელთა რიცხვი იზრდება, დახმარებას უსპობენ. კაპიტალისტებისათვის გადასახადების დაკლებასთან ერთად ადიდებენ არაპირდაპირ გადასახადებს, რაც უმთავრესად მშრომელთა ფართე მასებს აწვება.

თავის თავად ცხადია, რომ თავის მხრივ გერმანიის პროლეტარიატი გულზე ხელდაკრეფილი არ ზის. კომპარტიის ხელმძღვანელობით ის ირაზმება და რევოლიუციონურ ბრძოლის გზას ადგება. სხვათა შორის, ამის მაჩვენებელია ფაბქარხკომების და უკანასკნელად კომუნალური არჩევნები, რომლებმაც კომპარტიას ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანეს.

და ჩვენ ვხედავთ, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელიც პროლეტარიატზე კაპიტალის იერიშების მთავარი გამტარებელია, ბურჟუაზიასთან ხელიხელ ჩაკიდებული არაფრის წინაშე ჩერდება მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობის და მის მეთაურ-ორგანიზატორ კომპარტიის გასანადგურებლად. ამ მიზანს ემსახურება კერძოდ რესპუბლიკის დაცვის ახალი კანონპროექტიც. ფორმალურად იგი მიმართულია როგორც მემარცხენე, ისე უკიდურესად მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ. ნამდვილად კი ზევერინგები მას გამოიყენებენ სწორედ რევოლიუციონურ ორგანიზაციების მოსასპობად. კომუნისტ-დეპუტატ ამხ. პიკს რეიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვაში მოყავს შემდეგი საგულისხმო ცნობები: 7 წლის განმავლობაში, როცა რესპუბლიკის დაცვის ძველი კანონი მოქმედებდა, მემარცხენე შეხედულებათა მატარებელ მუშების წინააღმდეგ მოეწყო 15.000 პროცესი და 7.000-ზე მეტ მუშას საერთო ჯამით მიესაჯა 5.000 წლის კატორღა და დაპატიმრება. ამავე დროს სოციალისტების წინააღმდეგ მიმართულ ბისმარკის განსაკუთრებული კანონის თანახმად, 1.500 კაცს მიესაჯა საერთოდ ათასი წლით დაპატიმრება. ამნაირად, თავისი რეპრესიებით მუშათა კლასის წინააღმდეგ „რესპუბლიკანურ" გერმანიის ბურჟუაზიამ და სოც. - დემოკრატიამ რეკორდი აიღეს თვით ბისმარკთან შედარებით. რაც შეეხება რესპუბლიკის დაცვის კანონის გამოყენებას, თუ გინდ გაცილებით უფრო მსუბუქი ფორმით, მონარქისტულ და სხვა უკიდურეს მემარჯვენე ელემენტების მიმართ, სათანადო შემთხვევები თითებზე ჩამოითვლება.

ახალი კანონპროექტი ფორმალურადაც აძლიერებს რევოლიუციონურ ორგანიზაციების დევნის მომენტს. კომუნისტურ პრესის თავისუფლება (რამდენადაც ამაზე ბურჟუაზიულ ქვეყნებში შეიძლება ლაპარაკი) არსებითად უქმდება. კომპარტიის აპარატში მუშაობა ცხადდება სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობად და სხ. ასეთია სოციალ - ფაშიზმის პასუხი კომპარტიის გავლენის გაძლიერებასა და პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლის ზრდაზე.

მაგრამ ფუჭია ზევერინგების იმედი, რომ ამ გზით შესძლებენ ისინი გერმანიის მთელი მდგომარეობით ნაკარნახევ მუშათა კლასის გარევოლიუციონერების პროცესის შეჩერებას. თავის დროზე ბისმარკის ანალოგიურმა კანონმა საწინააღმდეგო შედეგები მოიტანა. თუ ზევერინგებს ეს „დაავიწყდათ", მით უარესი მათთვის. ეჭვს გარეშეა, რომ გერმანიის კომპარტია, მიუხედავად მხეცური რეპრესიებისა, უფრო გაშლის მუშაობას მუშათა კლასის რევოლიუციონური მობილიზაციისათვის. ამის თავდებია მისი წინანდელი მოღვაწეობა და ახლა შექმნილი პირობები, რომელნიც გერმანიის პროლეტარიატს გაშლილი ბრძოლებისაკენ მიაქანებენ.

⁂

გაიხსნა ამ ცოტა ხნის „დასასვენებლად" დათხოვნილი პოლონეთის სეიმის სესია. მაშინ ე. წ. პოლკოვნიკების ჯგუფმა „უმაღლეს სახალხო წარმომადგენლობის" კედლებში მოახდინა რეპეტიცია სახელმწიფო გადატრიალებისათვის და ერთხელ კიდევ აბუჩათ აიგდო იგი, ხოლო პილსუდსკიმ სეიმის თავმჯდომარე „სოციალისტი" დაშინსკი უწმაწური სიტყვებით შეამკო.

იძულებითი შვებულებაში მყოფ „ოპოზიციონერ" ჯგუფებს უნდა მოეფიქრებიათ—სურთ მათ პილსუდსკის დიქტატურისათვის სრული დამორჩილება თუ პანჩურის კვრით გაძევება თბილი ადგილიდან, როგორსაც მათთვის სეიმი წარმოადგენს. მესამე გზა, გზა ნამდვილი ბრძოლისა პილსუდსკის თვითნებობას წინააღმდეგ მათთვის, რა თქმა უნდა, არ არსებობს.

„ოპოზიციამ" არჩია ფაშისტ-დიქტატორის წინაშე ქედის მოხრა. ამას მოწმობს ის უაღრესად შემარიგებელი სიტყვები, რომლებიც სეიმის გახსნისას დაშინსკიმ და „სოციალისტები"-ს სახელით ნეძალკოვსკიმ წარმოსთქვეს.

მაგრამ როგორ შეიძლება მოხდეს სეიმისა და მთავრობის „შერიგება" სეიმში თავის დროზე დატრიალებულ ინციდენტისა და მისთვის მიყენებულ შეურაცყოფის შემდეგ, ისე, რომ სეიმის „პრესტიჟი" გარეგნულად მაინც რამოდენიმედ დაცულ იქნას.

სეიმისა და მთავრობის ურთიერთობის საკითხის გადასაჭრელად იმთავითვე სამი გზა დაისახა. პირველ—სეიმის დათხოვნა და პრეზიდენტის დეკრეტით სახელმწიფო გადატრიალების მოხდენა ახალი კონსტიტუციის გამოცხადების სახით. მეორე—ახალი არჩევნების ჩატარება. მესამე—სვიტალსკის გადადგომა და ისეთი პრემიერის დანიშვნა, რომელიც სეიმთან „თანამშრომლობის" მომხრედ ითვლება.

ამჟამად არჩევანი ამ უკანასკნელზე შეჩერდა. ამას მოწმობს ხსენებულ ნეძალკოვსკის განცხადება, რომ „თუ პრეზიდენტი შეადგენს ახალ მთავრობას, რომელიც სეიმთან ითანამშრომლებს, ასეთი მთავრობა ოპოზიციის დახმარებას არ იქნება მოკლებული"-ო. სულ უკანასკნელი ცნობით, სეიმმა მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა. მოსალოდნელია, რომ პრემიერად არჩეული იქნება ბარტელის ტიპის პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც სეიმთან „ითანამშრომლებს". ეს „თანამშრომლობა" კი ისე უნდა გავიგოთ, რომ სეიმი, მიუხედავად ოპოზიციის უხერხემლო გამოსვლებისა, არსებითად შეასრულებს პილსუდსკის ნებისყოფას. კერძოდ ის დასთანხმდება კონსტიტუციის ახალი პროექტის გატარებაზე. ეს პროექტი, როგორც ვიცით, გულისხმობს პრეზიდენტის უფლებების გაფართოებას და სეიმის ფუნქციების შეკვეცას. თუ სეიმი ამ გზით არ წავიდა, ცხადია, მისთვის მათრახი მზადაა. ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ადრე თუ გვიან „სოციალისტები" და სხვა „ოპოზიციონური" ჯგუფები სრულ კაპიტულიაციას მოახდენენ და ხელს შეუწყობენ ფაშისტური დიქტატურის განმტკიცებას.

მაგრამ პოლონეთის ეკონომიური კრიზისი მწვავდება, ძლიერდება მუშათა კლასის და ნაციონალურ უმცირესობათა მოძრაობა. და უდავოა, რომ პილსუდსკი, თუნდაც დაშინსკების დახმარებით, ვერ შესძლებს ამ პროცესის შეჩერებას.

⁂

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ ლორდთა პალატაში დაისვა ჩვენთან დამოკიდებულების საკითხი. სხვათა შორის, ამ დაგვიანებულ დაწესებულების არსებობაც კარგად ახასიათებს ინგლისის „დემოკრატიულ" წყობილების ბუნებას. იგი შესდგება ბრწყინვალე წოდების წარმომადგენლებისა, ეპისკოპოსებისა და უმაღლეს მოხელეებისაგან. მისი წევრები არიან ან ლორდები მემკვიდრეობის უფლებით, ან მეფის მიერ დანიშნულნი. ხალხს საშუალო საუკუნოების ამ ნაშთთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. ლორდთა პალატა დაუძინებელი მტერია საერთოდ ყოველივე პროგრესიულის, მაგრამ მას ხელები მოკლე აქვს; მისი უფლებები თემთა პალატის კომპეტენციასთან შედარებით ძალზე შეკვეცილია. მაგალითად, 1911 წლის კანონის თანახმად ყოველი ფინანსიური კანონ-პროექტი (ბილი), რომელსაც მიიღებს ქვედა პალატა, ხოლო უარჰყოფს ლორდების პალატა, შეიძლება კანონად იქცეს, თუ მას მეფე დაამტკიცებს. დანარჩენ ბილებს კანონის ძალა ენიჭებათ, თუნდაც ისინი ლორდთა პალატამ უარჰყოს, როცა თემთა პალატა სამი თანმიმდევრო სესიაზე ზედიზედ მიიღებს მათ და მეფე დაამტკიცებს. ამნაირად ამ „წარჩინებულ" გვამების საკრებულო ერთგვარ შემაფერხებელ როლს ასრულებს თემთა პალატის მიმართ, მაგრამ გადამწყვეტი გავლენა უკანასკნელის საქმიანობაზე მას არ გააჩნია.

გასაგებია, რომ მუხლმაგარნი, როცა ისინი ხელისუფლებას ედგნენ სათავეში, ცდილობდნენ ლორდთა პალატის უფლებების გაფართოებას თემთა პალატის ხარჯზე. საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების მოლოდინში ისინი ნიადაგს ამზადებდნენ ლორდთა პალატის საშუალებით ძალა-უფლების შესანარჩუნებლად. მაგრამ არსებითად მიზანს ვერ მიაღწიეს.

და აი, ამ „საპარლამენტო წარმომადგენლობაში" ბირკენხედმა, რომელმაც სახელი გაითქვა ინდოეთის ხალხთა გააფთრებული დევნით (ის ინდოეთის საქმეთა მინისტრი იყო) და საბჭოთა კავშირისადმი ველური სიძულვილით, შეიტანა წინადადება, რომ ურთიერთობის განახლება საბჭოთა კავშირთან არასასურველად იქნას ცნობილი, ვინაიდან მისი მთავრობა „რევოლიუციონურ პროპაგანდას" ეწევა. ლორდთა პალატამ ხმების უმრავლესობით ეს რეზოლიუცია მიიღო.

ამასთან დაკავშირებით კონსერვატორების ფრაქცია განზრახვა აქვს შეიტანოს შეკითხვა თემთა პალატაში მთავრობის სახელზე, თუ რა პოზიციას დაადგება უკანასკნელი ლორდთა პალატის აღნიშნულ ანტისაბჭოთა გამოსვლის შემდეგ. როგორც ვსთქვით, ლორდთა პალატის რეზოლიუციას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მთავრობისა და თემთა პალატისათვის, და ამიტომ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის საკითხში ამით არაფერი შეიცვლება, რამდენადაც არ არის რაიმე ახალი მომენტი, რომ თვით თემთა პალატამ უკან წაიღოს თავისი 5 ნოემბრის გადაწყვეტილება.

და თუ ჩვენ მაინც საჭიროდ ვსცანით ლორდთა პალატის ამ ნაბიჯზე და კონსერვატორების ხსენებულ განზრახვაზე შეჩერება. ეს მიტომ, რომ ერთხელ კიდევ ცხადი გახდეს ის მტრული კამპანია, რომელსაც ინგლისის იმპერიალისტები წინანდებურად აწარმოებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამასთან აღსანიშნავია, რომ „მუშათა" მთავრობა, რომლის გვერდით ლორდთა პალატა არსებობს, სრულებით არ ფიქრობს ამ არქაული ინსტიტუტის ლიკვიდაციას. მონარქიის ეს გამოხატულება ისე, როგორც თვით მეფის ტახტი, მაკდონალდების წარმოდგენაში ხელშეუხებელი რამ არის. ესეც მათი „სოციალისტობის" ერთ-ერთი დამახასიათებელი „წვრილმანია".

გ. კ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი ენერგია ერთპიროვნული მმართველობის გასატარებლად

ზოგიერთი პროფმუშაკი ფარულად ეწინააღმდეგება ერთმმართველობის შემოღებას

საქართვ. მრეწველობა და ერთმმართველობა

ძლიერ—ამბობს საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. კალანდაძე,—როდესაც მშენებლობის ტემპები თანდათან ძლიერდება, ერთმმართველობის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ერთმმართველობის საკითხი ძლიერ მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩვენი მრეწველობის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის საკითხთან. ამ საკითხის დამუშავება ჯერ კიდევ შარშან დაიწყო, მაგრამ ბევრი მიზეზების გამო ყველა საწარმოებმა ვერ შესძლეს შარშანვე გადასულიყვნენ სამეურნეო ანგარიშზე. საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, ის საწარმოები, რომლებმაც შარშან ვერ მოასწრეს სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა, მიმდინარე საოპერაციო წლის დასაწყისიდან იქნენ გადაყვანილი ასეთ ანგარიშზე. საწარმოთა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა და საქარხნო-საფაბრიკო „სამკუთხედში"—დირექტორი, ფაბკარხადგილკომი, უჯრედი — ფუნქციათა გარკვეული განაწილება, მჭიდროთ არის დაკავშირებული საწარმოს მუშაობის გაუმჯობესების და დირექტორის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის აუცილებლობასთან. ის ურთიერთობა, რომელიც „სამკუთხედში" დღემდე არსებობდა, ხშირად წარმოადგენდა იმ დეფექტების მიზეზს, რომელსაც საწარმოთა მუშაობაში ჰქონდა ადგილი.

საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმმა, სადირექტივო ორგანოების, აგრეთვე ს.მ.უ. საბჭოს ხაზით მომუშავე ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც თანდათანობით ტარდებიან ცხოვრებაში.

პირველ ყოვლისა, ერთმმართველობის პრინციპის პოპულარიზაციის მიზნით, ჯერ კიდევ სექტემბერში გამოიცა დადგენილებების, ინსტრუქციების, ბრძანებების და სხვათა კრებული და დაეგზავნა ყველა საწარმოებს. საწარმოს მართვის ტიპიურ დებულებაში ამჟამად მოიპოვება განსაზღვრული პუნქტი, რომელიც ერთმმართველობის სისტემას შეეხება. ამჟამად მიმდინარეობს კამპანია კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახალი დადების ირგვლივ, და ახალი ხელშეკრულებების პროექტებში გატარებულია მრეწველობის მართვის ახალი პრინციპები.

ყველა საწარმოებში მიმდინარეობს ერთმმართველობის პრინციპების დამუშავება პროფესიონალური და პარტიული ხაზით. როდესაც ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დადების კამპანია დამთავრდება, საქართველოს ს.მ.უ. საბჭო შეუდგება ერთმმართველობის გატარების შემოწმებას მრეწველობის სხვადასხვა დარგში.

პროფკავშირების როლი ერთმმართველობაში

მუშათა მასებს არავითარი ეჭვი არ ეპარებათ იმაში,—ამბობს საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. მარკმანი,—რომ საკავშირო კ.მპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივა, რომელიც ერთმმართველობის შემოღებას ეხება, სავსებით შეეფერება იმ მოთხოვნილებებსა და ამოცანებს, რომლის გადაჭრაც უხდება საბჭოთა სახელმწიფოს სახალხო მეურნეობის სრული რეკონსტრუქციის პერიოდში.

მაგრამ ერთმმართველობის შემოღების და საფაბრიკო-საქარხნო სამკუთხედის ყოველი ნაწილის უფლება-მოვალეობათა გარკვეული განსაზღვრის საკითხი ყოველმხრივ განხილვას მოითხოვს ყველა მუშათა შორის უკლებლივ. მაგრამ აქ საქართველოს პროფსაბჭოს აქვს საბუთი განაცხადოს, რომ პარტიულმა და უმთავრესად კი პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა არ მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს.

ყველა პროფორგანიზაციებმა ვერ გაიგეს რომ ამ დადგენილების რეალიზაცია მხოლოდ ფართო განმარტებითი კამპანიის ჩატარებაზეა დამოკიდებული. მეორეს მხრით, თუმცა უმნიშვნელო რაოდენობით, მაგრამ მაინც შემჩნეულია, რომ ზოგიერთი პროფმუშაკი ფარულად ეწინააღმდეგება ერთმმართველობის შესახებ მიღებულ დადგენილებას. ისინი კარგად არ არიან გარკვეული დადგენილების შინაარსში და ჰგონიათ, რომ იგი დღევანდელ პერიოდში რამდენიმედ ამცირებს პროფკავშირების როლს და მნიშვნელობას. ეს მაშინ, როდესაც ერთმმართველობის შემოღება არა თუ არ ამცირებს პროფკავშირების როლს სამეურნეო მშენებლობაში, არამედ კიდევ უფრო აფართოებს მათ ამოცანებს.

„პროფკავშირებო, პირი წარმოებისაკენ"—აი ახლანდელი პერიოდის ის უაღრესად აქტუალური ლოზუნგი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გატარებული ცხოვრებაში, მაგრამ უეჭველად უნდა გატარდეს კი.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო ამჟამად პროფკავშირებს უსახავს ამოცანას, დაუყოვნებლივ შეუდგეს ფართო განმარტებითი ხასიათის კამპანიას ერთმმართველობის პრინციპის პოპულარიზაციის მიზნით. თავის მხრით საქართველოს პროფკავშირთა საბჭო დაულალავად ადევნებს თვალყურს იმას, რომ არ დარჩეს არც ერთი მშრომელი, რომელსაც კარგად არ ექნება შეთვისებული საფაბრიკო-საქარხნო სამკუთხედის ახლანდელი ამოცანები და ფუნქციები.

ლენინი ერთპიროვნული მმართველობის შესახებ



Основной принцип управления,
по духу всех решений РКП и центр.
сов. учр.,
— определенное лицо целиком отвечает
за ведение опред. работы.
Я веду (столько-то времени), я отвечаю.
Мне мешает лицо Х, не будучи
ответственным, не будучи
заведующим.
Это — склока, это хаос,
это вмешательство непригодного
к ответств. работе лица
Требую его удаления

„მმართველობის ძირითადი პრინციპია, რ.კ.პ. და ცენტრალურ საბჭოთა დაწესებულებების ყველა გადაწყვეტილებათა თანახმად, —

— განსაზღვრული პირი პასუხს აგებს მთლიანად განსაზღვრული სამუშაოს გაძღოლისათვის.

მე ვუძღვები (ამდენი და ამდენი ხანი), მე ვაგებ პასუხს. მე ხელს მიშლის ვინმე X, რომელიც არ არის პასუხისმგებელი, არ არის გამგე.

— ეს არის — კინკლაობა, ეს არის ქაოსი. ეს არის პასუხსაგებ სამუშაოსათვის გამოუსადეგარ პირის ჩარევა საქმეში. მოვითხოვ მის განდევნას".

(ლენინის წერილიდან).

„საწარმოს ადმინისტრაცია უშუალოდ ნიშნავს საწარმოს მთელ ადმინისტრატიულ - ტეხნიკურ პერსონალს. ამასთან ერთად, წარმოების დირექტორისა და საქმიან ადმინისტრაციის ურთიერთობაში უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ გაფართოვდეს საამქრო ადმინისტრაციის უფლებები და მეტი დამოკიდებულება მიეცეს მათ, სხვათა შორის, საამქროში ადმინისტრატიულ - ტეხნიკურ ძალთა (ოსტატისა, ბრიგადისა და სხვ.) შერჩევის დროს, ამა თუ იმ მუშაკის დანიშვნისა ან გადაყენების დროს ადმინისტრაცია ვალდებულია ანგარიში გაუწიოს პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციის აზრს. იმ შემთხვევაში, თუ ესენი არ ეთანხმებიან დანიშვნას, ან გადაყენებას, მათ უფლება აქვთ მიმართონ აპელაციით ზემდგომ პარტიულ, პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანოებს, მაგრამ ეს გარემოება ვერ შეაჩერებს ადმინისტრაციის განკარგულების გატარებას ცხოვრებაში"...

„...პარტიულ, პროფესიონალურ და ადმინისტრატიულ ორგანოებს შორის ფუნქციების განაწილების ეს საფუძვლები არა თუ არ უარყოფენ, არამედ პირიქით, გულისხმობს მჭიდრო კავშირს, ურთიერთ დახმარებას და მუშაობაში ნამდვილი ამხანაგური ატმოსფერის შექმნას, რომელიც შეუძლებელს ხდის შინაურულად საქმის მოჭახრაკებას და ურთიერთ შეცდომების და ნაკლოვანებათა მიჩქმალვას"...

(საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილებიდან).

მოხსენებით დაკმაყოფილდნენ

(„მკერავი"-ს მეორე ფაბრიკა)

უკვე თვენახევარზე მეტია, რაც „მკერავი"-ს მეორე ფაბრიკაში ჩატარდა მოხსენება წარმოებაში ერთპიროვნული მმართველობის შემოღების შესახებ. კრებაზე მუშები აღნიშნავდნენ, რომ „სამკუთხედის" მმართველობა წარმოებაში, არამც თუ არ შეეფერება ჩვენი წარმოების რეკონსტრუქციის პერიოდს, არამედ მმართველობის ეს სისტემა აფერხებს წარმოების რაციონალიზაციას და ხელს უშლის მუშათა საქმიანი წინადადებების ცხოვრებაში გატარებას.

კამათში გამოსულ მუშების სიტყვიდან გამოირკვა, რომ დღეს „სამკუთხედი"-ს ყველა წევრი, ადმინისტრაცია, პროფკავშირი და პარტიული ორგანიზაცია, ღებულობს თავის თავზე წარმოების რაციონალიზაციისათვის ამა თუ იმ წინადადების განხორციელებას. ხშირად ისინი ეჯიბრებიან კიდეც ერთიმეორეს ინიციატივის გამოჩენაში. მაგრამ საბოლოო ჯამში კი არც ერთი მათგანი არაფერს აკეთებს. ერთმმართველობის შემოღება მოსპობს ამ გაუგებრობას და წარმოების რაციონალიზაციის მთელ პასუხისმგებლობას დააკისრებს ადმინისტრაციას, მაშინ, ერთის მხრივ, გაუმჯობესდება რაციონალიზატორული მუშაობა და, მეორეს მხრივ, ადვილი იქნება დამნაშავის მოძებნა ამა თუ იმ შეცდომაში. ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება დაჩქარებით იქნეს შემოღებული ერთპიროვნული მმართველობა ჩვენს ფაბრიკაში.

დაახლოებით ასეთი აზრი გამოითქვა „მკერავი"-ს მეორე ფაბრიკის მუშათა საერთო კრებაზე. მას შემდეგ თვე ნახევარზე მეტმა განვლო. ვფიქრობდით, კრების შემდეგ გატარდებოდა ცხოვრებაში ერთპიროვნული მმართველობა და მოესპობოდა ბოლო იმ შეცდომებს და გაუგებრობას, რომელსაც ადგილი აქვს „სამკუთხედი"-ს მმართველობაში, მაგრამ ასე არ მოხდა. ადგილობრივ პარტიულ და პროფორგანიზაციებს ამ დარგში პრაქტიკულად ჯერ კიდევ არაფერი გაუკეთებიათ. ისინი დაკმაყოფილდნენ მხოლოდ იმით, რომ მოიწვიეს მუშათა კრება და ჩაატარეს ერთი მოხსენება. სხვა ამ მიმართულებით არაფერი გაუკეთებიათ. ხელმძღვანელობის სისტემა ფაბრიკაში კვლავ ძველებური დარჩა, რის გამო ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევა ფაბკომის ადმინისტრაციის ფუნქციებში ჩარევისა და ზოგიერთი მუშათა საქმიანი წინადადებების განხორციელების გაჭიანურებისა.

ვფიქრობთ, რომ დროა გატარდეს ცხოვრებაში ერთპიროვნული მმართველობა და მოეღოს ბოლო ყოველგვარ გაუგებრობას წარმოების მმართველობაში.

მუშ. მკერავი.

მტკიცედ გავატარებთ პარტიის დირექტივებს

(სტალინის სახ. ორთქლ. და ვაგონების შემკ. ქარხანა)

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ერთმმართველობის შემოღების შესახებ სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხნის მუშები გაცხოველებული ინტერესით შეხვდნენ. დებულების დამუშავება ჯერ დაიწყო პარტაქტივმა და შემდეგ გადატანილ იქნა მუშათა ფართო წრეებში. უნდა ითქვას, რომ დადგენილების მიღებამდე საქარხნო კომიტეტის, ადმინისტრაციის და უჯრედის ფუნქციათა შორის არსებობდა შეუთანხმებლობა, რაც გავლენას ახდენდა მთელი საწარმოს მუშაობაზე. მუშებს ეს კარგად ესმოდათ და ამიტომ ახალ დებულებას კმაყოფილებით შეეგებნენ. მუშებს ისიც ესმით, რომ ქარხკომის წვრილმან ჩარევას ადმინისტრაციის ფუნქციებში შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ ადმინისტრაცია მოიხსნის თავიდან იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მას აქვს დაკისრებული. მეორეს მხრით, მათ ესმით ისიც, რომ ახალი დებულება პროფესიონალურ ორგანიზაციას საშუალებას აძლევს მოიკრიბოს ძალ-ღონე. დებულება საშუალებას იძლევა მოხდეს გარდატეხა საწარმოო თათბირების მუშაობაში, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობაში.

ერთმმართველობის ახალი დებულება არ დარჩა მარტო ქაღალდზე: იგი სტალინის სახელობის ქარხანაში უკვე ტარდება ამჟამად ცხოვრებაში. ეს დებულება დააჩქარებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და განამტკიცებს სოციალისტურ მშენებლობას.

ადგილობრივი.

შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად

„მკერავი"-ს პირველი ფაბრიკა

„მკერავი"-ს პირველი ფაბრიკის კომუჯრედის ღია სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. ტერ-ვართანოვის მოხსენება საქ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილებაზე ერთპიროვნული მმართველობის შესახებ. მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო, როგორც პარტიულმა, ისე უპარტიო ამხანაგებმა.

ამხ. არუთინოვი აღნიშნავს, რომ ერთპიროვნული მმართველობის შემოღება სავსებით მისაღები და ამასთანავე დროულია. წარმოების დღევანდელი მუშაობა საჭიროებს ერთპიროვნულ მმართველობას. არუთინოვის აზრით ერთპიროვნული მმართველობა უთუოდ გააუმჯობესებს და ხელს შეუწყობს საწარმოო თათბირების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას.

ამხ. გაბრიელოვი—სამეურნეო მუშაკებმა ერთმმართველობის შემოღების შემდეგ არ უნდა აკეთონ ის, რასაც თვითონ მოისურვებენ. ამიტომ ადმინისტრაციის უფლება მტკიცედ უნდა იქნეს განსაზღვრული.

ამხ. ვარპოს მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოების გაუმჯობესებისათვის საერთოდ, და, კერძოდ, შრომის ნაყოფიერების გადიდების, შრომის დისციპლინის განმტკიცების და თვითღირებულების შემცირებისათვის, ერთპიროვნული მმართველობის შემოღება. ერმმართველობის შემოღებასთან წარმოებაში ფართოდ უნდა გაიშალოს თვითკრიტიკა.

ამხ. მახარაძე—აღნიშნავს, რომ მუშების დიდმა ნაწილმა არსებითად ვერ გაიგო ერთპიროვნული მმართველობის ამოცანები. ამ მიმართულებით უნდა გარღმავდეს და გაძლიერდეს მუშაობა. სისტემატიურად უნდა სწარმოებდეს ერთპიროვნული მმართველობის ამოცანების პოპულარიზაცია მუშებში.

დასასრულ კრებამ სავსებით მოიწონა პარტიის დადგენილება ერთპიროვნული მმართველობის შესახებ და საჭიროდ ჩასთვალა ერთპიროვნული მმართველობის საკითხების ფართოდ დამუშავება მუშებში.

და—ძე.

ერთმმართველობამ გააუმჯობესა მუშაობა

(კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა)

კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში ერთპიროვნული მმართველობა ნაწილობრივ უკვე განხორციელებულია. ქარხნის მუშათა საერთო კრებაზე გაკეთებული იქნა მოხსენება ერთმმართველობის შემოღების შესახებ საწარმოებში. მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია მუშებში. ორატორების მეტი ნაწილი იწონებდა პარტიის დირექტივას ერთმმართველობის შესახებ და აღნიშნავდა, რომ ერთმმართველობა აუცილებელი საშუალებაა ჩვენი მრეწველობის რეკონსტრუქციისათვის. მუშები მოითხოვდნენ ამ ღონისძიების რაც შეიძლება დაჩქარებით გატარებას.

საერთო კრების შემდეგ ერთპიროვნული მმართველობა ნაწილობრივ მართლაც გატარდა ცხოვრებაში. ამან, რასაკვირველია, საგრძნობლად გააუმჯობესა წარმოება და შედარებით წინანდელთან გააცხოველა საწარმოო თათბირის მუშაობა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ პარტიის დადგენილება ერთპიროვნული მმართველობის შესახებ ჯერ კიდევ სავსებით არ არის განხორციელებული. ამ საკითხის ნაწილობრივ გატარება კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში იმაში გამოიხატება, რომ ადმინისტრაცია ზოგიერთ საკითხებს აღარ უთანხმებს ადგილობრივ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს, როგორც ეს ხდებოდა წინათ და თვითონ ახორციელებს მას. მაგრამ ჩვენის აზრით მარტო ამით არ ამოიწურება ერთპიროვნული მმართველობა.

საჭიროა არა მარტო ადმინისტრაციის დამოკიდებულება რომელიმე საკითხის გადაჭრაში, არამედ საერთოდ წარმოებაზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესება და ადმინისტრაციის სრული პასუხისმგებლობა წარმოების რაციონალიზაციის საქმეში. კალინინის სახელობის ქარხანაში კი ჯერ-ჯერობით ეს ასე არ არის. ქარხნის ადმინისტრაციას ჯერ კიდევ არ მოუწვევია საამქროების ადმინისტრატორთა თათბირი ერთპიროვნული მმართველობის საკითხების დასამუშავებლად. ალბათ ეს იმით აიხსნება, რომ საბჭოთა ხაზით ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის სათანადოთ დამუშავებული.

ხარიტი.

გადავდგათ პრაქტიკული ნაბიჯი

ტყავის წარმოების წინაშე მდგარი ამოცანები მოითხოვენ, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით იქნეს გატარებული ცხოვრებაში მმართველობის ახალი რეფორმა. მრეწველობის წარმატებისათვის, საერთოდ, და განსაკუთრებით კი ტყავის მრეწველობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას. ერთმმართველობის შემოღებით საწარმოო დისციპლინა უფრო განმტკიცდება, რადგან ადმინისტრაციას საშუალება ექნება დისციპლინის განმტკიცებისათვის მიიღოს კონკრეტული და გადამჭრელი ზომები.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ტყავის ფაბრიკის მუშები მომხრე არიან აღნიშნული რეფორმის რაც შეიძლება დაჩქარებით განხორციელებისა. საერთო კრებაზე მუშებმა განაცხადეს, რომ თუ თითო-ოროლა ვინმე გამოერევა მათში და შეუგნებლად ან შეგნებულად შეუშლის ხელს სოციალისტურ მშენებლობას, ისინი თვითონვე მოითხოვენ ასეთების წინააღმდეგ შესაფერი ზომების მიღებას.

მაგრამ, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ტყავტრესტის არც ერთ ფაბრიკაში ამ მიმართულებით პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. პარტორგანიზაცია და ადგილკომი ჯერ კიდევ ერევიან ადმინისტრაციის ფუნქციებში და ხელს უშლიან მის მუშაობას. მართალია ერთმმართველობის შესახებ მუშებში ჩატარდა მოხსენება, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. საჭიროა პრაქტიკული ნაბიჯები ჩვენს ფაბრიკებში ერთმმართველობის შემოსაღებათ.

მეტყავე.

დავაჩქაროთ ერთმმართველობის შემოღება

(სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხანა)

ერთ მთავარ მიზეზად და ხელის შემშლელად სოციალისტურ შეჯიბრების ჩატარებაში და საერთოდ ჩვენს მრეწველობაში უნდა ჩაითვალოს წარმოების ხელმძღვანელობის ე. წ. „სამკუთხედი"-ს სისტემა. ბევრია მაგალითები ჩვენს ქარხანაში, როცა დირექტორი ან მთავარი ინჟინერი აძლევს რაიმე განკარგულებას წარმოების რაციონალიზაციის მიზნით, მაგრამ ადგილკომი ან პარტორგანიზაცია ჩარევა საქმეში და ადმინისტრაციის საქმიანი წინადადებანი რჩება განუხორციელებელი. ხშირია აგრეთვე შემთხვევა, რომელიმე ხელოსნის წინადადების განხორციელებას თუ ადმინისტრაცია საჭიროდ სცნობს დააჩქაროს. მაგრამ ვინაიდან ჯერ არც პარტორგანიზაციას და არც პროფკავშირებს არ გამოუთქვამთ თავისი შეხედულება ამა თუ იმ წინადადებაზე, ახერებს და რამდენიმე ხნის განმავლობაში წინადადება უძრავად დევს ადმინისტრაციის უჯრაში. ასევე ხდება მუშა-ხელოსანთა ერთ სამუშაოდან მეორე სამუშაოზე გადაყვანის დროს. დღეს ადმინისტრაციას არა აქვს უფლება ეს საკითხი დამოუკიდებლად გადასწყვიტოს. მაგალითად, ჩემი ჯგუფის სხვა სამუშაოზე გადაყვანის საკითხი ერთი წელიწადი ჭიანურდებოდა. ამ საქმეში ყველანი იყვნენ ჩარეული, საქმით კი არაფერს აკეთებდენ. ამან, რასაკვირველია, შეაფერხა მუშაობა. ეს საკითხი, რომ მარტო დირექტორის განკარგულებაში ყოფილიყო, უფრო მალე გადაწყდებოდა და საქმეც არ შეფერხდებოდა. ამიტომ სრულიად დროულად და მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ს.კ.პ. (ბ) დადგენილება ერთპიროვნულ მმართველობის შესახებ წარმოებაში.

ნურავინ იფიქრებს იმას, რომ ვითომდა ამ ღონისძიებას საერთოდ ბოროტად გამოიყენებს ადმინისტრატორი. სწორედ იმისთვის არის ადგილკომი და პარტუჯრედი, რომ მეტად სასტიკი ყურადღება მიაქციონ ერთმმართველობის სწორად და დაუმახინჯებლად გატარებას.

საჭიროა ჩვენი ქარხნის პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციამ გადასდგან სათანადო ნაბიჯი და რაც შეიძლება მალე შემოიღონ ერთმმართველობა ქარხანაში. ეს ხელს შეუწყობს სოც. შეჯიბრების ფართოდ გაშლას და გააუმჯობესებს ჩვენს წარმოებას.

მუშა ვ. ბარბაქაძე.

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი

საკონტროლო ციფრი დაფარულია 10 პროც. გადაჭარბებით

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, 1 დეკემბრისთვის საქართველოში გასაღებული იყო 14.886.565 მანეთის ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაცია. ამრიგად საკონტროლო ციფრი (20 პროც. გადიდებით, ე. ი. 13.080.000 მან.) დაფარულია 10 პროც. გადაჭარბებით.

ცალკე სექტორების მიხედვით რეალიზაცია ყველაზე უკეთ მიმდინარეობს კოლექტიურ სექტორში. აქ 1 დეკემბრისთვის გასაღებული იყო 12.054.040 მანეთის ობლიგაცია. ამ სექტორის საკონტროლო ციფრი (10.200.000 მ.) დაფარულია 18,2 პროც. გადაჭარბებით. კოლექტიურ სექტორში რეალიზაციის მხრივ პირველ რიგში სდგას ახალქალაქის მაზრა, სადაც დაფარულია საკონტროლო ციფრის 142,8 პროც., აჭარისტანში—141 პროც., სამხრეთ-ოსეთში—185 პროც. და ოზურგეთში—184 პროც.

კერძო სექტორში 1 დეკემბრისთვის გასაღებული იყო 427.155 მანეთის ობლიგაცია, რაც შეადგენს საკონტროლო ციფრის (480.000 მ.) 89 პროც. საგრძნობლად გამოსწორდა რეალიზაცია გლეხთა შორის. ამ სექტორში 1 დეკემბრისთვის გასაღებული იყო 1. 905.370 მანეთის ობლიგაცია, რაც შეადგენს საკონტროლო ციფრის (2.400.000 მან.) 79,4 პროც.

რეალიზაცია გლეხებს შორის ყველაზე უკეთ ჩატარებულია სენაკის მაზრაში (102 პროც.), აფხაზეთში (108 პროც.), კახეთში (91,9 პროც.), თბილისის ოლქში (82,8 პრო.), ყველაზე ჩამორჩენილია ახალციხის მაზრა, სადაც 1 დეკემბრისთვის დაფარული იყო საკონტროლო ციფრის მხოლოდ 14,2 პროც.

ფეხსაცმელების ფაბრიკა

ტყავტრესტმა გადასწყვიტა თბილისში ააგოს ფეხსაცმელების დამამზადებელი დიდი ქარხანა.

წინასწარი მუშაობის ჩასატარებლად გადადებულია 20.000 მანეთი.

ფაბრიკა ყოველწლიურად დაამზადებს 2.600.000—3.000.000 წყვილ ყოველგვარ სახის ფეხსაცმელებს.

მისი აგება დაჯდება 2.500.000 მანეთი.

ფაბრიკაში იმუშავებს 1.000 მეტი კაცი.

ფაბრიკა მოეწყობა ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით; ფეხსაცმელების დამზადება იწარმოებს უმეტესად მექანიკურად.

საამშენებლო მუშაობა დაიწყება 1930—შ.

დახმარება მეცხვარეებს

საქართველოში მეცხვარეობის მდგომარეობის გამოსაკვლევად გამოყოფილმა კომისიამ დაასრულა მუშაობა და თავისი დასკვნა წარუდგინა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს.

კომისიის დასკვნის მიხედვით მიმდინარე წელს მეცხვარეობის განვითარების საქმე საგრძნობლად დააბრკოლა დიდმა ყინვებმა და საძოვრების მეტის მეტად გადატვირთვამ.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობამ საქართველოში მეცხვარეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადასდო 321.000 მან.

აღნიშნული თანხა ბანკმა გრძელვადიანი სესხის სახით შემდეგნაირად გაანაწილა.

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მამულების ტრესტს 4.000 სული ცხვრის შესაძენად და 4 ბინის ასაგებად გრძელვადიანი სესხის სახით მიეცემა 87.000 მან.

კახეთის ოლქის საბჭოთა მამულების ტრესტს 4.000 სული ცხვრის შესაძენათ და 4 ბინის ასაგებათ მიეცემა 92.000 მან.

საქართველოს მეცხვარეთა საზოგადოებას „მწყემს"-ს 4.000 სული ცხვრის შესაძენად და 4 ბინის ასაგებად მიეცემა 92.000 მან.

საზ-ბა „ბირლიკ"-ს 2.000 სული ცხვრის შესაძენად და 2 ბინის ასაგებათ მიეცემა 50.000 მანეთი.

ამიგად ახლო მომავალში შეძენილი იქნება 14.000 საუკეთესო ჯიშის ცხვარი, რომელიც გადაეცემა კოლმეურნეობებში გაერთიანებულ მეცხვარე გლეხობას.

გარდა ზემოთ აღნიშნულ თანხებისა საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მამულების ტრესტი საკუთარ სახსრებიდან გაიღებს 15.000 მან., კახეთის ოლქის საბჭოთა მამულების ტრესტი—10.000 მან., საზოგადოება „მწყემსი"—20.000 მან.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

სურამის უღელტეხილზე ელექტროფიკაციის გატარების შემდეგ, ელექტრომავლებით ამოძრავებული მატარებლების წონა და სიგრძე ეხლა მოძრავ მატარებელთან შედარებით, თვალსაჩინოდ გადიდდება. გადიდებულ წონის და სიგრძის მატარებლებს საუღელტეხილო ზონის სადგურების ხაზები ველარ გაუწევენ შესაფერ სამზადისს, ვინაიდან ისინი მოკლეა და ვერ დაიტევენ გრძელ შემადგენლობებს.

ამისათვის გადაწყვეტილია ამ სადგურების ხაზების გადაკეთება და გაგრძელება. ამ სამუშაოების შესრულება დიდ დროს მოითხოვს; რათა ამ საქმემ არ შეაფერხოს უღელტეხილზე ელექტროფიკაციის გატარება, ამიერ-კავკ. რკინის გზის გამგეობა ეხლავე შეუდგა უღელტეხილზე სადგურების ხაზების გაგრძელებას.

ამ მიზნისათვის გადადებულია 438.000 მანეთი.

მუშაობა დაწყებულია იმ ანგარიშით, რომ იგი დამთავრდეს 1930 წლის დეკემბრისათვის.

გავაძლიეროთ ყურადღება კოლხელშეკრულებათა კამპანიისადმი

თვითეული მუშა უნდა იცნობდეს თავის კოლექტიურ ხელშეკრულებას

სასტიკი იერიში მტაცებლურ განწყობილებისა და შრომის დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ

რა გაკეთდა დღემდე

სათანადო ორგანოების მიერ მიღებულ ღონისძიებების წყალობით, კოლხელშეკრულებათა დადების კამპანია გაცხოველებით მიმდინარეობს.

უკვე კავშირებმა დაამთავრეს ახალ კოლხელშეკრულებათა პროექტების შედგენა და ადგილებზე დაგზავნა. პროექტების საერთო კრებებზე განხილვის საბოლოო ვადა გაგრძელებულია 10 დეკემბრამდე იმ მიზნით, რომ სიჩქარის გამო ზერელედ არ იქნეს ჩატარებული კამპანიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგრამ მთელი კამპანია დამთავრებული უნდა იქნეს დაწესებულ ვადაში, ე. ი. 20 დეკემბრისათვის; არსებული ცნობებით მტკიცდება ამ დირექტივის განხორციელების სრული შესაძლებლობა.

გაუმჯობესდა კამპანიისათვის კულტსამსახურის გაწევაც. ყველა მუშათა კლუბებზე მუშაობის სახელმძღვანელოდ მიმაგრებული არიან ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების პასუხისმგებელი მუშაკები.

სამეურნეო მუშაკები საკმაო ყურადღებით ეპყრობიან კამპანიას; ისინი ამზადებენ საჭირო მასალებს და მონაწილეობას იღებენ ხელშეკრულების განსახილველად მოწვეულ კრებებზე. მაგრამ აქამდე ადგილი აქვს ამ მნიშვნელოვან კამპანიისადმი ბიუროკრატიულ და კაზიონურ დამოკიდებულების შემთხვევებს. ასე, მაგალითად, საბჭოთა მეურნეობების ტრესტის თავმჯდომარემ სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირის წინადადებაზე—გაეგზავნა პასუხისმგებელი წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოს საბჭოთა მეურნეობებში ხელშეკრულებების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად—განაცხადა, რომ მას არავის გაგზავნა არ შეუძლია, რადგან ამჟამად სწარმოებს აპარატის წმენდა და ყველა ამაზე მუშაობენო.

საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს ადმინისტრაცია აჭიანურებს კამპანიას; ის უარს ამბობს გაგზავნოს პასუხისმგებელი წარმომადგენელი ჩაქვში და სალიბაურში, რასაც ასაბუთებს იმით, რომ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია, სანამ მოსკოვიდან არ ჩამოვა საზ-ბის გამგეობის თავმჯდომარეო. ეს შემთხვევა მოწესრიგებული იქნა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მასში ჩაერია საქართველოს პროფსაბჭო.

ხელშეკრულებების განხილვა

კამპანიის ძირითად დადებითი მხარეა—ფართო მასების აქტიური მონაწილეობა კამპანიაში. თითქმის ყველა კრებებზე გამოსული მუშები მთავარ ყურადღებას აქცევენ სოციალისტური მშენებლობის საკითხებს და მოითხოვენ შრომის ნაყოფიერების აწევის და თვითღირებულების შემცირების საჭიროებაზე. გარდა ერთი-ორი შემთხვევისა, არსად არ ყოფილა დასმული ნომინალური ხელფასის გადიდების საკითხი, მაგრამ ამასთანავე მუშები აყენებდნენ მთელ რიგ ღონისძიებებს ხელფასის რეალური დონის შესანარჩუნებლად და კოოპერაციის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

პირველიდან 5 დეკემბრამდე ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების პროექტები განხილული იქნა შემდეგ წარმოებებში:

გემო-კვების მუშაკთა კავშირი—თამბაქოს პირველ ფაბრიკაში, დაესწრო მუშების 78,9 პროც.; წინასწარ ხელშეკრულება განხილულ იქნა ცეხებში ყველა მუშების მონაწილეობით. წამოყენებულია 31 შესწორება და დამატება, რომლებიც ეხებიან უმთავრესად სპეცტანსაცმლის დროზე გაცემას, შრომის დაცვას, ტარიფიკაციის გაუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, სატარიფო რეფორმის გატარებას და სხვ.

მოსამსახურეთა კრებაზე (15 კაცი) წამოყენებულ იქნა საკითხი ხელფასის გადიდების შესახებ. გამოვიდა მოლარე, რომელმაც მოითხოვა მოსამსახურეთა განაკვეთების გადათვალიერება მათი გადიდების მიზნით. ის მოითხოვდა აგრეთვე დატოვებული ყოფილიყო ხელშეკრულებაში მუხლი გრძელვადიან კრედიტის შესახებ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში „მუშა ვერაფერს ვერ იყიდისო".

მას ღირსეული პასუხი გასცა უპარტიო მუშამ ონიჯმა, რომელსაც მხარი დაუჭირა მთელმა კრებამ.

— „ხელფასის დაკავშირება ბაზართან,—სთქვა მან,—ეს მტაცებლობაა, რასაც ჩვენ ვერ დაუშვებთ, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც გაძლიერებული სოციალისტური მშენებლობა სწარმოებს. ჩვენ ეხლა უნდა მივიღოთ ზომები ხელფასის რეალური დონის შესანარჩუნებლად და მუშკოოპის მუშაობის გასაუმჯობესებლად".

საერთოდ, მუშკოოპი ყურადღების ცენტრშია საერთო კრებებზე; მუშები ხშირად სერიოზულად და სამართლიანად აკრიტიკებენ მის მუშაობას. აღნიშნავენ რა ფასების გადიდების ფაქტებს, მუშები ამბობენ, რომ ეს შედეგია ზოგიერთ მუშაკების უვარგისობისა და მავნე მუშაობისა. საჭიროა მუშკოოპის აპარატის გადასინჯვა.

თამბაქოს მეორე ფაბრიკაში ხელშეკრულების განხილვას დაესწრო მუშების 75 პროც.; აქაც, როგორც თამბაქოს პირველ ფაბრიკაშიაც, დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული სატარიფო რეფორმის საკითხებს. მუშების ძირითადი მასა რეფორმას დროულად და აუცილებლად სთვლის.

სასაკლაოზე ხელშეკრულების განხილვას დაესწრო მუშების 76 პროც., ცალკე მტაცებლურ ტენდენციებს ადგილი ჰქონდა ლუდის ქარხანაში, სადაც კრებას დაესწრო მუშების 75 პროც.

ასე, მაგალითად, მუშა ცხვარაშვილმა აღნიშნა, რომ ბაზარზე ყველაფერი ერთი სამად გაძვირდა, ხელფასი კი უცვლელი დარჩა, ამიტომ საჭიროა მისი გადიდება; მეორე მუშამ კობრინსკიმ აღნიშნა, რომ ქარხანას მუშების წყალობით აქვს 40.000 მან. მოგება, საჭიროა მუშებს მიეცეს პრემიებიო. მუშა ალიევი მოითხოვს ლუდის უფასოდ მიცემას მუშებისათვის რევოლიუციონური დღესასწაულების დღეებში და სხვ.

მტაცებლურ ტენდენციებს აქაც ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს ამხ. კილოსანიანმა, არუთინოვმა და სხვ., რომლებმაც აღნიშნეს, რომ საჭიროა ლაპარაკი არა ხელფასის გადიდებაზე, არამედ მისი რეალური დონის შენარჩუნებაზე.

მბეჭდავთა კავშირი. ხელშეკრულებების განხილვა დამთავრებულია ყველა წარმოებებში, გარდა „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბისა, სადაც პირველი კრება არ შესდგა დამსწრეთა სიმცირის გამო, ეს კი გამოწვეული იყო ადგილკომის და უჯრედის სუსტი მუშაობით აღნიშნული კამპანიის ირგვლივ. საერთო კრებებზე ესწრებოდა მუშების 60 პროც.; რაც შედეგია იმის, რომ კამპანია ნაჩქარევად და წინასწარ მოუმზადებლად ტარდებოდა.

სახალხო კვების მუშაკთა კავშირის ხაზით კამპანია წარმატებით მიმდინარეობს; კრებები ჩატარებული იქნა სასადილოებში, გლეხთა სახლში, შრომის კოლექტივებში და „ზაკტპო"-ს დაწესებულებებში. საშუალოდ კრებებს ესწრებოდა მუშა-მოსამსახურეების 75 პროც.

კამპანია გაცხოველებით ტარდება აგრეთვე საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა, მედსანშრომის მუშაკთა, მემაღაროეთა, ფეიქართა, ხეზე მომუშავეთა და კომუნალურ მუშაკთა კავშირების ხაზით.

მეღითონეთა, ქიმიკოსთა, მეტყავეთა, ხელოვნების მუშაკთა, განათლების მუშაკთა, ტრანსპორტელთა და მშენებელ მუშათა კავშირებში დღემდე არც ერთი კრება არ არის ჩატარებული, თუმცა ხელშეკრულებები უკვე დაგზავნილია ადგილებზე.

კამპანიის დაწყებიდან თბილისში სულ ჩატარებულია 132 კრება.

—:—

პროვინციაში ძველი ხელშეკრულებების შესრულების შემოწმება დამთავრებულია ყველგან და ამჟამად სწარმოებს ახალ ხელშეკრულებათა პროექტების განხილვა ყველა რაიონებში.

აფხაზეთში ხელშეკრულებები განხილულია 19 წარმოებაში, აჭარისტანიდან, ქუთაისიდან და სხვა ადგილებიდან სწორი ცნობები ჯერ არ არის მიღებული.

კოლხელშეკრულების შესრულების შემოწმება ა.-კ. რკინის გზებზე

კოლექტიური ხელშეკრულების შესრულების შემომწმებელმა ბრიგადებმა ა.-კ. რკინის გზებზე უკვე დაამთავრეს თავისი მუშაობა. ამჟამად სწარმოებს ბრიგადების მიერ შეგროვილი მასალების დამუშავება.

ხელშეკრულების შემოწმების საბოლოო დასკვნები ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული, მაგრამ მასალებიდან სჩანს, რომ გზის ყველა უბნებზე ადგილი ჰქონია ხელშეკრულების მასიურ დარღვევას რკინის გზის ადმინისტრაციის მიერ. ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლებს არღვევენ თითქმის ყველა უბნებზე.

თითქმის ყველა უბნებზე აღნიშნულია მოძრაობის აგენტებისათვის სპეც-ტანსაცმელის მიუცემლობა, სათბობ მასალის თავის დროზე დაურიგებლობა, დროებით მუშებთან შრომის ხელშეკრულების ხელმეორედ დადება იმ მიზნით, რომ დროებით მომუშავეს არ მიეცეს საშუალება მოითხოვოს შტატში ჩარიცხვა.

ადგილი აქვს ორთქლმავალთა და მატარებლების გამყოლ აგენტებისათვის ხელფასის არა სწორად მიცემას.

ირღვევა ხელშეკრულების ის მუხლი, სადაც ლაპარაკია სადგურების წყლით უზრუნველყოფაზე, მთელი რიგი სადგურები წყლით მოუმარაგებელი რჩებიან.

ხელშეკრულების შესრულების შემოწმებასთან ერთად ადგილებზე გამოაქვთ დადგენილებები ახალ ხელშეკრულებაში მთელ რიგ დამატებების და შესწორებების შეტანის შესახებ. ეს დამატებები და შესწორებები ყველა უბნებზე ჯერ დამუშავებული არ არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საგზაო კომიტეტის მიერ ადგილებიდან მიღებულ მასალების მიხედვით შემუშავებულია ახალ ხელშეკრულების პროექტში შესატანი მთელი რიგი დამატებები, რომელთაც ახლო მომავალში გააგზავნიან რკინისგზელთა ცეკაში.

დამატებათა შორის აღსანიშნავია, ის, რომ იმ პროფესიის მუშაკთა სია, რომელთაც ერგებათ დამატებითი დასვენება, გადიდებულია 34 პროცენტით; მათ შორის არიან ლითონგების მწმენდავები, ორთქლმავლის ქვაბების მრეცხავები, ლითონის გამფორმებლები და სხ. დამატებებში შეტანილია აგრეთვე მუხლი იმის შესახებ, რომ აღდგენილ იქნეს მალარიით დაავადებულთათვის დამატებითი შეღავათების მიცემის წესი.

ამასთანავე სისწორით ჩამოყალიბებულია კოლხელშეკრულების მთელი რიგი მუხლები, რომლებიც აქამდე თავისი ბუნდოვანობის გამო სისტემატიურ კონფლიქტებს იწვევდნენ.

ხელშეკრულება არ სრულდებოდა

(ხაშური)

ხაშურის უბანში ახალ კოლხელშეკრულების პროექტის დამუშავებამდე სწარმოებდა ძველი კოლხელშეკრულების შესრულების შემოწმება.

ამ მიზნით არჩეული იყო მუშათა ბრიგადები უბნის ყველა ცეხებში, წარმოებებში, სახელოსნოებში, კანტორებში.

შემოწმებამ ნათლად გვიჩვენა, რომ კოლხელშეკრულება სრულდებოდა ძალიან სუსტათ, რაშიაც ნაწილობრივ დანაშაული მიუძღვით მუშებს, რომლებმაც შრომის დისციპლინა და შრომის ნაყოფიერება ვერ ასწიეს სათანადოთ; პირიქით, ზოგიერთ ადგილებში შრომის ნაყოფიერება დაეცა კიდეც. სადგურ ზესტაფონში მუშაობის გაცდენას, დაგვიანებას და სიმთვრალეს კიდევ აქვს ადგილი. უბნის სხვა ადგილებშიაც შრომის დისციპლინა თვალსაჩინოთ მოიკოჭლებს.

შრომის ნაყოფიერების აწევა უმთავრესად ემჩნევა უბნის პატარა სადგურებს, როგორიც ზესტაფონსა და ხაშურს შორის, ისე ბორჯომ-ბაკურიანის ხაზზე.

მაგრამ უმთავრესად კოლხელშეკრულებას არღვევდა ადმინისტრაცია. დაქირავების, გადაყვანის და დათხოვნის წესი ირღვეოდა ზესტაფონში. ხშირი იყო, შემთხვევები, როცა მოძრაობის დარგის ადმინისტრაცია სამუშაოზე იღებდა არაკავშირის წევრებს, იმ დროს, როცა შრომის ბირჟაზე ბევრია უმუშევარი კავშირის წევრები. აქვე შემცირეს 4 მესისრე, იმ დროს, როცა საჭირონი იყვნენ. არასამართლიანად იყო მოხსნილი ტელეფონისტი, რომელსაც აღდგენის შემდეგ მიეცა გაცდენილი დღეების ხელფასი.

სადგურ სახზირის ადმინისტრაცია არ უწევდა ანგარიშს პროფორგანიზაციას და გზავნიდა სამუშაოზე თავის ხალხს.

არასწორ მოხსნის შემთხვევას ჰქონდა ადგილი სად. ძირულაში. რაციონალიზაციით შემცირებულებს არ იღებდნენ თავისუფალ ადგილებზე, მათ მაგიერ სამუშაოზე ჩარიცხეს არაკვალიფიციური მომუშავენი.

შრომის დაცვის ვალდებულება უმეტეს ადგილებზე არ სრულდებოდა, სახელოსნოებს და ცეხებს დღემდე არ მოეპოვებათ ვენტილიატორები და სასადილოები.

არ არის პირსაბანები და პირსახოცები, სადგურ ჰიათურა-ზესტაფონში და ზოგიერთ პატარა სადგურებში შრომის დაცვის კომისიების დადგენილებანი არ სრულდება.

უბნის ყველა სადგურებში სპეც-ტანსაცმელი გაცემული იყო არა თავის დროზე. ბევრ შემთხვევაში სრულებითაც არ მიუციათ სპეცტანსაცმელი. ზოგიერთ ადგილას ფულსაც არ აძლევდნენ. ოდნავადაც არ შესუსტებულა საცხოვრებელ ბინების კრიზისი. უბნის მასშტაბით ბინებით არაა დაკმაყოფილებული რ.გ. გზელების 90 პროც.

კოლხელშეკრულებით გათვალისწინებული საწარმოო განათლების საქმე არ სდგას თავის სიმაღლეზე. უმეტეს შემთხვევაში არაფერია გაკეთებული, გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ზესტაფონი.

ჰიათურაში ადგილი ჰქონდა ჯამაგირების დაგვიანების შემთხვევებს. სადგურ მოლითში ჯამაგირების დაგვიანება ჩვეულებათ გადაიქცა.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ზემოთაღნიშნულ ნაკლოვანებათა უმეტეს ნაწილის აღმოფხვრა შეიძლებოდა, რომ ადმინისტრაცია მუშების ხმას ანგარიშს უწევდეს, და არჩევდეს ასეთ საკითხებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და საწარმოო თათბირებზე.

გ—თ.

სისტემატიურად არღვევდნენ ხელშეკრულებას

(„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა)

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს დიდი ყურადღება ექცეოდა კოლხელშეკრულებათა შესრულებას, მაინც ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლების დარღვევას. ამ მხრივ, „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბის ადმინისტრაცია პირველობა ეკუთვნის, იგი სისტემატიურად არღვევდა კოლხელშეკრულებას. მოვიყვანოთ მაგალითები:

ადმინისტრაცია სამუშაოზე ღებულობდა არა კავშირის წევრებს იმ დროს, როდესაც შრომის ბირჟაში კავშირის უმუშევარი წევრები აღრიცხულია. არ ხდებოდა ხელფასის თავის დროზე გაცემა, მუშებს არ ეძლეოდა გამოსასვლელი დღის ხელფასი, მუშებს გადაყვან-გადმოყვანა სხვადასხვა სამუშაოზე ხდებოდა სათანადო ორგანოებთან შეუთანხმებლად.

ზედმეტი მუშაობისათვის მიღებული არ ყოფილა ნებართვა შრომის კომისარიატის ორგანოებიდან. დროებით მომუშავეებს არ ეძლეოდათ სპეცტანისამოსი, საპონი, ხელსახოცი და სხვ. სპეც-საკვები არ ეძლეოდა მუშებს, თუ მისცემდენ—რამდენიმე დღის დაგვიანებით. არ იყო სასადილო, წითელი კუთხე, სამკითხველო და სხვა. მოწაფეებს სრულებით არ ექცეოდა ყურადღება.

ყველა ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს ახალ კოლხელშეკრ. დადების დროს და ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს კოლხელშეკრულების სისტემატიურად დარღვევას.

კუპრიელი.

შევამოწმოთ ფოსტა-ტელეგრაფის საქმიანობა

დეკემბრის პირველი რიცხვებიდან დაიწყო ა.-კ ფოსტა-ტელეგრაფის აპარატის მუშაობის შემოწმება. შემოწმება სწარმოებს როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. ამ მუშაობის ხელმძღვანელობისათვის ა.-კ. საოლქო კომიტეტის მიერ დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით გამოყოფილია შემოწმების ჩამტარებელი ცენტრალური კომისია. ასეთივე კომისიები ჩამოყალიბებულია ცალკე რესპუბლიკებსა და ოლქებში.

შემოწმების მიზანია გამოამჟღავნოს ყველა ის ნაკლოვანებანი, რომელნიც აფერხებენ ფოსტა-ტელეგრაფის აპარატის საქმიანობას და დასახოს გზები კავშირთგაბმულობის ქსელის შემდგომი გაჯანსაღებისათვის.

სახალხო კავშირთგაბმულობა ერთ ერთი უდიდესი იარაღთაგანია სახ. მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის და მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლების საქმეში. ქვეყნის კულტურული ზრდა, სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარება, სოციალისტური მშენებლობის შემდგომი წინსვლა, მუშურ - გლეხური სახელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერება ბევრად არის დამოკიდებული კავშირთგაბმულობის ქსელის შემდგომ გაფართოებაზე და მისი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ფოსტა-ტელეგრაფის აპარატში ბიუროკრატიზმის, უყაირათობის და უთავბოლო მუშაობის აღმოფხვრაზე.

კავშირთგაბმულობის უდიდესი მნიშვნელობა საუცხოვოდ აქვს შეთვისებული პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას. სწორედ ამიტომ არის, რომ კავშირთგაბმულობის ქსელის გაფართოებაზე და მისი მუშაობის გაჯანსაღებისათვის ყოველწლიურად დიდძალი თანხები იხარჯება. მარტო მიმდინარე წლის ბიუჯეტით ამიერ-კავკასიაში კავშირთგაბმულობის საქმეზე უნდა დაიხარჯოს 14.712.000 მანეთი, ხოლო შემოსავალი კი ამავე საბიუჯეტო წელში გათვალისწინებულია 10.120.000 მანეთით. ხუთწლიანი გეგმით კავშირთგაბმულობაზე დაიხარჯება 66.430 ათასი მანეთი, დაახლოებით 16 მილიონი მანეთით მეტი ნავარაუდევ შემოსავალზე. ეს ციფრები მჭერმეტყველურად ამტკიცებს, თუ რა დიდი ყურადღება ექცევა კავშირთგაბმულობის საქმის გაუმჯობესებას საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა ფოსტა - ტელეგრაფის აპარატის საქმიანობა, ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას კავშირთგაბმულობის ცენტრალურ აპარატზე; მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად ფოსტა - ტელეგრაფის აპარატის საქმიანობას ჯერ კიდევ აქვს მთელი რიგი დეფექტები. პროვინციაში ფოსტა-ტელეგრაფის აპარატის მუშაობა საჭიროებს საგრძნობ გაუმჯობესებას. ეს მით უმეტეს საჭირო და აუცილებელია ამჟამად, ვინაიდან ფოსტა - ტელეგრაფის აპარატს ევალება პერიოდული გამოცემის გავრცელება. ამ საქმის უნაკლოდ განხორციელებაზე ბევრად არის დამოკიდებული პრესის ფართედ გავრცელება და ამ გზით მშრომელი მასების კულტურულ - პოლიტიკური დონის ამაღლება.

კავშირთგაბმულობის აპარატში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი ელემენტები, რომლებიც აფერხებენ აპარატის მუშაობას, ხელს უწყობენ საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის გამეფებას. ასეთი ელემენტების აღმოჩენა და მათი განდევნა აპარატიდან, კავშირთგაბმულობის გარდაქმნა ფართე მშრომელი მოსახლეობისათვის იაფ, ხელმისაწვდომ ორგანოდ — ასეთია პირველ დეკემბერს ამიერ - კავკასიაში დაწყებული შემოწმების ამოცანა.

კავშირთგაბმულობის აპარატის შემოწმება მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიღებს სასურველ ნაყოფს, თუ ამ შემოწმებაში აქტიურად ჩაებმება პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციები, თუ გაძლიერდება საბჭოთა საზოგადოებრივობის კონტროლი კავშირთგაბმულობის საქმიანობაზე. **განსაკუთრებული მოვალეობა შემოწმების საქმეში ევალებათ მუშათა და გლეხ კორესპონდენტებს.** უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე, ფოსტა-ტელეგრაფის აპარატის ნაკლსა თუ მიღწევებზე მუშგლეხკორები ძალზე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ეს გულგრილობა ამჟამად უსათუოდ უნდა აღმოიფხვრას. საჭიროა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ კედლის გაზეთებში ფართოდ იქნას გაშუქებული ყველა ის დეფექტები, რომლებიც აფერხებენ ფოსტა - ტელეგრაფის აპარატის საქმიანობას. დაუნდობელი სისტიკით უნდა გამოვამჟღავნოთ ყველა ისინი, ვინც თავისი პირადი დაუდევრობით თუ წინასწარი განზრახვით ხელს უშლიან კავშირთგაბმულობის საქმიანობის გაჯანსაღებას. მუშა და გლეხ კორესპონდენტებმა აქტიური დახმარება უნდა აღმოუჩინონ შემმოწმებელ კომისიებს თავიანთ მუშაობაში და ამ გზით უზრუნველყონ შემოწმების წარმატებით დამთავრება.

შემოწმების პერიოდში კავშირთგაბმულობის აპარატი მშრომელთა სამსჯავროს წინაშეა. გამოვიყენოთ ეს შემოწმება ფოსტა - ტელეგრაფის აპარატის საქმიანობაში დეფექტების აღმოსაფხვრელად და შემდგომი მუშაობის გასაჯანსაღებლად.

ს. ე.

საქ. სახკომსაბჭოში

კონტრაქტაციაქმნილი ნათესების და საქონლების დაზღვევა

სახკომსაბჭოს დადგენილებით, კონტრაქტაციაქმნილი ნათესები და საქონლები უნდა იქნენ დაზღვეული სეტყვისაგან სახდაზღვევის საქართველოში საგანაკვეთო დაზღვევით ავანსების რაოდენობის ფარგლებში.

შარა-გზების ტრანსპორტის მოწესრიგება

საჭაპანზიდვო ტრანსპორტის მოწყობის საქმე გადაეცა ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს.

დაევალა ხსენებულ სამმართველოს მიიღოს ზომები ყველა არსებული არტელების ჭაპანზიდვის ტრანსპორტში თავმოსაყრელად; მასვე დაევალა, მიაწოდოს მას საკვები მასალა, რკინა და სხვა მასალები შეღავათიან პირობებში გადასაზიდი საშუალებათა გასაძლიერებლად და გადაზიდვის ღირებულების შესამცირებლად.

ტყის ექსპლოატაციის საქმის შესწავლა

სხვა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში ტყის ექსპლოატაციის საქმის დაყენების გასაცნობად იგზავნება კომისია მიწსახკომის, ს. მ. უ. საბჭოს, კურორტთა სამმართველოს და ტყის საცდელ სადგურის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ალაზნის ჰიდროელსადგურის აგება

წინადადება მიეცა ს. მ. უ. საბჭოს სასწრაფოდ შეუდგეს ალაზნის ჰიდროელსადგურის საამშენებლო მუშაობას.

მასთან სახკომსაბჭომ დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა ა.-კ. სახკომსაბჭოს წინაშე, რათა ა.-კ. ელექტროფიკაციის ფონდის საბოლოო განაწილების დროს გათვალისწინებულ იქნას მიმდინარე 1929-30 წელში არა ნაკლებ 600.000 მანეთისა ხსენებულ სადგურის სამუშაოთა საწარმოებლად.

ტრანსპორტზე მომუშავეთა აღრიცხვა

მიმდინარე წლის 16-დან 21 დეკემბრამდე სამხედრო კომისარიატის ორგანოები ჩაატარებენ იმ სამხედრო ვალდებულებათა ხელახალ აღრიცხვას, რომლებიც დაბადებულნი არიან 1893—1906 წლებში და რომლებიც წინად მსახურობდნენ ტრანსპორტზე (რკინის გზაზე, გზატკეცილებზე და ყამირ გზებზე).

აღრიცხვაზე გატარება ეხებათ იმ პირთ, რომლებსაც ტრანსპორტზე უმუშავიათ არა ნაკლებ ექვსი თვისა.

აღრიცხვაში უნდა გატარდნენ ინჟინრები, ტეხნიკოსები, მემანქანეები, მათი თანაშემწენი, დეპოს უფროსები, მოძრაობის რევიზორები, კავშირის უფროსები, ტელეგრაფზე მომუშავენი, ელექტრო-სადგურის უფროსები, გზატკეცილების უფროსები, სამუშაოთა ინსტრუქტორები და სხვ. აღრიცხვა არ ეხებათ იმ ტრანსპორტელებს, რომლებიც ამჟამად მუშაობენ ტრანსპორტზე, ან უკვე აყვანილი არიან აღრიცხვაზე. აღრიცხვაზე არ უნდა გამოცხადდენ ის ტრანსპორტელებიც, რომლებსაც უმუშავიათ ტრანსპორტზე 6 თვეზე ნაკლები.

ტრანსპორტელების აღრიცხვის წარმოება დავალებული აქვთ სამილიციო რაიონების სამხედრო მაგიდის გამგეებს.

როგორ იწარმოებს რძის აბონემენტების განაწილება

თბილისის მუშკოოპის მიერ ოქტომბერში დარიგებულ რძის აბონემენტებს ვადა გასდით 15 დეკემბერს. ეხლა სწარმოებს ვადაგასულ აბონემენტების შეცვლა. პირველად შემუშავებული წესის მიხედვით, აბონემენტების შეცვლა უნდა ჩატარებულიყო წარმოება-დაწესებულებებში კოოპერატიული კომისიების საშუალებით. ეხლა ეს წესი მუშკოოპის გამგეობის მიერ შეცვლილია.

შემუშავებულია ახალი წესი, რომლის თანახმად აბონემენტების შეცვლა იწარმოებს ადგილებზე რძის დამტარებლებთან და დუქნებში რძის დარიგების დროს.

ეს საქმე მინდობილი აქვს სადუქნო კომისიებს, რომლის წევრები მიმაგრებული იქნებიან კოოპერატიულ დუქნებზე და რძის დამტარებლებზე. ისინი აბონემენტების შეცვლასთან ერთად აწარმოებენ თვით აბონენტების შემოწმებას. ამისათვის საჭირო იქნება აბონენტებმა თან იქონიონ ბავშის პურის წიგნაკები ლიტერი „გ" და იმ კოოპერატივის საწევრო წიგნაკი, რომლის წევრიცაა აბონენტ-ბავშის პატრონი. აბონემენტების განახლება დაიწყება დღეიდან.

ავადმყოფებზე დასარიგებელი აბონემენტები შესაცვლელად გადაეცემა თბილისის აღმასკომის და ამიერ-კავკ. რკინის გზის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებებს.

დამატებითი აბონემენტების განაწილება იწარმოებს წარმოება-დაწესებულებებში კოოპკომისიების საშუალებით.

სამშაბათს 10 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, „კომუნისტი"-ს რედაქციის ბინაზე (კამოს ქ. № 68) შესდგება

გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორებისა და ფაბრიკა-ქარხნებთან არსებულ კედლის გაზეთების წარმომადგენელთა კრება.

დღის წესრიგი: 1. პროფკავშირების მუშაობის მორიგი ამოცანები.
2. მუშ-გლეხკორებში მასიური მუშაობის მორიგი ამოცანები.

მუშკორების და კედლის გაზეთების წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულოა.

ორშაბათს, 9 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე ხელოვნების სასახლეში

იწყება

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციასთან არსებულ სემინარის მუშაობა

დასწრება სავალდებულოა ყველა პროლეტარული და კომკავშირელი მწერლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

საინსტრუქციო თათბირი

გუშინ გაიხსნა შინამრეწველობის კოოპერაციის ინსტრუქტორთა თათბირი. თათბირის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: მოხსენებები ადგილებიდან, 1928-29 წლის ანგარიშების შედგენის და 1929-30 წლის ანგარიშების ახალი წესები, წევრთა სოციალური გამოკვლევის ორგანიზაცია, კულტმუშაობის საკითხები, საფინანსო საკითხები, სარეწაო გადასახადის საკითხები, ღარიბთა შორის მუშაობა, სარეწაო კოოპერაციის მორიგი ამოცანები, 1929-30 წლის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა. თათბირი გაგრძელდება ერთ კვირას.

დანიშვნები

თბ. აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, ადგილობრივ მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილეთ დაინიშნა ამხ. ხარაზიანი, ამხ. ჯანჯღულაზოვი კოთილმოწყობის ქ.-განყოფილების გამგეთ, ამხ. ცუცქირიძე—კოლმეურნეობათა საოლქო განყოფილების გამგეთ, ქეჩის ქარხნის დირექტორად—ამხ. დარბინიანი.

მოჯამაგირეთა დაწინაურება

მოჯამაგირეთა დაწინაურების მიზნით, ძირითად პროფორგანოებში მიწა-ტყის კავშირმა მოსკოვში პროფკურსებზე გაგზავნა 7 მოჯამაგირე, ხოლო თბ. პროფკურსებზე 8 მოჯამაგირე.

საცდელ-საჩვენებელი შემნახველი სალარო

ამ დღეებში საქართველოს ცენტრალური შემნახველი სალაროს განყოფილება, რომელიც იმყოფება პლეხანოვის პროსპექტზე № 79, გადაკეთებული იქნება საცდელ-საჩვენებელ შემნახველ სალაროთ.

რეორგანიზაციის მიზანია ახალი გამოცდილების შეტანა შემნახველი სალაროების მუშაობის გასაუმჯობესებლათ.

კომინტერნის ქუჩის გაფართოება

თბილისის აღმასკომმა მიზანშეწონილად სცნო კომინტერნის (სასახლის) ქუჩის გაფართოება.

ამ მიზნით აღებული იქნება ე. წ. კამოევას ეკლესია და მის დაყოლებით მდებარე შენობები.

დამზღვევ სალაროების სუსტი მუშაობა

სოცდაზღვევის კომიტეტმა გამოიკვლია ქუთაისის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ფოთის და სოხუმის დამზღვევ სალაროების მუშაობა. გამოირკვა, რომ ადგილობრივი დამზღვევი სალაროები სუსტად მუშაობენ, სარევიზიო კომისიებს ერთხელაც არ მოუხდენიათ სალაროების საქმიანობის რევიზია (მაგ., ოზურგეთში).

გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ექიმები გულგრილად ეპყრობიან თავიანთ მოვალეობას და შეღავათებს აძლევენ ისეთ პირებს, რომლებსაც არ ეკუთვნით.

მიღებულია ზომები შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად.

თბ. აღმასკომში

◆ სანიტარულ პირობების დაცვის მიზნით, ქალაქის ფარგლებში მცხოვრებთ ეკრძალებათ ღორების ყოლა და მოშენება.

◆ რაციონალიზაციის კურსებზე მოსკოვში თბ. აღმასკომმა გაგზავნა 2 თანამშრომელი.

◆ სტანდარტული კარ-ფანჯრები. თბ. აღმასკომმა თავის ქვე-მდებარე საამშენებლო ორგანიზაციებისათვის შემოიღო სტანდარტული კარ-ფანჯრები.

მიწსახკომში

◆ მეცხვარეობის განსავითარებლად გადაიდო 56.000 მანეთი.

◆ „უდაბნოს“ გაფართოება. მიწსახკომი შეუდგა მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის „უდაბნოს“ გაფართოებას.

◆ მემინდვრეობა-მესაქონლეობის ახალი საბჭოთა მეურნეობა ეწყობა ყარაიაში.

მთიელთა საზ-გაში

◆ ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან. მთიელთა საზ-გამ სამხრეთ-ოსეთში გახსნა 12 ლიკ-სკოლა და მათ შესანახათ გადასდო 1440 მ.

◆ სტიპენდია. საზ-გამ 19 მთიელ სტუდენტს დაუნიშნა სტიპენდია.

◆ მთიან ადგილებში კულტმუშაობის გასაცხოველებლად საზ-გამ გადასდო 30.000 მანეთი.

საქ. პოლიტეხნ. ინსტიტუტში

◆ მექანიკური ფაკულტეტის სტუდენტები, რომელთაც აქვთ აღებული სადიპლომო პროექტების თემა ხელმძღვანელებთან: პრ. პეტრუსოვთან, პუტკევიჩთან, დოც. გედევანიშვილთან, ტერ-ხაჩატუროვთან, ლექ. ყირქესალიშვილთან, სარაჯიშვილთან და ლუნიაკინთან, უნდა გამოცხადდენ პროექტებით და ყოველივე მასალებით საკვალიფიკაციო კომისიაში 11 დეკემბერს, დილ. 9 საათზე.

◆ საინჟენერო-საამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებიც აპირობენ კურსის დამთავრებას 1930 წლის 1 ოქტომბრამდე, უნდა გამოცხადდენ დეკანატში ოთხშაბათს, 11 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე და მოიტანონ თან დარჩენილ საგნების სიები.

სხვადასხვა

◆ ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე, სამშაბათს 10 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში წაიკითხავენ მოხსენებებს: 1. ვლად. ფანჩვიძე: „დამსახ. პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, როგორც ენათმეცნიერი“ და 2. მაკარი ხუბუა: „სამეგრელოში მოხსენება გურიაში (სურების რაიონში) საენათმეცნიერო მივლინების შესახებ“. შესვლა თავისუფალია.

შეცდომის გასწორება

ბიბლიოგრაფიაში ნ. იაშვილის წიგნზე, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა, კორექტორების დაუდევრობით გაიპარა შეცდომა, რომელიც სრულიად ამახინჯებს აზრს. მეექვსე აბზაცში სწერია: „ამგვარად, ავტორი ჩვენს პირობებში რენტის თავისუფლებას ხედავს“,... უნდა იყოს: „...რენტის თავისებურებას ხედავს“.

სასამართლო

ყოფა-ცხოვრებიდან

ამბავი მოხდა ს. ყარაიაში ამა წლის 8 აპრილს.

ახალგაზრდა ქალი **ხეისარა აგაბეგ კიზი** თვლებოდა **ისლამ ბალაბეგ-ოღლი გამზაევის** საცოლედ. ისლამს უყვარდა ხეისარა.

მალე ხეისარას ოჯახი დამგლოვიარდა. ხეისარას და ნინა, რომელიც ცოლად ჰყავდა **იუსუპ აგაბალი ოღლის,** ჭლექით გარდაიცვალა.

დაქვრივებული იუსუპი, რომელიც ნინას ოჯახში იყო ჩასიძებული, ერთბაშად ხომ ვერ დასტოვებდა ოჯახს. განაგრძობდა ცხოვრებას, იმავე ოჯახში.

ამ გარემოებამ დიდად დაამწუხრა ხეისარას საქმრო ისლამ გამზაევი. ის შეიპყრო შიშმა. ეს შიში ემყარებოდა მუსლიმანთა ძველ ადათს, რომელიც დიდი ხანია უკუაგდო ახალი ცხოვრების გზაზე დამდგარმა გლეხობამ.

რაში მდგომარეობს ეს ადათი? თუ სიძე დაქვრივდა და ცოლის ოჯახში კიდევ არის გასათხოვარი ქალიშვილი, ე. ი. თუ მისი ცოლის და გაუთხოვარია, მან უნდა შეირთოს ის.

აი რა აშინებდა ისლამ გამზაევს. ის დარწმუნებული იყო, რომ მის საყვარელ ხეისარას მას აღარ მიათხოვებდნენ და მისცემდნენ დაქვრივებულ სიძე იუსუპ აგაბალი-ოღლის.

ხეისარას ოჯახი არ მისდევდა ამ ადათს, მაგრამ ამაში ვინ დააჯერებდა ძველი ყოფა-ცხოვრების შვილს, ისლამ გამზაევს.

გავიდა რამდენიმე წელი. დაქვრივებული სიძე განაგრძობდა გარდაცვალებულ ცოლის ოჯახში ცხოვრებას.

— თუ ჩემთვის უნდათ ხეისარა, იუსუპს რაღა უნდა მათთან. თუ ჩემი საცოლეა, შე უნდა ვცხოვრობდე იმ ოჯახში... მაშასადამე, მე მატყუებენ,—ფიქრობდა ისლამი და გულზე მუშტებს იბრაგუნებდა.

— იუსუპი მალე დასტოვებს ჩვენს ოჯახს... ნუ გაღელვებს ეს გარემოება, ჩვენ მალე ვიცხოვრებთ ერთად,—უთვლის ქალი საქმროს.

იუსუპს დააგვიანდა წასვლა. მან ვერ მოახერხა შეჩვეულ ოჯახის დატოვება.

ისლამ გამზაევი შეიპყრო ეჭვმა, რომელმაც ღრმად გაიდგა ფესვები მის სულსა და გულში. საბოლოოდ გადასწყვიტა, რომ ხეისარა და მისი დედა მხოლოდ ყასიდათ აიმედებდნენ მას. ნამდვილად კი ხეისარა იუსუპთან სცხოვრობს. ამაში ღრმად დააჯერა ისლამმა თავისი თავი.

და ერთ დღეს თავისივე სახლის ეზოში ნახეს სისხლის ღვარში შეცურებული ხეისარა, რომელსაც მთელი სხეული დაფარული ჰქონდა ჭრილობებით.

იქვე ეგდო სულთმობრძავი სასიდედრო ხურუ აბდულა კიზი, რომელიც სიკვდილს გადაარჩინეს.

ყოველივე ეს ჩაიდინა გაუგებრობით ისლამ გამზაევმა.

გამზაევის გასამართლება მოხდა საჯაროდ ყარაიაში. პროცესზე ბრალმდებლად გამოდიოდა პროკურორი ამხ. ხუნდაძე.

გამზაევს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით სასტიკი იზოლიაციით.

—:—

ყაჩაღების გასამართლება

საქართველოს უზენაეს სასამართლოს სესიამ ამხ. ბოცვაძის თავმჯდომარეობით ქ. ხონში გაასამართლა ყაჩაღები **ნესტორ იოსების ძე გოდერიძე, გრიგოლ სიკოს ძე ბენიძე და ინდიკო სულუხია.**

როგორც ვსწერდით, აღნიშნული პირები **იყვნენ** განუყრელი მეგობრები. მათ მოილაპარაკეს საქეიფო „ფონდის“ გასაძლიერებლად მოეხდინათ ძარცვა-გლეჯა და 1928 წლის ბოლო რიცხვებიდან კიდეც შეუდგნენ ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას.

ისინი ახდენდნენ თავდასხმებს მგზავრებზე, მშვიდობიან მცხოვრებლებზე, იტაცებდნენ ფულს და ინაწილებდნენ.

როგორც სასამართლო ძიებით გამოირკვა, მათ მოუხდენიათ 5 თავდასხმა.

გოდერიძეს და ბენიძეს, როგორც სოციალურად საშიშ პირებს სასამართლომ მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა, მაგრამ მიიღო მხედველობაში შემამსუბუქებელი გარემოებანი და დახვრეტა შეუცვალა ათ-ათი წლის პატიმრობით.

სულუხიას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით სასტიკი იზოლიაციით.

ვერ.

ხელოვნება

სომხური დრამა „განაჩენი“

(4 დეკემბერი, რუსთაველის თეატრი)

ს. ლევიტინის პიესა „განაჩენი“ სამოქალაქო ომის ეპიზოდებს გვიხატავს.

პიესა სცენიურია, მასში არის მთელი რიგი ეფექტიური მომენტი, რომლებიც მოხერხებულად გამოუყენებიათ სომხური დრამის მსახიობებს.

პიესის შესრულება ღირსია მოწონების. ელენეს როლი გულწრფელად და გრძნობით ჩაატარა მოჩორიანმა, რომელმაც ამასთანავე გარკვეული მიმიკა გვიჩვენა. კარგი იყო გუკასიანის ქალი (ბოლშევიკი ქალი ოზოლი). ტიპიური იყვნენ ბერთიანები ელენეს შშობლების როლში.

მამაკაცების შემადგენლობა, მსახ. ალიხანიანის, არმენიანის, გალუსტიანის და სხვათა სახით მტკიცე ანსამბლს ქმნიდა. ვ. დ.

სპენდიაროვის სახელობის კვინტეტი

სომხეთიდან თბილისში ჩამოვიდა კომპოზიტორ სპენდიაროვის სახელობის აღმოსავლური კვინტეტი.

ავანსცენას ხელმძღვანელობს მისი დამაარსებელი დირიჟორი ვ. ბუნი.

კვინტეტი თბილისში დარჩება 15 იენისამდე და პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მოწვევით მუშათა კლუბებში გამართავს კონცერტებს.

კვინტეტის პირველი კონცერტი გამართება დღეს მუშათა ახალ კლუბში.

◆ ნავთლუღის რკინის გზის მუშათა კლუბში სახ. მომღერალთა გუნდი მიხ. კავსაძის ხელმძღვანელობით დღეს გამართავს დიდ კონცერტს.

◆ პროლეტმწერალთა ასოციაციის სემინარი. ორშაბათს, 9 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, ხელოვნების სასახლეში იწყება პროლეტარულ მწერალთა ასოციაციასთან არსებულ სემინარის მუშაობა. დასწრება სავალდებულოა პროლეტარული და კომკავშირელი ყველა მწერლისათვის.

◆ კომკავშირულ მწერალთა წრეში. დღეს, 8 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება კომკავშირულ მწერალთა წრის მორიგი სხდომა. დღის წესრიგში სდგას წრის სამუშაო გეგმის დამტკიცება და მასალების განხილვა.

დღესვე, საღამოს 5 საათზე შესდგება ამავე წრის ბიუროს სხდომა.

◆ „ყამირი“. რუსთაველის თეატრში დღეს მიდის პრემიერა „ყამირი“.

◆ მე-2 სახელმწიფო სამუსიკო მუზეუმში დღეს, დილის 12 ს. შესდგება მოწაფეთა 1-ლი ღია კონცერტი.

◆ „გრძნობათა შეთქმულება“. დღეს მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება: „გრძნობათა შეთქმულება“.

◆ პლეხანოვის სახ. კლუბის ბიბლიოთეკა დღეს საღამოს 6 ს. აწყობს მუშათა კრიტიკის საღამოს, რომელზედაც განიხილავენ კ. ლორთქიფანიძის მოხსენებას: „პირველი დედა“.

რკინისგზაზე

საბჭოთა ავტოდრეზინები

აქამდე საბჭოთა კავშირის რკინის გზებისათვის საჭირო ავტოდრეზინები ჩვენში შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან.

ეხლა ავტოდრეზინების დამზადება სწარმოებს საბჭოთა კავშირში—გზათა სახალხო კომისარიატის კალუგის სარემონტო ქარხანაში. ქარხანა ავტოდრეზინების პირველ პარტიას გამოუშვებს წელს.

ხუთწ. გეგმის შესრულებისას იგი სავსებით შესძლებს საბჭოთა რკინის გზების უზრუნველყოფას ავტოდრეზინებით.

ამიერ-კავკ. რკ. გზამ კალუგის ქარხანას დაუკვეთა რამოდენიმე ავტოდრეზინა.

რა აფერხებს შეშის გადაზიდვას

რკინის გზის საწყობებში, როგორც თბილისში, ისე ხაზებზე ადგილი აქვს შეშის დიდ ნაკლოვანებას.

ამავე დროს გზის მთელ რიგ პუნქტებში დაგროვილია დიდძალი რაოდენობის შეშა, რომელთა გამოზიდვა შეჩერებულია იმის გამო, რომ თავისუფალი ვაგონები არ მოიპოვება მარტო ფოთის უბანზე დაგროვილია 700 ვაგონი შეშა, რომლის გამოზიდვა ფერხდება ვაგონების უქონლობის გამო.

ამჟამად მიღებულია ზომები ადგილებზე დაგროვილ შეშის თბილისში და სხვა ადგილებში გადასაზიდათ.

კინო-დარბაზი
ორშაბათიდან, 9 დეკემბრიდან
3 დღე კიდევ
ა. ი. ხეიფეცის გასტროლები
ეკრანზე
მთის ბალადა
ნ. 3480

ჭ ა დ რ ა კ ი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) ა. ჩირაძე (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი სამ სვლაში

(ამოცანა) ს. კალანდაძე (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

პარტია № 31 (ბოგოლიუბოვის დაცვა)

გათამაშებულია მეორე კატეგორიის მოჭადრაკეთა შეჯიბრების მეხუთე ტურში თბილისში 27/XI-29 წ.

თეთრები: **დ. წერეთელი**—შავები: **ბ. ლევიტასი**

1. d4, მf6 2. მf3, 3. c4, კb4+ 4. კd2 (უკანასკნელ გამოკვლევებით სჯობია მd2 და შემდეგ a3 თამაში. გაცვლა d2-ე შავებისათვის არ არის ხელსაყრელი შავი უჯრების დასუსტების გამო) **4.., კ:d2 5. მ:d2, 0—0 6. e3** (სჯობდა 6. g3 კუს h8—a1 დიოგონალზე განვითარებით) **6.., b6 7. ლc2, კb7 8. კd3, მa6 9. a3, c5 10. 0—0, d6 11. ეfd1, ლe7 12. ეac1, ეfe8 13. ლc3, e5** (თეთრების პასიურ თამაშს შედეგათ მოჰყვა შავების მიერ ამ სვლის მომზადება, რომლის შემდეგ ღებულობენ უკეთეს პარტიას) **14. d:e 15. e4?** (თეთრები ფიქრობენ მოხვდენ მხედრით d4-ზე, მაგრამ შავები მათ უსწრობენ ერთი სვლით და თვითონ იკავებენ მხედრით d4 უჯრას. სჯობდა ეb1 თამაში, თუმცა ამ შემთხვევაშიაც შავების მდგომარეობა უკეთესია) **15.., მb8! 16. ლc2, მc6 17. მf1, მd4 18. მ:d4, e:d4 19. ეe1, g6 20. f3, მh5 21. ლd2, ლf6! 22. a4, მf4 23. b3, h5 24. მg3** (მe2 შემდეგ f4 მხედრის გაცვლის მიზნით, მაგრამ შავები თავიანთ შემდეგ სვლით წინააღმდეგობას უწევენ მათ) **24.., ლg5! 25. მფh1, ეad8 26. ეe2?** (თეთრებით თამაშობენ უგეგმოთ, მf1 და g3 დაცვის შესაძლებლობას ჰქმნიდა არ შეიძლებოდა ეg1, h4! 27. მe2, მh3! 28. ეgd, მf2+ 29. მფg1, ლe3!! და თეთრები აგებენ სულ ნაკლებ ხარისხს, არ შეიძლება აგრეთვე 27. მf1, მ:d3 და შემდეგ ლ:c1 გამო) **26.., h4 27. მf1, ეe5! 28. ეc1, ლf6 29. კb1, h3 30. g:h, კc8! 31. მg3, კ:h3 32. ეg1, d3 33. ეc3, მe2! 34. ე:d3, ე:d3 35. ლ:d3, მ:g1 36. მფ:g1, ეe8 37. მფf2, ეd8 38. ლc2, ლf4 39. მფe2, კg2! 40. ლc3, კ:f+** თეთრები დანებდნენ.

—:—

მეორე კატეგორიის მოჭადრაკეთა შეჯიბრი

დღეს 8 დეკემბერს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გათამაშებული იქნება შეჯიბრების უკანასკნელი ტური თამაშობენ: წერეთელი-კარლინსკი პოგოსოვი-ლევიტასი, არუთინოვი-ჯაგეტიანი, ფალავანდიშვილი-იცკოვიჩი, სიჭინავა-მოსესოვი, დანილოვი-ასოვსკი, ჩერნიავსკი-შიშოვი და ახნაზაროვი-დავიდოვი.

დასაწყისი საღამოს 6-ნახ. საათზე

შემთხვევები

მკვლელობა

ვასილ თუშიშვილმა (მცხ. ციმაკურიძის ქ., 5), დანით მოჰკლა თავისი ყოფილი ცოლი თამარა ჭანტურიძე. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

სოფ. ანანურში მცხ. ვანია ბერიაშვილმა შურისძიების ნიადაგზე ხანჯლით მოჰკლა იმავე სოფლის მცხოვრები გიორგი ჯავაშვილი. მკვლელი შეიპყრეს.

მილიციელის მოკვლა

ჭიაურში, შავ-წყალასთან სამმა ბოროტმოქმედმა მოჰკლა სიღნაღის რაიმილიციის უმცროსი მილიციელი ჯალიაშვილი.

ძარცვა

3 დეკემბერს 5 შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა სოფ. კელმეჩურის და ჭოტორის შუა (კახეთის ოლქი) გაძარცვეს სოფ. ნანიანის მცხოვრები გოგინაშვილი და სხვები. მგზავრებს წაართვეს 297 მან.

ქურდის შეპყრობა

დაპატიმრებულია ნიკოლოზ დიმიტრისძე მოლოტოვი, რომელმაც მუშკოოპის № 3 მაღაზიიდან (კახეთის ქ., 43), მოიპარა სხვადასხვა საქონელი.

ქურდობა

ოლღა სიმონის ასულ ჩაჩანიძეს თბილისის სადგურში მოპარეს ჩემოდანი 300 მანეთის ნივთებით.—მარგარიტა გასპარის ასულს ოგანესოვას ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს ფული და სხვადასხვა საბუთები.—გაქურდეს სამკითხველო (მესამე სამილიციო უბანი); წაიღეს სხვადასხვა წიგნები.—ოლღა აღნიაშვილის ბინიდან (ვერცხლის ქ., 31); წაიღეს 580 მანეთის საოჯახო ნივთები.

შრომის ბირჟაში

დღეს, 8 დეკემბერს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

შავ მუშათა მესამე სექციიდან: ო. როზაქიძე, რ. ბანოიანი, ს. მარტიროსოვა, ტ. საფარიანი, ნ. გვაზავა, ა. დორდონიანცი, ს. სტეპანიანცი, კ. ბაღდასაროვა, ნ. ციციშვილი.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ფ. ხუნდაძე, ნ. გუპელაძე, მ. გულოიანი, მ. ვაშაკიძე, ფ. სიდამონიძე, ი. სმიჩკოვა, ნ. შავერდოვა, ა. პაატაშვილი.

ახალგაზრდათა სექციიდან: პ. ისარლოვა, ც. დახელია, თ. ჩიქოვანი, ა. პანიაშვილი.

მშენებელ მუშათა სექციიდან: თვალაძე, ი. ნაზარაძე, თ. ახდრიასოვა, მამიკონიანი.

რკინის გზელთა სექციიდან: ი. ფოჩხუა, ც. კობახიძე, თ. გოგიჩაიშვილი... [illegible]

მედსექციიდან: ე. ოქსოიანი, ე. სიმონიანცი, პ. გორდეზიანი, მ. არუთინოვა, ს. ავეტისიანი,

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: ი. ჯორჯაძე, მ. ხარკოვიანი, ი. ხუბერაშვილი, ლ. ხუციშვილი, გ. ბაღდასაროვა, ს. გევორქოვა, ა. ბარსეგოვა.

საბიბლიოთეკო ლაშქრობა

სამტრედიის ცენტრალურ სამკითხველოს გასაძლიერებლად ვიძენთ 25 მანეთის წიგნებს და ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს; ნ. გეგიას, ს. დუნდუას, ა. ზამთარაძეს, შ. ცქიფურიშვილს, ვ. შენგელიას, ს. მასხარაშვილს, ი. ახობაძეს, ვ. ბუჯიაშვილს, დ. ღოღობერიძეს, შ. ძიძავაშვილს, ლ. ჩხაიძეს, ქ. ანჯაფარიძეს, ს. კოპალეიშვილს, ვ. ფოცხვერიას და დ. ლომიძეს.

გ. სიხარულიძე და გ. კუჭუხიძე.

რადიო-გადაცემა

კვირა, 8 დეკემბერი

დღეს თბილისის 10 კილოვატიანი რადიოსადგურიდან 1060 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება შემდეგი:

პიონერისა და მოწაფის საათი—„როგორ უნდა ვაწარმოოთ ანტირელიგიური მუშაობა სკოლაში“—ქართულ ენაზე; საბავშო ლიტერატურულ-მუსიკალური დილა „თანამედროვეობი“-ს ციკლიდან, გადაცემა გლეხთათვის, საუბარი ექიმთან, საერთაშორისო და საშინაო მიმოხილვა—ქართულ ენაზე; პოპულიარული კონცერტი გლეხთათვის; პიონერისა და მოწაფის საათი, მუსიკალური პიესა „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს“—რუსულ ენაზე; საუბარი აგრონომთან „საზამთრო სამუშაოები მინდვრათ, ბაღში, ბოსტანში და სახერგეებში“—ქართულ ენაზე; კომკავშირული რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე; ლექცია დახმარება საბჭოთა პედაგოგს, „ცვლილებები სამოსწავლო პროგრამაში“—ქართულ ენაზე; მხატვრულ ნაწარმოებთა კითხვის საათი, საერთაშორისო და საშინაო მიმოხილვა—რუსულ ენაზე; დროის შემოწმება და საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობა; ოპერა „სამსონ და დალილა“-ს ტრანსლიაცია; უკანასკნელი ამბები.

ორშაბათი, 9 დეკემბერი

დილით—მუშათა შუადღე; უკანასკნელი ამბები და კონცერტი.

საღამოს—თბილისის 10 კილოვატიან რადიო სადგურიდან გადაცემული იქნება შემდეგი:

მუსიკალური დასვენება ნასადილევს, პიონერისა და მოწაფის საათი; „საქართველოს პიონერთა რადიო-ლაშქრობა“—რუსულ ენაზე; (რადიო-ფილმი), რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე; გაზეთი „წითელ არმიელი“—ქართულ ენაზე; დაუსწრებელი კომუნისტური უნივერსიტეტიდან ლექცია „დასავლეთისა და აღმოსავლეთის ისტორია“—რუსულ ენაზე; დროის შემოწმება და ამინდის ბიულეტენი, რადიო-გაზეთი—რუსულ ენაზე; კონცერტი ისტორიულ ციკლიდან „მოცარტი“; უკანასკნელი ამბები.

ტრაქტორები სოფელს

სასოფლთაშორისო სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დასაარსებელ ფონდის გასაძლიერებლათ შემოგვაქვს ერთი დღის ხელფასი და ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს; საშა მინდორაშვილს, გიორგი ლოცკინს, ავეტიქ ისრაელიანცს, ერმილე დეკანოსიძეს, დავით მიქელაძეს, ნიკოლოზ ხეჩინაშვილს, მიხეილ ჩერქეზიშვილს, დანიელ მორჩაკოვს, იასონ მაჩაბელს, სტეფანე ჩუგუნიძეს, ანდრო რუხაძეს, სევერიანე ნადარეიშვილს, იოსებ ავალიშვილს, ანტონ სომხიევს, ლეონიდ მახვილაძეს და სხვებს.

საქ. მიწსახკომის მიწათმომწყობნი **ო. გეგელაშვილი, მ. ქოიავა.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ორშაბათს 9 დეკემბერს, დილის 11 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტპროპ-ბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება **რედაქტორების თათბირი,** რომელსაც დაუგვიანებლივ უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

ხ. კიკნაძე („კომუნისტი“), პ. საყვარელიძე („ახალი სოფელი“), ფილია ან სიხარულიძე („მუსა“), გრიგორიანი („რაბოჩაია პრავდა“), მახათაძე („ახალგაზრდა კომუნისტი“), და „მოლოდოი ლენინეც“-ი), მდივანი (ქალაქის რაიკომი), ვართანიანი („პროლეტარი“), რასულ ზადე („ენიკენდ“-ი), ვ. სიხარულიძე („მოჯამაგირის ხმა“) და არაშიძე („წითელი არმიელი“).

—:—

ორშაბათს, 9 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთავ. პრ. № 21, მე-3 სართული) შესდგება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

ამხ. ნიკოლოზ მახარაძე, ვანციანი, სანოვიჩი, სერგო არუთინოვი, კნიაზევი, ქემონხერი, ადამიანი, გაზ. „კომუნისტი“-ს, „ზარია ვოსტოკა“-ს, „რაბოჩაია პრავდა“-ს და „პროლეტარი“-ს პარტიული განყოფილებების გამგეები, „მოლოდოი ლენინეც“-ის და „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს რედაქციების წარმომადგენლები და რაიკაბინეტების პარტმუშაობის გამგეები.

—:—

კვირას, 8 დეკემბერს, საღამოს 6 საათისათვის, საქ. კომპარტიის (ბ) ქალაქის რაიკომში (სოლოლაკის ქ. № 7) მოწვეულია **ქალაქის რაიონის ერთიანი პოლიტსკოლეის ხელმძღვანელებისა და საქართველოს კომპარტიის (ბ) უჯრედების აგიტპროპორგანიზატორების გაერთიანებული თათბირი.**

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

საქართველოს კომპარტიის (ბ) ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს 8 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში (სოლოლაკის ქ. № 7) მოწვეულია უჯრედებისა და საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობების ქალ-ორგანიზატორების აქტივის კრება.

ყველა ამხანაგებს წინადადება ეძლევათ გამოცხადდენ დაუგვიანებლივ.

გულითადი მეგობრები იერეჰი იმ აიშვილი და ივანე ლექავა მწვავე გულის ტკივილით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ შოთა კალანდაძის უფროს ვაჟის შვილის

პატარა რობერტ (კუსი) შოთას-ძე-კალანდაძის

უდროოდ გარდაცვალებ ს. (ე)

ღრმად დამწუხრებული დედ-მამა დომინიკო და შოთა კალანდაძეები, ძმა პატარა ია, ბებიები: პოლინე და მარო; ბაბუები: იაგორ და ანტონ, მამიდები: კატო, ანასტასია, ელენე, გალუეკინა და ნინო, ბიძები სერგო, გიგო, ვასო, სიმონ, გრიშა, ერასტო და კოსტა; ბიცოლები ლიდა და ვენერა, ალექსი და თედო შვილებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 7 ნოემბერს დილით, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უსაყვარლესი და სიცოცხლით სავსე

რობერტ (კუსი) შოთას-ძე კალანდაძე

გამოსვენება ჩერქეზიშვილის ქ. № 28, სამშაბათს, 10 დეკემბერს, 4 საათზე. დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. (ე)

ღრმად დამწუხრებული დედა ანა ივანეს ასული, მამიდა მატრონა ჯაშიტაშვილები, და მანია ექვთიმეს ასული შვილით ბუჯანაძეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

დ ი დ ი მ [illegible]

გარდაცვალებას. გამოსვენება დანიშნულია კვირას, 8 დეკემბერს, 2 საათზე. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 4624

თბ. სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკ. II კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა სამკ ფაკ. III კურსის სტუდენტი

ამხ. დიდიმ (დიმიტრი) ჯაშიტაშვილი

4614

თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკ. მე-III კურს. სტუდენტობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე კურსის სტუდენტი

ამხ. დიდიმ (დიმიტრი) ჯაშიტაშვილი

გამოსვენება საკუთარი ბინიდან ქუთაისის შეს. № 4, კვირას, 2 საათზე. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 4612

ს.მ.უ.ს. ქიმკომბინატის ქარხნკომი და თანამშრომლები აუწყებენ საზოგადოებას ამავე კომბინატის თანამშრომლის

დიდიმ ისმაილის-ძე ჯაშიტაშვილის

უდროვოდ გარდაცვალებას. 2—2 4627

ს.მ.უ.ს. ქიმკომბინატი აუწყებს საზოგადოებას პატიოსან და ენერგიული მუშაკის

დიმიტრი (დიდიმ) ისმაილის-ძე ჯაშიტაშვილის

გარდაცვალებას 2—2 4626

ღრმად დამწუხრებული ამხანაგები: სამკურნ. ფაკ. სტუდენტები გოცაძე გ., ჯეგია ლ., ჯალალოვი ნ., გორგოძე ს., ნიკოლაიშვილი თ., პაჭკორია მ., შერგელაშვილი კ., ლაშხი ირ., ახალაძე გ., მინდაძე მ., აბაშიძე ან., ტყეშელაშვილი აბ., გოგიბედაშვილი ვ. ჩაბრავა ი., ანდღულაძე ვ., ბოლქვაძე ილ. და ფიჩუხაძე მ. აუწყებენ საზოგადოებას მათი ძვირფასი ამხანაგის

დ ი დ ი მ ი ს

უდროოდ გარდაცვალებას. 4613

მიშა მეტრეველი, ვანო, მარუსა და ზურიკო ნაგლაძეები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას თბ. სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკ. მე-III კურ. სტ.

დიდიმ ჯაშიტაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს საკუთარ ბინიდან, ქუთაისის შესახ. № 4. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. (დ)

მშობლები: ქრისტინა და იულონი, მეუღლე ვერა, ძმები: ეპიფანე, აქსენტი, მიშა, დათიკო და ვანო, დები: პაშა და თამარი, სიძე ირაკლი ჩოჩია, რძლები: ლიუსია, ნინა, ჟენია და ჟენია—ძმისწული იურა, დისწული პატარა ციალა და მამიდაშვილი ნოე გაგუა გულმოკლულნი და თავზარდაცემულნი იუწყებიან, რომ 6 დეკემბერს, ქ. თბილისში გარდაიცვალა დაუვიწყარი და საყვარელი

პალისტრატე (კალე) იულონის-ძე ნოდია

გამოსვენება რკ. გზ. საავადმყოფოდან, პანაშვიდი 8 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე. დასაფლავება 10 დეკემბერს სოფ. ძველ აბაშაში, სენაკის მაზრა. 4605

თბილისის სადგურის მუშა-მოსამსახურეები მწუხარებით აუწყებენ თავის ამხანაგებს და მეგობრებს საყვარელი და დაუვიწყარი თანამშრომლის

პალისტრატე (კალე) იულონის-ძე ნ ო დ ი ა ს

უდროოდ გარდაცვლებას. გამოსვენება რკინის გზის საავადმყოფოდან სადგურში კვირას 8 ნოემბერს 18 საათზე. 4606

თავზარდაცემული მეგობრები: ქიჭიკო ქოჩაქიძე, გრიგოლ ტაბაყუა, გოგა კორძაია, ირაკლი გაჩ ჩილაძე, გიორგი რთველაშვილი, ბაკრატ ბაკურაძე, პელო მაცაბერიძე, ელენე ჯინორიძე, დარო სალუქვაძე, მარო ჯოხაძე, კოტე ცომაია წულაია, იაკობიძე და სიმონიკა ებრაელიძე იუწყებიან მათი საყვარელი

კ ა ლ ე ნ ო დ ი ა ს

უდროოდ დაკარგვას. 4606

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ნიკო ბესარიონის-ძე დოლიძე შვილით პატარა ლადოთი აცნობებს ამხანაგებს, ნათესავებს და მეგობრებს, რომ მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ფედოსი სოლომონ გოგიბერიძის ას. დოლიძისა

დაკრძალვა 12 დეკემბერს, დღით ხუთშაბათს, 2 საათზე, სოფ. ამაღლებაში (გურია), თავის საკუთარ ბინაზე. 2 1 ნ. 3483

დამწუხრებული მეუღლე გიორგი მშობლებით, ძმებით და დებით იუწყება, რომ 10 დეკემბერს, სოფ. ღანირში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი

ელენა იოსების ასულის პაპავა-ოდილავაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 4630

დამწუხრებული მამა იოსები შვილებით, ძმით, რძლებით და შვილისშვილებით იუწყება, რომ 10 დეკემბერს, სოფ. ღანირში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი

ელენა იოსების ასულის პაპავა-ოდილავაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 4640

მწუხარებაში მყოფი ცოლი ხინო და შვილები აუწყებენ, რომ 8 დეკემბერს, სრულ 3 საათზე, დიდუბის პანთეონში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

სამსონ ივანეს-ძე პაიჭაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 4629

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1929—30 წ. სეზონი
კვირა, 8 დეკემბერი, მე 12 აბონემ. 1-ლი წარმ.
უკანასკნელად მ. პ. მაქსაკოვას მონაწილეობით **სამსონ და დალილა**
ორშაბათი, 9 დეკემბერი, მე-7 აბონემ. მე-3 წარმ.
ალექსანდრე პიროგოვის მონაწილეობით **სევილიელი დალაქი.**
სამშაბათი, 10 დეკემბერი, აბონემენტის გარეშე.
პრემიერა **აიდა** ბილეთები იყიდება.
ყველა სააბონემენტო წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია ხელზე გასასყიდლად. წარ. დასაწყისი სად. სრულ 8 საათზე.
ნ. 3481

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1929-1930 წ.
ნ. 3460
დღეს, კვირას, 8 დეკემბერს
სერია ბ მე-4 აბონემენტის მე-3 წარმოდგენა
პრემიერა **ყამირი** ს. იანოვსკი
დრ. 13 სურ. გადმოკ. ს. შანშიაშვილის მიერ.
დადგმა—აკ. ფასაძის.
მხატვარი—ირ. გამრეკელი.
მუსიკა—გრ. კილაძის. დასაწყისი სრულ 8 საათზე
თეატრის დირექტორი, სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი — ალ. ახმეტელი.
ფასები ჩვეულებრივია—სტუდენტებს მხოლოდ ტალონებით—50 კ.

აპოლო **ინჟინერი ელაგინი**
9 დეკემბრიდან—
თანამდებობანი და ადამიანები
სოლეი უკანასკნელი დღე **ლუ-ლუ**
9 დეკემბრიდან
თანამდებობანი და ადამიანები
მინიონი **ექვიანობა**
ლია დე პუტის მონაწილეობით
9 დეკემბრიდან გრძელდება იგივე სურათი
პალასი **მულენ-რუჟ**
9 დეკემბრიდან
გრძელდება იგივე სურათი
არფასტო **კაენი და არტემი**
9 დეკემბრიდან
იმპერიის ნამსხვრევი
დარბაზი უკანასკნელი დღე **წუმპე**
ა. ი. ხეიფეცის გასტროლები
9 დეკემბრიდან—მთის ბალადა
მალე: „რ ღ ვ ე ვ ა“
0—5

კინო-არფასტო
ორშაბათიდან, 9 დეკემბრიდან
საბჭოთა კინემატოგრაფიის შედევრი
სეზონის საუკეთესო ფილმი
იმპერიის ნამსხვრევი
რეჟისორი ერმლერი. მთ. როლში ფ. ნიკიტინი.
საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების კინოსალექციო ბიურო იძლევა შეღავათიან ტალონებს ფაბქარხადგილკ. კოლექტ. განცხადებებით.
ნ. 3480

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ. ტელეფონი 8—04.
დღეს, კვირას, 8 დეკემბერს
საგასტროლო წარმოდგენა
დღისით და საღამოს
3 დიდ განყოფილებად
დღის და საღამოს წარმოდგენაზე მონაწილეობას მიიღებს ცნობილი ჩინელი ილიუზიონისტი **ლიუ-ფუ** ახლად ჩამოსული **ჩარლი ჩაპლინი** და კიდევ 12 საუკეთესო ნომერი. წარმოდგენის დასაწყისი დღისით სრულ 2 საათზე. საღამოს 8 ნახ. საათზე.
ნ. 3482 1—1
დირექცია.

დაიბეჭდა და დაურიგდება ხელის მომწერლებს
ჟურნალ
„საქართველოს ეკონომისტი“
№ 10—11.
შინაარსი
I. სტატიები:
მოწინავე—ოქტომბრის რევოლუციის მე-13 წლის მიჯნაზე.
აკ. სიგუა—საქართველოს სახ. მეურნეობის ფინანსირება 1929-30 წლის საკანტროლო ციფრები.
ინჟ. ივ. ყიფშიძე—საქართველოს ნავთის ტრესტის დაარსების გამო.
დ. წერეთელი—ჭიათურის შავი-ქვის ექსპლოატაციის 50 წლ. გამო.
ლ. ყანდარელი—ჭიათურა და მარგანეცის მსოფლიო ბაზარი.
გ. სარუხანოვი—კოლმეურნეობათა მშენებლობის პირველი შედეგები.
ა. მელენჩუკი—საქართველოს მეცხვარეობა და მეცხვარეობის კოოპერაცია 1929 წლის სექტემბრისათვის.
აგრ. გ. ოქროპირიძე—სოფლის მეურნეობაში საჭირო სპეციალისტთა კადრები.
აგრ. რ. გედევანიშვილი—ოკრიბის ხილის სახმობი ქარხნის შესახებ.
ს.—საქართველოს აბრეშუმის ტრესტის გეგმის ახალი ვარიანტის შესახებ.
ბ. თევზაია—შენიშვნები კონიუნქტურის შესახებ.
II. მიმოხილვა:
ვ. მხეიძე—საქართველოს სმუს მრეწველობა 1928-29 წ.
III. მასალები საქართვ. ბუნებრივ-საწარ. ძალთა შესწავლისათვის:
ა. ტერლეცკი და ვ. გულისაშვილი—თეთრი და წითელი წიფლის ძერქის ტეხნიკური თვისებები.
ი. ტყეშელაშვილი—მცენარეულობიდან სოდის მოპოვების საკითხისათვის.
IV. თეორიული განყოფილება:
ალ. ერქომაიშვილი—კოოპერატიული მოგების ბუნებისათვის.
დ. როზენბერგი—საწარმოო ძალები და საწარმოო ურთიერთობანი მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიაში.
პროფ. იულ. ბორხარდტი—ბრძოლა მსოფლიო ბაზრებისათვის.
დ. დოლიძე—მონოპოლისტური კაპიტალიზმის სწორი გაგებისათვის.
V. ინფორმაცია
VI. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია:
1. ბურჟუაზიული ეკონომისტი მონოპოლიური კაპიტალიზმის წინააღმდეგ ი. 1) გ. ფ. უორენ. Организация сельского хозяйства—მ. ტუღუში.
ნ. 3479

„მეჟრაბპომ-ფილმ“-ის ნაწარმოები
რესპუბლიკის სახალხო არტისტი
ი. მ. მოსკვინი
დამსახ. არტ.—ა. პ. პეტროვსკი
„ „ - მ. მ. თარხანოვი
მსახ. ქალი—მ. პ. სტრელკოვა
მხატრულ სურათში
თანამდებობანი და ადამიანები
(ჩეხოვის ალმანახი)
ინსცენირება ა. პ. ჩეხოვის მოთხრობებისა: 1) მოხელის სიკვდილი, 2) ანა ყელზე, 3) ქამელეონი.
რეჟისორი ი. ა. პროტაზანოვი.
ოპერატორი კუზნეცოვი.
ორშაბათიდან 9 დეკემბრიდან
კინოებში **აპოლო და სოლეი**
ნ. 3480

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პროსპ. № 10—სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, კანის და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ჭრილი). ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფი მამაკაცები და ქალების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე. 13—1

ა. დ. პეპელია სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება. პლეხანოვის პროსპ. № 116. ააპტეკის „ოდე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. სად. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67.

ა. ვადაჭკორია ქალთა ავადმყოფობანი დილის 8 ს.—12 საათამდე, საღამოს 4 ს.—7 საათამდე. ლენინის ქუჩა № 35 (ყოფილი ოოლას). 3219 25—1

ი. გაგიჩვაძე ავადმყოფების მიღება სიფილისი, ვენერიული, კანის და საშარდე-სასქესო ორგანოების სნეულებანი ქალის გონორეა. მიღება 8 საათიდან 10-მდე და სად. 6-დან 8 საათამდე. პლეხანოვის პრ. 65. 25—4

მალაევი თვალის ექიმი ღებულობს ავადმყოფებს სად. 6—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ ელისაბედის) 47. ტელ. 5—90

ი. ვ. ხანდამოვი სპეციალურად მკურნალობს სიფილისს, კანის და ვენერიულ ავადმყოფობას. მიღება დღის 2 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. ძნელაძის (ყოფ. მესანგრეთა) ქუჩა, № 35, (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ი. დ. თოფურიძე იღებს ავადმყოფებს კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. სიფილისი, კანის და ვენერიული (სუსუნატით გამოწვეული გართულებები). დილის 7 საათიდან 8 საათამდე. დღით ქალები და ბავშვები 3—5 საათამდე, მამაკაცები 5—8 საათამდის. 25—1

ი. ი. გერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 8—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

გ. გ. შახნაზაროვი სპეციალურად სიფილისი, „914“ შ შხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ხაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალები 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩის კუთხე). 25—1

დ. ს. რიქინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. სად. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის პრ. კუთხე. ტელ. 10—14. 25—1

ნ. ბ. ბებეჭკორი შინაგანი სხეულებანი; სპეციალ. ფილტვების დაავადებანი. ავადმყოფების მიღება 6—7 საათამდე. პეროვსკის ქუჩა (ყოფ. ანასტასიევის) 7. ტელეფონი 20—33.

ი. პ. მჭედლიშვილი შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭის და ნაწლავების დაავადებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყოფ' ღებულობს 5—7 ს. სანაპირო ქ. (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ელსმენი № 15—02. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და ომის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიოროს) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—14

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01. 25—1

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-ტერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ქოხკაძის ქ. № 4 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლაკში. ტელ. 25—73. 25—14

ალ. მაღალაშვილი ბავშვების ექიმი, საღამოს 5—47 საათამდის, ყორღანოვის ქუჩა № 12. 25—1

ტერ-ოვაკიმოვი სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას (სქესობრივი ნევრასტენია), პსიქოტერაპია. მიღება დილით 9 ნახ. 11 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამი ნოვის) № 22. 25—1

კ. ტყეშელაშვილი სიფილ. ვენერიული და კანის სნეულებანი. ბელგიის ქ. № 1, ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს ახლოს, დილით 8—9, საღამოთი 6—8. 25—7

ი. გ. ხარებავა-ბაქრაძე კბილის ექიმობა, პლომბები, ყოველი ფორმის ხელოვნური კბილები. სნეულ კბილების ამოღება უმტკივნეულოდ. კლარა ცეტკინის (ყ. ელისაბედის) ქუჩა, № 117. 25—7

ნ. კონტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ყოფ. ფრეილიხის ქ. № 1. აღმასკომის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭკნელსა, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის მუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—12

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

- — მუშკოოპის ტალონი ბოსტნეულობაზე ბარნაბ კობალაძის სახ. 4515
- — პურის წიგნაკი № 15937 გიორგი კობალაძის სახელზე. 4594
- — სასურსათო წიგნაკი „ბ“ (1 სულის) ოლია მემარიშვილის სახ. 4602
- — პურის წიგნაკი ვანო ნიკოლოზის-ძე გელაშვილის სახელზე. 4603
- — მუშკოოპის წიგნაკი № 54614 ნინო ქავთარაძის სახელზე. 4604
- — „ზაკტკო“-ს წიგნაკი № 9669 ვასილი ელენტის სახელზე. 4608
- — დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 298 ივანე ცხვიტარიძის სახელზე 4608
- — საანგარიშო წიგნაკი № 1 და მუშკოოპის წიგნაკი № 30901 მარიამ მღ-ეორეს ასული გურიანოვას სახელზე. 4609
- — მიწა ტყის კავშირის წიგნაკი № 16820 შალვა ტარასის-ძე ბუბაშვილის სახელზე. 4610
- — მუშკოოპის წიგნაკი № 14407 ლევი ლევიშვილის სახელზე. 4611
- — სიღნაღის კოოპერატივის მიერ გაცემული წიგნაკი № 2020 პლატონ გიორგაძეს სახელზე 4615
- — პირადობის მოწმობა, გაცემული ჩხოშეულის თემსაბჭოს მიერ, ვანო ლუკას-ძე ზუბაძეს სახელზე. 4616
- — კავშირის წიგნაკი № 26042, გაცემულ განათლების კავშირის მიერ დავით ნესტორის-ძე ჩიქოვანის სახელზე. 4620
- — პურის წიგნაკი ლევან დომენტის ძე ჩხაიძეს სახელზე. 4622
- — პირადობის მოწმ. № 674/ს და წლიური ბილეთი შორაპნიდან ზესტაფონამდე უფასო მიმოსვლის დავით სამხარაძის სახელზე. 4618
- — გურჯაანის კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 4510 ვანო სანდროს-ძე ზავარაშვილის სახელზე. 4618
- — გორის სამომხმარებლო კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 3061 ფატმანე ონისიმეს ას. ხომერიკის სახელზე 4618
- — საანგარიშო წიგნაკი № 784 რომანოზ ჟვანიას სახელზე 4618
- — კოოპერატ. საწევრო წიგნაკი № 334 სტეფანე სახეიშვილის სახ. 4618
- — მარტვილის კოოპერატ. მიერ მოცემული წიგნაკი № 3/448 ოლია ბუ-ქულიას სახელზე. 4618

ტირაჟი—45.218 პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68. მთავლიტი № 904